

52/2
987

ISSN 0134 3459

გერმანული
ზოგადი ინფორმაცია

ქრონიკა

357.



1

987

ქოროსი

გამოცემის
გამოცემის
29-ე
წელი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური უზრნალი
საპარტველოს მფარველთა კავშირისა და აპარის განყოფილების ორგანო

რა მშენიერი ზღვა გვაქვს, აჭარა,
რა მომავალი, ძვირფასი ბედით...
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა
აღმოსავლეთით და დასავლეთით.

გ. ტაბიძე

1
1987

ინანბარი
თეზერვალი



გათუმი

შინაბარი

დიდი რეპორაჟის 70-ე
წლისთავის შესახებ

იური თავღუმაძე — წელი პირველი
და წელი მეორე (ნარკვევი) 3

პოეზია, პროზა

ჟუჟუნა ხაჯიშვილი — ლექსები 10
ქეთევან მელიქიძე — ყურადღება,
ვიღებთ! (მოთხრობა) 12
სოსო აბაშიძე — ლექსები 23
ზურაბ ზოიძე — ლექსები 25
ჯემალ ზოფერია — გზები (რომა-
ნის ფრაგმენტები. დასასრული) 26

ახალი თარგმანები

რასულ ჰამზათოვი — ლექსები (თა-
რგმნა გიორგი სალუქვაძემ) 32
ძველი ბერძნული პოეზიიდან —
(ლექსები, თარგმნა გიორგი ზო-
მერიძემ) 34

ჯეჯილი

ჯემალ სურმანიძე — ლექსები 37

ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავისათვის

აბდულ მიქელაძის წერილები 38

რაც რაპინფუპით არ იბინდება

გრიგოლ ჩხაიძე — ფრონტული
დღიურიდან 42

სალოვნება

ბათუმის მუსიკალური ცხოვრების
აღმავლობისათვის 53

ლადო შარაშიძე — შეხვედრები
იაკობ ნიკოლაძესთან 62

მეგობრობა გზად და სიღად

იოსებ სანიკიძე, თენგიზ მოისწრა-
ფიშვილი — ბულგარეთის ცხელი
ზაფხული 65

წერილები

ნოდარ ბარამიძე — ქართული ფსი-
ქოლოგიური სკოლის ფუძემდე-
ბელი 70

პავლე ჯორბენაძე — პოეზიის
რომანტიკული გაგება (წერი-
ლი II) 75

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

შოთა ზოიძე—მუდმივი ერთგულება 82

საორბი

ალექსი ნანობაშვილი — ბორის ფრო-
ლოვის გახსენება 89

მედუზა

ზურაბ ჩხიკვაძე — როცა ბავშვობას
ვიგონებ
გასულ ორ თვეში 92
93

მთავარი რედაქტორი
ალექსანდრე სახმურენია

სარედაქციო კოლეგია:

აზიზ ახვლედიანი,
გიორგი ბაჩყალიძე,
ზურაბ გორგილაძე,
მამია ვარშანიძე,
(პასუხისმგებელი მდივანი),

შოთა ზოიძე,
დავით თედორაძე,
გიორგი სალუქვაძე,
ჯემალ ქათამაძე,
ალექსანდრე ჩხაიძე,
ფრიდონ ხალვაში,
დავით სახუბაიშვილი,
ჯემალ ჯაყელი.

რედაქციის მისამართი: ბათუმი,
ენგელსის ქ. № 21. ტელ. 3-33-71.

გადაეცა წარმოებას 1.12.86, ხელმოწე-
რილია დასაბეჭდად 25.12.86, საგამომ-
ცემლო თაბახი 4,8, შეკვეთის № 3804,
ემ 02096, ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆,
ტირაჟი 3.000.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა,
პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სა-
ქმეთო სახელმწიფო კომიტეტის აჭარის
ასსრ პოლიგრაფიული საწარმოო გაერ-
თიანება, ბათუმი, ლუქსემბურგის, 20.

Государственный комитет Грузин-
ской ССР по делам издательств, по-
лиграфии и книжной торговли. По-
лиграфическое производственное
объединение Аджарской АССР,
Батуми, ул. Р. Люксембург, 20.

იური თავდუმაძე

წელი პირველი და წელი მეორე

ნარკვევი

მაგიდის კალენდარს, ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის დირექტორის ასლან ხარაზის სამუშაო მაგიდაზე რომ იდო. იოელი ერთი წელიწადი — ერთადერთი ფურცელი შემორჩენია.

ვინ როგორ ხმარობს ასეთ კალენდარს. ბევრი მის ფურცლებს დროდადრო მიაწერს ტელეფონის ნომერს, ვინმეს გვარს, რაიმე ჩანაფიქრს, რაიმე გასახსენებელს და მერე ფურცლავს და ფურცლავს ხოლმე ხან ერთ მხარეს, ხან მეორეს. ასეთ კაცს მაგიდის კალენდარი მეხსიერების დამატებით და საიმედო უჯრედად მიუჩნევია და მშვენიერადაც იყენებს როგორც აქტიურ თანაშემწეს.

ზოგი კი, როგორც კედლის კალენდარს, ისე ჩამოაცლის ხოლმე ფურცელს ყოველ დღით და ამით დროის განუწყვეტელ და გამალებულ რბოლას აღვენებს თვალს ალბათ.

ბატონ ასლანსაც ასე სჩვევია თურმე. დასამახსოვრებელს „ექვს-დღიურის“ ბლოკნოტებს მიანდობს, პოლიგრაფისტებმა სპეციალურად ამ მიზნისათვის რომ მოიგონეს, ხოლო მაგიდის კალენდარს ყოველ დღით თითო ფურცელს ჩამოახვეს.

და იმ ფურცელზე, ახლა მის მაგიდის კალენდარს ეულად რომ შემორჩენია, აწერია „31 დეკემბერი“.

ამ ფურცელმა უნებლიეთ მიიპყრო ჩემი ყურადღება და ხმაბლდა წავიკითხე ზედვე სახეიმიოდ წითელი ასოებით დაბეჭდილი: „გილოცავთ ახალ წელს!“.

— გმადლობთ, თქვენც გილოცავთ! — დიმილით მიპასუხა ბატონმა ასლანმა და მანაც თვალი შეავლო კალენდრის ამ ერთადერთ ფურცელს.

— გადავაგორეთ კიდევ ერთი წელი, — ვთქვი მე.

— კი, გადავაგორეთ.

— ახალი წლის წინა დღეს თვალს გადაავლებენ ხოლმე ძველ წელი-



წადს, გაიხსენებენ გასახსენებელს, კარგსაც და ავსაც, ბევრი ეჭვიანობის მადლობასაც ეტყვიან, მერე ახალს გაუსწორებენ გონების თვალს. ასეთი უძველესი ტრადიცია... თქვენი დამოკიდებულება როგორია ყოველივე ამისადმი?

— ისეთი, როგორიც ყველასი. ახალ წელს ახალი საზრუნავი, ახალი საფიქრალი და ახალი სიხარული მოაქვს. კარგია, თუ ძველს მაღლიერებით იგონებ, ხოლო ახალს ხალისიანი, კეთილი ფიქრებით, გაბედული იმედებით ხვდები, თქვენც ხომ ასე ფიქრობთ?

— რა თქმა უნდა, მოდიო, ჩვენი დღევანდელი სასაუბროც ამ კეთილ ტრადიციას შევეუფეროთ. რამდენიმე საათის შემდეგ ახალი წელი შემობიჯებს დედამიწაზე და თქვენი ქარხნის კოლექტივში. ამ ახალი წლის მეკვლე რას მოულოცავს თქვენებს და, თქვენებმა რომ ჰკითხოთ, „ახლო წელი, რა მოგაქვთ“ — როგორ ფიქრობთ, რას უპასუხებს ახალი წელი?

— როგორ, რას უპასუხებს. სათქმელი საკმაო ექნება. თუნდაც პირველი დღე — პირველი იანვარი. ოფიციალურად მომავალ წელს პირველი დღიდან ვიწყებთ პროდუქციის სახელმწიფო მიღებას. ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკაში ჯერჯერობით მარტო სამი საწარმო მოემზადა საამისოდ, — ჩვენი, ნავთობგადამამუშავებელი და მანქანათსაშენი ქარხნები.

იცით, საქმეში ჩაუხედავ კაცს შეიძლება ეს სიახლე უბრალო, მარტივ რეორგანიზაციად მოეჩვენოს. რა მოხდა ასეთიო, იტყვის, მოიტანებენ პროდუქციას, შეამოწმებ მის ხარისხს ყველა პარამეტრის, სახელმწიფო სტანდარტის ყველა მოთხოვნის შესაბამისად და დაუსვამ დაბლას „მიღებულია“.

ნურას უკაცრავად, სახელმწიფო მიმღებთა ჯგუფს, რომელიც თემცალა ქარხნის ადმინისტრაციას არ ექვემდებარება, ევალება აქტიური მონაწილეობა მიიღოს წარმოების მართვაში, კერძოდ, თვალყური ადევნოს ტექნოლოგიური პროცესების სრულად და ზუსტად დაცვას, ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელებას, ათასი სხვა საქმეც აქვს, რომელი ერთი ჩამოვითვალთ. მთავარს გეტყვით, ყველა საქმე მისი საზრუნავია, რომელიც პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, უზადო ნახელავს, ქარხნის მარკის ღირსებების დაცვას ემსახურება. 1987 წლიდან მთლიანად მთელი პროდუქცია, მთელი ასი პროცენტით სახელმწიფო მიმღებს უნდა ჩავაბაროთ.

— ამას დიდი მომზადება დასჭირდებოდა.

— რა თქმა უნდა. გამოვთვალეთ მოსამზადებელი პერიოდი. ნოემბერში გამოშვებულ ნაჭთობათა 40 პროცენტი ჩავაბარეთ მიმღებს, დეკემბერში 70 პროცენტი და მოვყევით ასე.

— იყო შეფერხებები ჩაბარების დროს?

— იყო. შლანგების საცდელი ჩაბარების დროს სახელმწიფო მიმღებმა



გამოარკვია, რომ ბუნიკის კონუსის სიგრძე არ შეეფერებოდა სტანდარტს. ამ ბუნიკს სამსხმელო-მექანიკური საამქრო ამზადებს. მიმდებარე შეკრება საამქროს წარმომადგენლები, ერთად დაათვალიერეს ტექნოლოგიური პროცესები. გამოირკვა, რომ ოთხიდან ერთი სამარჯვი რამდენადმე გამო-სულიყო მწყობრიდან. შევაკეთეთ სამარჯვი და საქმე გამოსწორდა.

სხვა მაგალითებიც შემიძლია მოვიყვანო. სახელმწიფო მიღება მკვე-თრად ამადლებს წარმოების ყველა რგოლის პასუხისმგებლობას. შლან-გის კარკასისათვის მავთულს ვიყენებდით. შემოვზიდავდით მავთულს, დავაწყობდით ღია ცის ქვეშ. ჟანგი შეეპარებოდა, ჩვენი ჰავის ტენიანო-ბა ხომ მოგეხსენებათ. გამოგოიჩყდებით, არც მე და არც ვინმეს ჩვენთან არ გეიფიქრია ამაზე. დახვევის წინ მავთულს გაწმენდნენ ხოლმე და მი-გვანდა, რომ ყველაფერი წესრიგში იყო.

მაგრამ ხომ შეიძლება, გაწმენდის მიუხედავად, ჟანგი მაინც შეყ-ვეს მავთულს, თუნდაც უმნიშვნელო. ქვეყანა არ დაიქცევაო, ვფიქრობდით, ალბათ. სახელმწიფო მიმღები კი ამასაც გამოირიცხავს. მავთული მხო-ლოდ და მხოლოდ სპეციალურ სათავსში უნდა შეინახოთო — მიიღო გა-დაწყვეტილება.

ყველაფერი, რასაც კი ვამზადებთ, რეკომენდირებულია კიშინიოვის საპროექტო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის მიერ. სამუშაო პროექტში მი-თითებული იყო პლასტიკატის მარკა — პოლივინილქლორიდის მასა. რ-948 — ასე ჰქვია რეცეპტურას, მაგრამ მუშაობის პროცესში გამოვლინ-და წუნი, შლანგი მალე იშლებოდა ფენებად, ირღვეოდა ჰერმეტიულობა.

განგაში ავტეხეთ. გამოირკვა, რომ ეს პლასტიკატი კარგია კაბელი-სათვის, რომელიც სხვა ქარხნებში დიდი რაოდენობით მზადდება, ხოლო ჩვენი შლანგისათვის არ ვარგა. ჩვენი თხოვნით დნეპროპეტროვსკის ქარ-ხანამ შეიმუშავა ახალი მარკის პლასტიკატი, სპეციალური მინაერთებით დაუმატა პლასტიკურობა. მცირე პარტია გამოცდადეთ და კარგი შედეგი მივიღეთ. ახალი წლიდან ამ ახალი პლასტიკატი ვიმუშავეთ.

პრობლემა შეგვექმნა უკარკასო შლანგის დამზადების ხაზზეც. ამისა-თვისაც ვეძებთ ახალ მასალას. დიდი და კარგი საქმეა. ყოველწლიურად 1.200 ტონა ლითონს დავზოგავთ.

ამგვარი პრობლემა ბევრია ქარხანაში. ზოგი დანადგარი დაძველდა და შეცვლას საჭიროებს, ზოგი კაბიტალურ, ან თუ გნებავთ, მცირე შეკე-ოებას. ყველა ეს საქმე გულთან უნდა მიიტანონ სახელმწიფო მიმდგეგმმა, ყველა საქმე საკუთარ საზრუნავადაც უნდა გაიხადონ. ესაა ამ სიახლის სიკეთე და პერსპექტიულობა.

საერთოდ კი მთელი ეს საქმე ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია გარდა-ქმნისა და დაჩქარების იმ ვრცელი პროგრამისა, რომელიც ჩვენმა კოლექ-ტივმა ახალი ზუთწლედისათვის დაისახა. ჩვენს პროგრამას ასე ჰქვია:



ბათუმის საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის სოციალურ-მეცნიერ-მიკური განვითარებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიზნობრივი კომპლექსური პროგრამა 1986-1990 წლებისათვის“. ამ პროგრამაში წინა პლანზე კოლექტივის სოციალური განვითარების საკითხებია წამოწეული. ვფიქრობ, სწორად ვიანგარიშეთ. პარტიის XXVII ყრილობამ წინა პლანზე წამოსწია ადამიანის ფაქტორი. დაჩქარება ჩვენი სამეურნეო მექანიზმის, ჩვენი საწარმოო-ეკონომიკური მუშაობის, საერთოდ, საქმიანობის გარდაქმნაა. ყოველი გარდაქმნა კი შეგნების გარდაქმნისაგან იწყება. კოლექტივის ყველა წევრი საკუთარი თვალთ უნდა ხედავდეს, რას მოუტანს მას დაჩქარება და როგორ იგრძნობს იგი მის სიკეთეს.

ამას რომ იგრძნობს, აქტიურად გამოფეცება ყველა დიდ საქმეში, გულის სითბოსა და სიყვარულს ჩააქსოვს საერთო საზრუნავში.

ახლა ჩვენს ქარხანაში სამასამდე მუშა და მოსამსახურე ელოდება ახალი კეთილმოწყობილი ბინის მიღებას. ჩვენი პროგრამით ხუთწლედის ბოლოსათვის ძირითადად გადაწყდება პრობლემა. აღარ გვექნება მწვავე დეფიციტი.

აღბათ, ყურადღებას მიაქცევდით, ლენინის მოედანზე შენდება ლამაზი კასკადური სახლი. იგი ამ უბანს დაამშვენებს. ჩვენი მუშა-მოსამსახურეებისათვის შენდება.

ბარათაშვილისა და ლენინის ქუჩების შესაყარში ახლა პატარ-პატარა ძველებური სახლები რომაა, ვფიქრობთ, ავაშენოთ ერთი დიდი სახლი, რომელიც ორივე ამ ქუჩაზე და მოედანზე გამოვა ფასადებით. კარგი სახლი უნდა გამოვიდეს. გვინდა ჩვენი ქალაქისათვის ჩვენი კოლექტივის სახსოვრად გადმოვცე.

აქამდე ვფიქრობდით მუშა-მოსამსახურეებისათვის პანსიონატი აგვეშენებინა შავი ზღვის სანაპიროზე, გადაწყვეტილება შეეცვალეთ. ზაფხულობით ორი თვით ბორჯომში ვაგზავნით ბავშვებს დასასვენებლად. წვალობენ პატარები ნაჭირავენ კერძო სახლებში. გადავწყვიტეთ, სურამში ავაგოთ პანსიონატი. ზაფხულობით ბავშვებს დავუთმობთ ერთი-ორი თვით, სხვა დროს მუშა-მოსამსახურეები დაისვენებენ შეღავათიანი საგზურებით და უფასოდ. რას იტყვი, როგორი საქმეა?

სხვა ამგვარი ამბებიც მიაბმო დირექტორმა. მერე სხვებსაც ვესაუბრე ქარხანაში.

1984 წელს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება მოსწავლეთა შრომითი აღზრდის, სწავლების, პროფესიული ორიენტაციისა და მათი საზოგადოებრივ-სასარგებლო და საწარმოო შრომის გაუმჯობესების თაობაზე. საყოფაცხოვრებო მანქანათსაშენი ქარხნის კოლექტივი შეფობს ბათუმის № 21 საშუალო სკოლას, რომელშიც ამ ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა შვილები

სწავლობენ. ქარხანას და სკოლას შეუქმუშავებია სამეფო მუშაობის პროგრამა.

შევხვდი ამ სკოლის დირექტორს მამია ღუმბაძეს და ეთხოვე საშე-
ფო მუშაობის პროგრამის კომენტირება.

— ნეტავ ყველას ჰყავდეს ასეთი შეფი, — თქვა მან, — აი, თვითონ
განსაჯეთ: ქარხანას აუშენებია ბაგა-ბაღი მუშა-მოსამსახურეთა ბავშვე-
ბისათვის. ამ შენობას საჩუქრად გვაძლევენ — სკოლამდელი ასაკის ბავ-
შეებისათვის, სოლო თავისთვის ახალ ბაგა-ბაღს აშენებენ, თანამედროვეს,
კეთილმრწოებილს, კომფორტულს.

და განა მართო ეს. საშეფო პროგრამით გამოგვიყოფენ სასწავლო-
თეორიულ კაბინეტს და იგი აღიჭურვება ტექნიკური საშუალებებით, ასე-
ვე გამოგვიყოფენ ორმოცდაათადგილიან ტექნიკური საშუალებებით აღჭუ-
რვილ საწარმოო უბანს. „მეგობრობის ხელშეკრულებით“ საწარმოო პერ-
სონალიდან ჩვენს მოსწავლეებს დაუნიშნავენ დამრიგებლებს, უფროსი
კლასის მოსწავლეებს ჩააბამენ წარმოების სფეროში და დაუნიშნავენ ყო-
ველთვიურ ხელფასს.

ამას გარდა, ჩვენს სკოლაში შეიქმნება „მიკროწარმოება“ სოფლის
მეურნეობის პროფილით. ჩვენი სათბურის ნაცვლად, რომელიც სკოლის
ტერიტორიაზეა, აგვიშენებენ ახალ სათბურებს. გაზანგძლივებული დღის
მოსწავლეთათვის გამოგვიყოფენ ოთახს, სადაც გვექნება ტელევიზორი,
რადიო, მაგნიტოფონები, მაგიდის სათამაშოები და ა. შ. ბავშვებს ექნებათ
ერთჯერადი უფასო კვება. ქარხანა მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე
სკოლისათვის ფიზკულტურულ-სპორტული კომპლექსის შექმნაში.

კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის პროგრამაში სხვაც
ბევრია კოლექტივის გაბედული და პერსპექტივისათვის სწორად გააზრე-
ბული ნაფიქრალი. ნათობგადასამუშაველ ქარხანასთან ერთად მუშათა
დაბაში ააშენებენ დიდ სპორტულ კომპლექსს. იქნება ზელბურთის, კალა-
თბურთის, ფრენბურთის მოედნები, დაზურული საცურაო აუზი სათავ-
სოებითა და აღმინისტრაციული ნაგებობით, ჩვენს ქალაქში პირველი ყი-
ნულის მოედანი. — ძვირფასი საჩუქარი ახალგაზრდობისათვის.

შემოვიარე ქარხნის საამქროები და უბნები. საწარმო ახლა რეკონს-
ტრუქციის პროცესშია, იგი სულ უფრო გაფართოვდება და ფრთებს შეი-
სნამს. ახლით შეიცვლება მოძველებული მოწყობილობა, განხორციელ-
დება სამსხმელო-მექანიკური უბნის, საიარაღო საამქროს, სამღებრო, კო-
მპლექსური, სასწავლო-საწარმოო, გაღვანური უბნების, ასაწყობი საამქ-
როს რეკონსტრუქცია-გაფართოება. თეთრეულის საშრობი მანქანების
თერმოკონტეინერების ასაწყობ უბნებზე და სხვაგან დაინერგება ნაკადურ-
მექანიზებული კონვეიერები, დამონტაჟდება აგრეთვე კონვეიერი მცირეგა-
პარტიან ნაკეთობათა ტრანსპორტირებისათვის, დაინერგება უკარკასო



გოფირებული შლანგების წარმოების ტექნოლოგიური ხაზები და დაინერგება თერმოკონტეინერის პენოპოლირეტანის ტექნოლოგიური პროცესი, დაპროექტდება და დამზადდება სპეციალური მთვლობილობა მიკროალაზმური შედუღებისათვის, პლასტმასის გადამუშავების პროცესი უნარჩენო გახდება და ა. შ.

ბევრი რამ უკვე გაკეთდა ამ პროგრამიდან, სანამ დირექტორის კაბინეტში საწერ მაგიდაზე 1986 წლის კალენდარი ბოლო გვერდამდე ჩამოიფურცლებოდა. ზოგი რამ ახლა კეთდება. დაწყებულია მექანიკური საამქროს კორპუსის მშენებლობა. დრო რომ მოეგოთ, ქარხნის კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ თვითონ დააპროექტა ახალმშენებლობა. საამქრო მუშაობს, პროდუქციას იძლევა, რეკონსტრუქცია კი მიდის დაჩქარებული ტემპით. მუშაობისათვის ხელი რომ არ შეეშალოს, ამოჭრეს კორპუსის ჭერი, დაამთავრეს გადახურვა, მერე გარედან ახალ კედლებს ამოიყვანენ და ძველს მოხსნიან, დაამონტაჟებენ მექანიზებულ ხაზს დეტალების საწყობიდან გამოსატანად.

შლანგების უბანში უკვე დამონტაჟდა 20 ახალი ხაზი. იგი კიშინიოვის საკავშირო საპროექტო-ტექნოლოგიურმა ინსტიტუტმა შეიმუშავა, რომელთანაც ქარხანას მჭიდრო სამეცნიერო და შემოქმედებითი ურთიერთობა აქვს. ნმ-ტონიან წნეხთან დამონტაჟდა რობოტი, აქვე, გვერდით უბანზე — მავთულის პლასტიკატიტ დაფარვის ავტომატური ხაზი, რომელიც ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს გადაწყვეტილებით კერძონიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან მიიღეს. საექსპლოატაციოდ გადაეცა გაღებური საამქრო, სადაც ყველა პროცესი დისტანციურად იმართება — თითო ხაზს თითო ოპერატორი მართავს პულტიდან.

ეს და მრავალი სხვა სიახლე ქარხნის კოლექტივს საშუალებას აძლევს გამოათავისუფლოს მუშახელი, აამაღლოს წარმოების კულტურა, გააღიღოს პროდუქციის გამოშვება — ერთი სიტყვით, გაბედულად გამოვიდეს დაჩქარების გზაზე.

მაგრამ ეს არაა უმთავრესი. უმთავრესი ისაა, რომ კოლექტივმა ირწმუნა დაჩქარების სიკეთე. ის, რაც ქარხნის დირექტორმა საუბრის დასაწყისში გაკვრით მითხრა, ჩემი თვალთ ნათლად დავინახე საამქროებში. ვნახე მუშებისა და მოსამსახურეების აქტიურობა, ვნახე, როგორი შემართებით შრომობდნენ ისინი ნახევრად განახლებულ უბნებზე, უშვებდნენ პროდუქციას და თავისუფალ დროს, საღამოს საათებს რეკონსტრუქციის სამუშაოებს ახმარდნენ მუშაობდნენ უსასყიდლოდ, საკუთარი ინიციატივით, წამოაყენებდნენ წინადადებებს, ეკამათებოდნენ უფროსებს, ასე აჯობებსო.

დირექტორის კაბინეტშიც ვნახე ამის მაგალითი. ქარხანაში უკვე ფიქრობენ ბევრი ახალი პროდუქციის გამოშვებაზე, ანგარიშობენ მომხმ-

რებლის მოთხოვნილებას, ითვალისწინებენ პერსპექტივას. გამოვუშვებთ თერმოსს, რომელშიც ღიმონათი, ბორჯომი, საკვები შეინახება ღვინო-ლიხებისათვის თეთრეულის საშრობს დავამზადებთო, მტვერსასრუტი, რომელიც ჯერ კიდევ დიდად პოპულარულია ჩვენს ქვეყანაში, სრულიად ახალი კონსტრუქციისა და კონფიგურაციის იქნება, თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების დონეზე...

სწორედ ჩემს იქ ყოფნაში დამპროექტებლებმა ახალი მტვერსასრუტის სამუშაო ნახაზები და მოდელი გააცნეს ქარხნის ადმინისტრაციას. ისე მოხდა, რომ დირექტორის კაბინეტში ხალხმრავლობა იყო. საქმეზე შემოსულები აღარ გადიოდნენ კაბინეტიდან, მათ შორის მუშებიც ერეოდნენ პროექტის განხილვაში, კითხულობდნენ ყოველ წვრილმანს.

მახსოვს, ბატონმა ასლანმა ელექტროსადენის მიერთება დაიწუნა. მომხმარებელი ხშირად არ იმახსოვრებს ჩვენს ინსტრუქციებს, იმის ნაცვლად, რომ სახელურით გადაიტანოს მტვერსასრუტი, ელექტროსადენს ჩაავლებს ხელს და ისე გადააქვსო, სადენი ბუდიდან წყდებაო, ხომ არ შეიძლება, იგი მოსახსნელი იყოსო.

კონსტრუქტორები უარზე დადგნენ, მაგრამ არ გამოუვიდათ. ატყდა კამათი. აქაურებმა წამოაყენეს წინადადებები.

დადგინდა იდეა. თურმე, შეიძლება და ძალიანაც კარგი იქნება. ეს იდეა განხორციელდება ახალ მანქანაში.

ამ მაგალითშიც დავინახე საერთო ცხოველი დაინტერესება, რაც, რა თქმა უნდა, საერთო საქმის, დაჩქარების კურსის წარმატებით განხორციელების საწინდარი უნდა იყოს.

მერე ისევ საკონტროლო ციფრებში ჩავიხედეთ მე და დირექტორმა. დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელება, — წერია პროგრამაში, — საშუალებას მოგვცემს მეთორმეტე ხუთწლედში შრომის ნაყოფიერება გაზადილოთ 18 პროცენტით, სასაქონლო პროდუქციის წლიური გამოშვება, დაგეგმილი 18 მილიონის ნაცვლად, გავადიდოთ 20 მილიონი მანეთით, ამასთან წლიური ეკონომიკური ეფექტი გადაამეტებს 1,5 მილიონ მანეთს.

— ზედმეტად გაბედული პროგრამა ხომ არაა, ბატონო ასლან?, — ვკადრე დირექტორს.

— არა, — ღიმილით თქვა მან, — პირიქით, იქნებ მოკრძალებულიც იყოს, ახლა რომ ვანგარიშობთ, ამ წლის ნამუშევარი რომ ჩავთვალეთ თითებზე, ვფიქრობთ, უკვე 1987 წლის — დიდი ოქტომბრის საიუბილეო წლის ხუთწლედის დასასრულისათვის დაგეგმილ ზღუდეზეც გავალთ — 18 მილიონზე.

თუ დაჩქარებაა, დაჩქარება იყოს!

თაგოს მთაზე ნისლეგია

თაგოს მთაზე ნისლეგია,
ჩემი ნაღველ-სიზმრებია,
შიგ ცრემლების პაწაწინა
უჩინარი მისნებია.
დაჰბერს ქარი სამხრეთული,
დამიფანტავს შუბითაო.
მისველდება სამერდული
ჭრელა-ჭიატ შუქითაო...
მზეო, მზეო, გამო გარეთ,
ცრემლი ჩემი გამოგვალე..
შეაჟრჟოლე ბინდუნდ ტყეებს,
ძილ-სიზმრიდან გამომგვარე.
ცაო, ცაო, ჩამო, ბარე,
ცაო, ცაო, ჩამო, ბარე,
შენს პატარა სნეულ პირმშოს
ჭრილობები ჩამობანე.

თაგოს მთაზე ნისლეგია,
ჩუმი ნაღველ-სიზმრებია,
შიგ ცრემლების პაწაწინა,
უჩინარი მისნებია...
იქნებ, შენივ ცრემლებია,
ზედ მიხლილი ზეცის კალთას...
წვეთ-წვეთობით ჩამოგდის და
წვეთ-წვეთობით ჩამოგბარდნა..
გაგბანს ტკივილს ლოცვებითა,
გააქარვებს ქარი, წყალი...
შიგ კი სული ინაცრება,
სინანულის თეთრი კვარი...
დაჰბერს ქარი — სამხრეთული,
ნისლს დაჰფანტავს შუბითაო...
მისველდება სამერდული
ჭრელა-ჭიატ შუქითაო.

მ მ ა

ევა!.. მეძახდი იმ სიზმრებიდან
აქ — სინანულის უფერო ფერში..
მზე მერღვეოდა სუსტი მხრებიდან,
ცა მეღვრებოდა, ჩამდგარა პეშვში.
აჰა, სამყაროც... რაღას მიაგებ
მის გაორებულ და შემცბარ
თვალეებს...

ჩამოგწყდა ღიმი — ცრემლი ბაგეთა,
უძირო ტბებში ჩაიმსხვრა მთვარე.
ევა! — ძახილი სამყაროს ქარებს
ვით ჟრუანტელი, მოჰქონდა შენთან...
არც შეგინდობენ..
მაგ ცოდვის გამო
მაინც ყველაზე ახლოს ხარ ღმერთთან!..

ასხლტება ღამე გამოღებულ
იისფერ სარკმელს,
გამოსალმების ფერი — ყვითელი
და პორიზონტი — გაბოლილი ბავშვობის
სარკე,
რომელსაც ჩუმაღ შეეხება ჩემი თითები...
ასხლტება მუზა, თავდაყირა დგანან
გრძნობები,
ნუ გაფრინდები, ჩიტო, ელადას...
აქ — ბედნაწამებ სამშობლოში
უფრო მჭირდები,
ვინმე ჩემნაირ ციცქნა გოგოს
წამოელანდე...
იცლება მკერდი,
გასაფრენი ღრუბლების ტყვრი...
და დაკაწრული მინდვრების სევდა...
და საქართველოს ღამესათევ,
ფიქრიან მერმისს
კვლავ დაჰკანკალებს პოეზიის ღამაში
ღვდა.

იენაბ სიყვარული მოისურვო...

იქნებ სიყვარული მოისურვო,
ჟამი მოიბრუნო სინედლისა...
იქნებ სიყვარული მოისურვო,
აკვანს გაგიწყოფდი ცხრაი
ყრმისა...
იქნებ სიღამაზე მოისურვო,
ხილვა სასოღქმნილი
მშვენებისა...
მძივად მოვიქსოვდი ციცაქალას,
კაბად — თაღზი ფერის
ყვავილისა...

იქნებ თავგანწირვა მოისურვო,
მინდვრებს დავედევნო —
ხოდაბუნებს...
უკან მობაკუნე ბატკნები და
ძუძუს მოძახილი მომაბრუნებს...
იქნებ საქართველოც გაიხსენო,
ველარ დასათმენი სინანული...
...იქნებ სიყვარული მოისურვო,
იქნებ მოისურვო სიყვარული.

ყურადღება, ვიღებთ!

„ოღონდ ერთ რამეში შევთანხმდეთ, ქალბატონო ვალიდა, არავითარი უხერხულობა, დაძაბულობა, თავისუფლად, ჩვეულებრივად გააკეთეთ თქვენი საქმე, თითქოს ჩვენ აქ არც კი ვიყოთ, შესძლებთ?, აბა დავიწყეთ, ყურადღება“...

ვალიდამ სიყვარულით მოავლო თვალი ჩაის ბუჩქს და მუშაობა დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ჩამოსულებს შეეჩვია, მაინც უხერხულად გრძნობდა თავს. ღელავდა, უნდოდა, რაც შეიძლება კარგად გამოსულიყო ეკრანზე. ჯერ ჩორჩი კვირტების კრეფა დაიწყო, მერე გაახსენდა, რომ მაყურებლებს შრომის გმირის სწრაფი მოძრაობები აინტერესებთ და აკვირებთ, და განურჩევლად გლეჯდა ყველაფერს, რაც ხელში ხვდებოდა. ჩალის ქუდი შუბლზე ჩამოეფხატა. ბაილონის „საპრაზნიკო“ კაბაში მომწყვდეული სხეული ოფლად დაიდვარა. „რას აკეთებენ ამდენ ხანს, ვეღარ დაამთავრეს?“ — ვალიდამ ოფლით დაცვარული ცხვირი საჩვენებელი თითით მოიწმინდა.

„დიდებული, შესანიშნავი იყო ყველაფერი, მაგრამ იცით რაა, მე მგონი ქუდი ოდნავ დიდი ზომის შევირჩევიათ, თუ რაღაც ამდაგვარი. თქვენი სახე თითქმის არა ჩანს. ასე რომ, გამეორება დაგვჭირდება ყველაფრის. თუ შეიძლება ღროებით ქუდი მოიხადეთ, არ არის საჭირო და დავიწყეთ როგორც გითხარით თავისუფლად, თავისუფლად!“

ავვისტოს თაკარა მზემ დააბრმავა ქალი, თითქმის თვალდანუჭულმა დაიწყო მუშაობა. „დამაყრის სახეზე ჭოროფლი, ყვითელი ტალები დამაჩნდება. შენი თავი გასკდა, თუ არ ეჩანდი, ადრე გეთქვა, ქუდი მოიხადეო, რას მაწვალელებდი ტყუილად“. — ბრაზობდა ქალი.

აპარატი, რომელიც ფუტკარივით ბზუოდა, გაჩუმდა და ვალიდამ შვებით ამოისუნთქა.

„დიდებულია, მაგრამ მთავარი რამ გამოძრჩა, ამიტომ ისეთი არ იქნება, როგორიც მინდოდა. კადრში მარტო თქვენ იქნებით. წარმოიდგინეთ უზარმაზარ პლანტაციაში ერთადერთი ქალი. არაბუნებრივია? რასაკვირველია! მე კი ნატურალური მინდა გამოვიდეს ყველაფერი, ბუნებრივი. თუ არ შეწუხდებით, ყველანი მოგვიახლოვდით, თამამად, თავისუფლად. ქუდები უკან, რომ სახეები მკაფიოდ გამოჩნდეს. ქალბატონო ვალიდა, ნურაფერს დაიხურავთ, ისე უნდა გადაგიდოთ, თორემ არაბუნებრივი

გამოვა. არ ივარგებს, ყველა თავსამკაულოთ რომ იყოს. დავიწყეთ, ჩვეუ-
ლი ოსტატობით შეუდექით საქმეს, ყურადღება, ალიკ, დრო მიდის! მეცხელა
მეცხელა
გალიდას ბრიგადა უმოწყალოდ ეძგერა ბუჩქებს. გარემო უცნაური
ბერებით აივსო, თითქოს დაჭრილი ნადირი მიიკვლევდა გზას.

„ვისაც ტელევიზორში დაინახავს, სუყველას შენატრის დედაჩემი
და მე რომ გამოვჩნდები, იტირებს საწყალი. ბავშვებიც გაიხარებენ, სკო-
ლაში მოიწონებენ თავს.“ — საკუთარ ფიქრებს უდიმოდა მადლენა ჟღენტი.

„ჩემო ღმერთებო, ერთი წუთით ყურადღებას ვითხოვ. ასეთი დამწუ-
ხრებული სახეებით მხოლოდ პანაშვიდზე შეიძლება სიარული. ნუთუ არ
გიხარიათ, რომ მთელი რესპუბლიკის წინაშე წარსდგებით? ქალები ბრძა-
ნდებით და ჩემგან არ გესწავლებათ. უფრო მეტი მომხიბვლელობა, სიდა-
რბაისლე, სინაზე — ყოველივე უნდა გამოჩნდეს თითოეულის მოძრაობა-
ში. კიდევ ერთხელ ვცადოთ, გაიღიმეთ, ალიკ, поехали!“

ფუტკარი ისევ აზუზუნდა და ბრიგადირი ქოლგასავით შეეფარა სა-
სიამოვნო ფიქრებს. „მთავარი პირველი ნაბიჯია, ამათ ასე იციან, თუ
ერთხელ გადაგიღეს, მერე სულ მოგაკითხავენ. ამოგიჩემებენ და წერენ
გაზეთში გეგმას. გადააჭარბა და გეგმას გადააჭარბაო, ვითომ რაც საქარ-
თველოში ჩაი მოყავთ, სამი-ოთხი ქალის ზელითაა მოკრეფილი, დანარ-
ჩენებს არც ახსენებენ, სადღაც კუთხეში მიაწერენ „და სხვებით“.

„რატომ გაჩერდი?“

„სახეები არა ჩანს. არ ღირდა ამ ადგილზე გადაღება. გეგონება,
ქულები კრეფენ რაღაცას, გეფიცები, მოდი, თუ გინდა, შენ თვითონ ნახე“.
რეჟისორმა თავიდან გაჭირვებით მოიძრო სპორტული ქუდი. შუბლ-
ზე წითელი ზოლი გამოუჩნდა.

„ეა, სიცხეში ეტყობა თავი დიდდება — აი, პოგიჭირა არა?“ — გაუ-
კვირდა ოპერატორს.

„ყველაფერში მაზალო რო ხარ, ადრე ვერ მითხარი, თუ არაფერი არ
ჩანდა? ჩემი წერებების მჭამელი ხარ და ეკ არი“.

ქალებმა ჩაის კრეფა შეწყვიტეს და ახალი ბრძანების მოლოდინში
უკმაყოფილოდ შეჰყურებდნენ მამაკაცებს.

„უნდა გვაპატიოთ, პატივცემულებო, პატარა შეცდომა მოგვივიდა.
რამდენიმე წუთით შევისვენოთ და შემდეგ ზელახლა შევარჩიოთ სამუშაო
ადგილი, რას ვიზამთ, შეცდომებზე ვსწავლობთ“... — რეჟისორი იქით-
აქით დარბოდა, ჰაერში მოკლე მკლავებს იჭნევდა და შორიდან პუჩქზე
მოცეკვავე სათამაშო კაცუნას გავდა.

ბრიგადამ შვებით ამოისუნთქა და გზის პირას მდგომ ხეს მიაშურა.

„არ უნდა ჩამეცვა ახალი ფეხსაცმელი, დამამტვრია ფეხები“ — ბრი-
გადის ყველაზე ხნიერმა წევრმა კალათიდან გაზეთი ამოიღო, მიწაზე დაა-

ფინა, ზედ ფეხსაცმელები დააწყო და თვითონ გვერდით მიუჯდა. ზანარ-ჩენებმაც მას მიბაძეს.

ტელევიზიის მუშაკებმა ერთმანეთს გადახედეს.

„რას მიყურებთ? თქვენ ვეგონათ, ინგლისის დედოფალთან მიდიოდით მიღებაზე? სოფელია ძმაო, სოფელი!“

„თუ ნატურალური გინდოდით, ასე არ უნდა წამოგვეყვანეთ. ყველამ იცის, რომ ასე მორთულ-მოკაზმული სამსახურში არავენ დადის.“ — უსაყველურა ვალიდამ რეჟისორს.

„ცამდე მართალი ბრძანდებით, ქალბატონო, მაგრამ ხელოვნებას თავისი კანონები აქვს და მას უნდა დავემორჩილოთ. მოითმინეთ, შევეცდები ეხლავე აგისხნათ. წარმოიდგინეთ ხასხასა მწვანე ფონზე ლურჯი და შავი ლაქები. ლამაზია? რასაკვირველია არა. თქვენ კი სუფველანი, ფერად კაბებში გამოწყობილნი, ლაჟვარდოვანი ცის ქვეშ გაშლილ მინდვრის უცხო ყვავილებს გავხარო.“

„სხვისი არ ვიცი და, მე ისე ვოფლიანდები სინთეტიკაში, რომ მტრისას. კიდევ დიდხანს თუ გააგრძელეს ჩვენი წვალება, ნახავენ, უცხო ფერადი ყვავილები რა არნახულ სურნელებას აფრქვევენ“. — ჩაილაპარაკა მადლენამ.

„რა ბრძანეთ?“ — რეჟისორი ქალებს მიუახლოვდა.

ყველაზე ახალგაზრდა ისე გემრიელად აკისკისდა, სუყველა აიყოლია.

„ასე არ ჯობია, იუმორით, იუმორით უნდა იხელმძღვანელოთ ცხოვრებაში და ას წელს იცოცხლებთ“. მუბლი გაეხსნა აშკარად ნადრევად თბავაცვნილ რეჟისორს. „ახალგაზრდა, მშვენიერი გოგონა ოცნებობს გახდეს შრომის გმირი. შესანიშნავი ტიპაჟია, რაც მთავარია, არავითარი, სიყალბე, ყველაფერი ნატურალურია. როდისმე მოვიცლი და სპეციალურად ჩამოვალ ამ ზღაპრულ მიდამოებში ფილმის გადასაღებად. თქვენი სახელი?“

„ზიმაზი“ — დაიმორცხვა მომავალი ფილმის გმირმა.

„დაა“, — რეჟისორმა წინ და უკან სირბილი შეწყვიტა, ეტყობა, გოგონას სახელმა მასზე მაინც და მაინც დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა.

„სოსო ბატონო, ვიდაცას მაგონებთ“. — ისევ აკისკისდა ქალიშვილი.

„კარლსონს, არა, თუ ვინიპუხს?“ — ნაძალადევად გაიღიმა სოსო ბატონმა.

„არა, არა! იცით, ასე მგონია, ინდიელები თეთრკანიანებს თავის ქალას რომ ხდიან, მუბლზე მაგრად უჭერენ რამეს და თქვენნაირი წითელი ხოლი აჩნდებათ“.

„დიდი ფანტაზიის მქონე ყოფილხართ. ასეთი რამ ჩემთვის ჯერ არავის უთქვამს“. — გამხიარულდა რეჟისორი, მანქანასთან მიივრბინა,

სარკვეში ჩაიხედა და ახარხარდა. საჭესთან მჯდომმა კაცმა ცალი თიხი გააჩლია და ისევ დახუჭა.

„გარიკ! რას მიეწეებ მანქანას, გადმოდი, მანდილოსნები ეგებ რომელიმე იხე მოგზიბლოს, სამუდამოდ აქ დარჩენა გადაწყვიტო“.

„მაცალე რა, იოსიფ, ეგენიც თუ ქალები არიან“. — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა მძღოლმა.

რეჟისორმა ხის ძირას წიწილეებით თავშეფარებულ მეჩაიებს შეა-
ელო თვალი და გული ეტკინა.

„თქვენებური ქალები უკეთესები არიან, როგორ არა, მამა გიცხონ-
დება. არ გავიგონო, იოსიფი დამიძახო, ბატონო სოსო-თქო, სხვანაირად
არ მომმართო, უფურე ერთი, რა ტონით მელაპარაკება“...

„ნუ ესპორები, „შემთხვევით“ ზრამში არ გადაგვიხოს“, — დაამშვი-
და ბატონი სოსო ოპერატორმა.

„ჩხუბი საერთოდ უცხოა ჩემი ბუნებისათვის“. — ქალებს მიუბრუნდა
რეჟისორი, „მხოლოდ ზელოვანის ბობოქარი სული ზმაურობს ჩემში. რა
ქვია ხეს, რომლის ქვეშაც ვისვენებთ?“

„ბჟოლა, მომსპარია ყველგან, ეს გადარჩენილა შემთხვევით. ბოტანი-
კას არ ასწავლიან ქალაქში?“ — დამცინავი მხერა ესროლა ზელოვანს
ნორჩმა ნატურალისტმა.

„ეჰ სკოლა, სკოლა, ხუჭუჭა ბიჭი, წიგნებით ხელში, ბებოსთან ერ-
თად მიყვება ღაღმართს“...

„მარტო ვერ აგნებდით გზას?“ — მოგონებების მორევებიდან ამოატი-
ვტივა ზიმაზიმ სოსო ბატონი.

„ნუ ატლიკინებ ენას, გოგო!“ — ვალიდა წამოდგა, „გეყოფათ ავდგეთ,
თორემ გაგვიცდა მთელი დღე“.

„მართალი ბრძანდებით, სწორედ მაგის თქმას ვაპირებდი, დამასწა-
რით. საქმეს მივხედოთ, ქალბატონებო, დავიკავოთ ადგილები, მე მგონი,
მშვენიერი პანორამაა. ალიკ, შენ რას იტყვი, დავიწყოთ? აბა ხალისიანად
და, რაც მთავარია, თავისუფლად“.

ქალები ადგილიდან არ იძვროდნენ. „ეს ბუჩქები გუშინ დაგამუშავეთ,
ცოტა ქვემოთ ჩავიდეთ, ჯობია“ — ურჩია რეჟისორს ბრიგადირმა.

„ასე დილაშდევ ვერ დავამთავრებთ მუშაობას. ნუ მეკამათებით, მე
უკეთ ვიცი, რა ჯობია. როცა ჩვენ წავალთ, მაშინ გააკეთეთ ის, რაც
გსურთ, ახლა კი რამდენიმე წუთი გვადროვეთ. დავიწყოთ! დიმილი — ხა-
ლისიანი, დავტყეოთ შრომის სიმღერა. ალიკ, მიდი!“.

ზიმაზიმ რაღაც ჩაულაპარაკა ქალებს და ისევ გამხიარულდნენ კოლ-
ჩეურნეები.

„ადარ მორჩა შესვენება?“ — წარბი შეიკრა სოსომ.

„ნატურალური, ნატურალურიო. რომ კიჟინობთ, გაკრეფილ ბუჩქზე

როგორ ვიმუშავოთ. გეუბნებით, არა აქვს ფოთოლი-მეთქი და არ გვიყვარებთ — ვალიდა პლანტაციის შუაგულისაკენ დაიძრა და ქაღალდის ფურცლია. რამდენიმე მეტრის გავლის შემდეგ შეჩერდნენ. „ჩვენ შუაგული ფურცლებისთვის არ გვცალია. თუ უნდათ, გადავიღოთ, თუ არადა, დაგვანებონ თავი. მაგის ნატურალური კი ვიცი მე, უსაქმურები!“

„როგორც თქვენ იტყვით, ისე მოვიქცევით. მე ხომ აგრონომი არა ვარ. ბუჩქები სავსეა ფოთლებით, რას ვიფიქრებდი, თუ გაკრეფილია.“ — ბუტბუტებდა სოსო და ქაღლებისაკენ მიიკვლევდა გზას.

„შესანიშნავი ადგილი ამოვიჩვენებთ, რომ იცოდეთ, როგორი ღამა-ზები, როგორი კარგები ჩანხართ აქედან. გემუდარებით, რამდენიმე წუთი კიდევ შემოგვწირეთ და აბეზარი ბუზებივით თავს აღარ შეგაწყენთ“.

ზიმაზიმ თავი კალათაში ჩარგო და სიცილი დაიწყო.

„გეყოფა გოგო, რა დაგემართა დღეს“. — დაუცაცხანეს ქაღებმა.

„უიჲ დედა, აღარ შემიძლია“, — ცრემლებს იმშრალებდა ქალიშვილი, „არაფერი უჩანს, თავის გარდა“.

ბატონი სოსოს სხეული სრულიად დაეფარათ ბუჩქებს და რეჟისორი თავისი წითელი კეპით ბებიის მოსაკითხავად წასულ გზააბნეულ წითელქუდას ჰგავდა.

„ზედმეტი სიცილი სახეზე ნადრევ ნაოჭებს გაგიჩენს. მზადა ხართ, ქალბატონებო? ყურადღება, ალიკ, где ты?“ — სოსომ მიმოიხედა, მის უკან არავინ იყო. „ალიკ, არ გესმის, რო გეძახი, კაცო?“ — დაიღრიალა რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

ქაღებმა სიბრაღულით გადახედეს ბუჩქებზე მიღრიალე კვანძივით მრგვალ თავს.

„მოკვდება ამდენი ნერვიულობისაგან ეს საცოდავი“, — ამოიოხრა ღამზირამ.

„რა ქნას, ასეთი ძალღური სამსახური აქვს, მაგაში უხდიან ფულს“. — შეეცოდა რეჟისორი მადლენასაც.

„რადაც გაუგებრობაა, ესლავე დაებრუნდები“. — დაიბარა თავმა და გაქრა.

„რა ვქნა, სოსო, შიში მაქვს ბავშვობიდან. მრცხვენია, მაგრამ ვერ წამოგყვები. ახლოს რომ იყოს, გზისპირას, როგორც ვიღებდი, კი, ბატონო, და იქით — არა“. — თავს იმართლებდა ალიკა.

„გრხცვენოდეს! როგორ დროს მიღალატე. ეს ქაღები მთელი ცხოვრება აქ მუშაობენ და შეეკითხე, თუ შეხვედრიათ როდისმე, შენ რომ გეშინია, ის ცხოველი“, — საფეთქელს ისრესდა აბობოქრებული ზელვანია.

„მე მშიშარა არა ვარ, ხომ იცი, თევზაობა მიყვარს, ნადირობა, დათვის პირისპირ შევეყრევარ, მაგრამ ღრმად ვერ შევალ, არ შემიძლია“. — ჭირვეულობდა ოპერატორი.

„იოსიფ, არ შეუძლია კაცს და რა ქნას?! მოეშვი, ცოტა დაიხვეწე და სხვა რამე მოიფიქრე“. — მანქანიდან თავი გამოყო გარიკამ.

„ზომ გაგაფრთხილე, იოსიფი არ დამიძახო-თქო“ — სოსომ თავიდან კეპი მოიგლიჯა და ხის ძირას ჩამოჯდა. „ჩემმა შვილმა დამინახოს ერთი, რა დღეში ვარ ამ ორი იდიოტის ხელში. როგორც არ გადაიფიქრებენ ის და დედამისი თეატრალურში საბუთების შეტანას, ორივეს დავახრჩობ!“

„კარგი ეხლა, ნუ ღელავ! პირველად რომ გადავიღე, იმას გავუშვებ!“ — ალიკამ ბოტასები გაიხადა და ბალახის გულმოდგინედ დათვალიერების შემდეგ რეჟისორის გვერდით წამოწვა.

„როცა გამოვლენ, ინტერვიუს ჩამოვართმევ და აბა შენ იცი, სისხლს თუ არ ჩამიქცევ, შვილი მყავს ინსტიტუტში მოსაწყობი“. — ბატონი სოსო ტკბილეულის გარეშე დარჩენილ განაწყენებულ ბავშვს ჰგავდა.

ბრიგადის დაბრუნებამდე სამივემ მოასწრო გამოძინება.

„ჭეშმარიტად, შრომა აკეთილშობილებს ადამიანს“. — შეეგება საკმაოდ შელახულ ქალებს ნერვებდაწყნარებული რეჟისორი. „ახლა რამდენიმე შეკითხვა და მეტს აღარ შეგაწუხებთ“.

„არა, შენი ჭირიმე, ჯერ ვისადილოთ და მერე ვილაპარაკოთ. სატვირთოს დაველოდოთ, თუ თქვენი შოფერი წავგიყვანს?“.

„დიახ, რასაკვირველია, უცებ ვერ მოვიფიქრე. დაბრძანდით, ეველანი დავეტევი. ალიკ, აპარატურა არ დაგრჩეს“. — ისევ აფორიაქდა ბატონი სოსო.

გარიკა უკმაყოფილო სახით ათვალიერებდა ქალებს.

„ოხ, ამის ზეთა სიფათს ვერ ვიტან. პენსიაზე გასვლის წინ ვცემ!“ — სოსომ თავისი ადგილი ალიკას დაუთმო და თვითონ ქალებთან დაჯდა.

ვალდას ჭიშკართან კოლმეურნეობის თავმჯდომარის მანქანა იდგა. „სადა ხართ ამდენი ხანი, დაიხოცა, ალბათ, ხალხი შიმშილით“, — ეზოში შეუძღვა ჩამოსულებს ჯოაკომო მამალაძე.

ალიკამ და გარიკამ სუფრას მიაშურეს.

„ანტიხანიტარიის მაგალითს იძლევი“, — კბილებში გამოსცრა რეჟისორმა და კარ-მიდამოს დათვალიერების სურვილი გამოთქვა.

„გაყევი დედა“, — უთხრა უმცროს ვაჟს ვალიდამ.

ჯოაკომომ სოსოს მოსვლას არ დაუცადა და ჭიქები შეავსო. „ახლა იმისთანა სადღეგრძელოს ვიტყვი, რომ სუფევლას შეგაყვარებთ თავს. თქვენს ჩამოსვლას და ჩვენ დახვედრას გაუმარჯოს!“ — მოკლედ მოსცრა თავმჯდომარემ.

„გაუმარჯოს! მე მეგონა დიდხანს გააგრძელებდით და თქვენ ისე გვა-სიამოვნეთ...“ — სტუმრების ჭიქები წამში დაცარიელდა.

„გარიკ! შენ მაინცდამაინც თავს ნუ შეიწუხებ, გზაზე ვდგევართ“, —



გააფრთხილა მძლოლი ეზოს დათვალიერებით დაკმაყოფილებული-
სორმა.

ლაგვიანებულს „ჯარიმა“ დააღვეინეს და თავმჯდომარემ სიტყვა
ითხოვა. „ახლა ისეთ რამეს ვიტყვი, არასოდეს რომ არ გაგიგონიათ.
მშვიდობას გაუმარჯოს მთელ დედამიწაზე, მშვიდობას!“

„ეგ სადღევრძელო კი არა, ღოზუნგია“. — ბატონმა სოსომ კეცის ხა
ჭაპური ჩაეპინა და სიამოვნებისაგან თვალები დახუჭა.

„არ მიჭერ მხარს?“ — ხმაში სუსხი გაერია თამადას.

„რას ბრძანებთ, პირიქით“, — რეჟისორმა თვალები დააჭყიტა, „სხვა-
ნაირად არ იფიქროს რამე ამ ოხერმაო“. ვალიდამ ჯაბი მიაწოდა. წით-
ლად შებრაწული წიწილა ყვითელ, სურნელოვან სითხეში ცურავდა.

„ჩემი ცოლის გაკეთებული ბაჟე კი რატომღაც მწვანე ფერის გამო-
დის“. — შესწივლა ბრიგადირს სოსომ.

„ცოტა ნივთს უშვება და ბევრ მწვანილს, სინამდვილეში კი პირი-
ქით არის საჭირო“ — ასწავლა რეცეპტის გასაუმჯობესებელი საშუალება
ვალიდამ.

„ეხ, ბაზარს ცეცხლი უკიდია“. — ქათმის თეთრი ხორცი გადბოიღო
სოსომ. ბაზარში ნაყიდ ქათამს ცოლი ბავშვებს უზოგებდა, სოლო ინკუბა-
ტორის კვერცხებიდან გამოჩეკილ უცნაური შეფერილობის მქონე ფრთო-
სნებს ხელოვანი ახლოს არ ეკარებოდა.

„მგზავრობას ხომ არ შეუწუხებისხართ?“ — ეკითხებოდა სტუმრებს
თამადა.

„არა, კარგად ვიმგზავრეთ“, — ყველას მაგივრად გასცა პასუხი გარი-
კამ.

„შენ სადაური ხარ, არ გავხარ ქართველს“. — გაეპრანჭა ახალგაზრ-
და კაცს ზიმაში.

„ჰო, თქვენებული არა ვარ“.

„ბებიანების გამოზრდილი ინდაურივით კი ყლაპავ გამოუმცხვარ
ჭადს და, ჩვენებული თუ არ იყავი, რა ვიცოდი?“ — კისკისებდა ქალი-
შვილი.

„მართლა გამოუმცხვარია?“ — ჭამა შეწყვიტა გარიკამ.

„არა, დედა, ამ თხას უყურებ?!“ — ვალიდამ ნიგეზიანი ბადრიჯანი
დაუდო თეფშზე გარიკას, აინტერესებდა თუ შეჭამდა.

გარიკამ ისევ შეწყვიტა ჭამა.

„ყველა კეთილ კაცს გაუმარჯოს, ოხერი და მამამადლი ჩვენშიც ბე-
ვრია. ერი თავისი სულგრძელობით ფასდება. ადამიანს შენი ზეცის ქვეშ
ღამეს რომ გაათევინებ და დედამიწაზე ფეხს დაადგმევინებ, ღვიძლად მი-
გიღია და აღარაფერი წამოაყვედრო, სტუმარ-მასპინძლობის წესის დარ-

ლევია სირცხვილია“. — თამადამ უფრო დიდი ზომის სასმისი მოიჭრებო და კეთილი კაცის სადღეგრძელო შესვა.

გაბადრულმა გარიკამ სადღეგრძელო აიტაცა.

ვალადა უკვე შეჭიკჭიკებულ მამაკაცებს აკვირდებოდა და მოუსვენრობა იპყრობდა. „ორი-სამი ჭიქა კიდე და ესენი არაფრის გამკეთებლები აღარ არიან“. ვალადამ ჯიბიდან ზიმაზის ხელით გადაწერილი ფურცელი ამოიღო და „სოსო ბატონს“ გადააწოდა.

„ჩემი გამოსვლის ტექსტია. ორი კვირაა თქვენს ჩამოსვლას ექლოდებით და მე და ჩემმა გოგოებმა დიდხანს ვიფიქრეთ, სანამ მაგას დავწერდით. ცოტა კი გვეშინოდა, მაგრამ თქვენ სულ ნატურალური, ნატურალური, გაიძახით და ამაზე უფრო ნატურალური ჯერ ღოკუმენტი არ შეგედეგენია“.

„კიდეც კარგი, შეგეანერეთ, თორემ მე მთავარი სულ გადამაეცყდა. უკაცრავად, თამადას, ალბათ, არ ეწყინება, თუ რამდენიმე წუთით დავტოვებთ. ალბ, მე მგონი აშოლტილი სიმინდების ფონზე კარგი იქნება, აბა გისმენთ, ქალბატონო ვალიდა“.

„კითხვებს არ დამისვამთ?“

„არა, მაგას თქვენი ტექსტიდან გამომდინარე რელაქტორი ათქმევინებს რაიმეს დიქტორს“.

„ძვირფასო მეგობრებო!

უპირველეს ყოვლისა მადლობას მოგახსენებთ იმ ყურადღებისათვის, რომელსაც სოფლის მშრომელების მიმართ იჩენთ და თავს ნებას ვაძლევ ჩვენი სატკივარი მოგახსენოთ.

ახლა ზაფხულია, უმრავლესობა ისვენებთ, ჩვენ კი ერთი წუთითაც ვერ მივატოვებთ პლანტაციებს, ისედაც გვაკლია მუშახელი. უფროსი ქალიშვილები გვეხმარებიან, თუმცა ყოველთვის ვერა, რადგან სახლსაც უნდა მიხედვა. ბიჭები კი, ბიჭები უსაქმოდ დაეხეტებიან ერთი ქუჩის ბოლოდან მეორეში, სადგურში ავტობუსების თვალიერებაში კლავენ დროს. აგარაკები ახლოს გვაქვს, სანატორიუმებითა და დასასვენებელი სახლებით, მაგრამ საგზურების შოვნა თითქმის შეუძლებელია. ათ კაცზე ერთი საგზური მოდის და ისიც ყოველთვის არა. წარმოიდგინეთ, როგორი გულდაჯერებული ვიმუშაებდით, რომ ჩვენი შვილები მანქანების გამონაბოლქვის მაგივრად სუფთა ჰაერს ყლაპავდნენ. სანამ პატარები იყვნენ, პიონერთა ბანაკები გვშველოდა, ახლა კი საფიქრალი მოგვემატა. საგზურებით თითქმის ერთი და იგივე ხალხი სარგებლობს. სეზონი გაიხსნება თუ არა, კურორტის დირექტორის მრავალრიცხოვანი ნათესავებით დახუნძლული მთავრობის ავტობუსი რამდენიმე გზას აკეთებს სამტრედიის სადგურში მათ შესახვედრად და დასაბინავებლად. ექიმებად არიან გაფორმებულები, ფულსაც აკეთებენ და ცოლ-შვილსაც ასვენებენ. იტყვი რამეს და ინტრი-



განს დაგიძახებენ, თუმცა, თქმა რა საჭიროა, ისედაც ყველაფერი იცის.

ავტობუსებიც სპეციალურად ვახსენე. ჩვენ სატვირთო მანქანას დაგვყვართ სამუშაოზე და სანამ ადგილზე მივალთ, ერთმანეთში ვითქვიფებით. წინათ ესეც არ გვქონდა და ფეხით გვიხდებოდა სიარული...

ძნელია ჩაიში მუშაობა. მართალი ვითხრათ, რაც მე ჯანი და ახალგაზრდობა პლანტაციებს შევალე, სხვა საქმეზე რომ დამეხარჯა, ვინ იცის, რა გამოვიდოდი. რამდენი სამეცნიერო ინსტიტუტები გვაქვს, ვერც კი დაიმახსოვრებს ადამიანი, ნუთუ არ მოვიდა დრო ისეთი მანქანები გამოიგონონ, შრომის პირობები რომ გაგვიუმჯობესდეს და ახალგაზრდობაც გვერდში ამოგვიდგეს, თორემ შორიდან ჩვენი თავმჯდომარეც კი გვეზმარება. ჩაგვიქროლებს მანქანით და, „აბა თქვენ იცით, ქალებო, არ შემარცხვინოთ, თორემ გაგაძრობთ ტყავსო“, დაგვჩხავის. ნეტავი სეზონზე მეცნიერები, გამოგონებლები გვესტუმრებოდნენ, მუშაობისაგან წელში რომ გაწყდებოდნენ, აი მაშინ აუცილებლად გამოიგონებდნენ საკრეუ მანქანას. კარგს, თორემ უხეირო გვაქვს კიდევაც და ვერ გამოგვიყენებია. თუ არადა, მაშინ ხარისხს ნუღარ მოგვთხოვენ. ოღონდ გვემა შევასრულოთ და ხარისხისათვის ვის ცალია. გაგანია სიცხეში ადვილი გვინათ მუშაობა?

გაზაფხული დადგება თუ არა, გავახსენდებით აკადემიკოსებს, პოეტებს, მწერლებს. ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ეგებ გაზეთებით მოკითხვას ჩვენთან ჩამოსვლა სჯობდეს. ვიცით, მოცლა არა აქვთ, წიგნების წერას დიდი დრო მიაქვს. ჩვენ კი, გეფიცებით, ერთი, თუნდაც ჩვენებური კაცი რომ გვეწვიოს, თავისი დარდი გაგვანდოს, ახალი ლექსები წაგვიკითხოს, თითოეულ ჩვენთაგანს მთელი სიცოცხლის მანძილზე დაგვჩება მოსაგონებლად, თორემ აბა ჰე და აბა ჰოო, შორიდან ადვილია შაირი.

გამოვა ტელევიზორში ისეთი ჩაცმულ-დანურული კაცი, პირდაპირ შეგშურდება, და მღერის „ახალგაზრდებო სოფელში დარჩითო“... ვინ უჯერებს ძერე მაგას? არავინ! ყველას მასავით შარვალ-ხალათი უნდა და ისე ხშირად სიარული სხვაგან, როგორც მისი ანსამბლი დადის.

სიმღერითა და ცეკვით საქმეს არ ეშველება. სოფლიდან წამოსულ ახალგაზრდებს ნუ შეუქმნით მანდ დარჩენის პირობებს — ბინას, სამუშაოს და როდემდე იქნებიან უსაქმურად? ერთხელაც იქნება, ჩამოვლენ უკან.

ჭკუის სწავლება წინათ იყო საჭირო, ბნელები როცა ვიყავით, თორემ ახლა სხვას ვასწავლით, რასაც გნებავთ. თქვენ ოღონდ თემა გვითხარით და ჩემი ქალები წაიკითხავენ ლექციებს. ასე რომ, თუ ვინმეს ჩვენზე მართლა გული შესტკივა, ეგებ ჩამოგვაკითხოთ და ერთად მოვიფიქროთ, რისი გაკეთება შეიძლება. მარტო კლუბის აშენება ვერაფერს გვი-

შველის, რემონტი ჭირდება ყოველ წელიწადს და ამით არის ღირსშესანიშნავი.

შორიდან ყველას გიცნობთ, მოგვკდით ტელევიზორში თქვენს ყურებში. ჩამობრძანდით, გვესაუბრეთ, გაგვეცანით. ეგებ თვითმოქმედება გადაგიხალისოთ, ან სპორტული ჯგუფები ჩამოაყალიბოთ (ფიზკულტურის მასწავლებელს პატარა ხელფასი აქვს და არ აინტერესებს არაფერი), ეგებ ტალანტები აღმოაჩინოთ... მოგეთობით, მოგესიყვარულებით, ვალში არ დაგრჩებით...

აი, ის მცირედი, რისი თქმაც გულმა გვიკარნახა. ახლა კი გემშვიდობებით და ჩვენი სოფლის სახელით პირობას ვიძლევი, რომ ძალ-ღონეს არ დავიშურობთ, რათა აღებული გეგმა-ვალდებულებები გადაჭარბებით შევასრულოთ და მწვანე ოქრო არ მოვაკლოთ ქვეყანას.

ვალადა გაჩუმდა. ყველა „სოსო ბატონს“ უყურებდა.

„კარგად ლაპარაკობდით, მშენიერად. ნატურალური იყო ყველაფერი, მე მგონი, ზედმეტად ნატურალური“...

„ჩემს შესახებ შენიშვნა არ იყო სამართლიანი. მე ხელმძღვანელი ვარ და ჩაის კრეფა არ მეხება. ისე, სხვამხრივ ყოველთვის მხარში ვუდგავარ, რასაც მთხოვენ, ვუკეთებ, საგზურები მე არ მეხება. მე რომ მახსენებს, ის აღგილი შეკვეცით, სოსო ბატონო“, — აღელდა თამადა.

„მე მგონი, თქვენზე არაფერი ცუდი არ უთქვამს, მაგრამ თუ გნებავთ, შევამოკლებ“, — რეჟისორი მაგიდას დაუბრუნდა და გარიკას ძვლებით ხავსე თეფშის დანახავზე სიბრაზისაგან ქლიავივით გალურჯდა.

„ვერსად ვერ წაიყვან, მოგჭრის თავს“, — გაიღმა ცალყბად.

„რა ქნას კაცმა, მოსწონს, ნატურალურია ყველაფერი, ნატურალური!“ — გამწიარულდა ზიმაზი.

მაგიდას ჯოხზე დაყრდნობილი მოხუცი ქალი მიუახლოვდა და ისეთი თვალებით შეხედა რეჟისორს, რომ ამ უკანასკნელს გარიკას ყბას გადარჩენილი ქათმის ფრთა კისერში გაეჩხირა.

„ჩემი დედამთილია“. — წარუდგინა სტუმრებს დედაბერი ვაღიღამ. „მეგონა, გემინათ, დედა, და არ შეგაწუხებ, ავერ დაბრძანდით!“.

„ოჯახის უფროსის გარეშე ქეიფობთ, მე არაფრად მაგლებთ, ჩემს რძალს სხვადასხვა მხრიდან უჭიტინებთ, სურათებს უღებთ და ასულელებთ. სარგებლობთ ჩემი აუადმყოფობით. ერთი ორი წლის წინათ ჩამოსულიყავით, გაჩვენებდით სეირს! მაგაზე უკეთესად ვკრეფდი ჩაის, მაგრამ კინოში არავის გადაუუდივარ...“

„დაა, ჩვენი წასვლის დროა“, — სინანულით თქვა რეჟისორმა და ვეხზე წამოდგა.

„ნუ მიაქცევთ ყურადღებას, საწყალი ასი წლისაა, დაბრძანდით, საუ-

კეთესო სადღეგრძელოები მაქვს სათქმელი“. — ეხვეწებოდა მანქანისკენ მიმავალ სტუმრებს ჯოაკიმო.

ქალები წამოიშალნენ და ღვინით, არყით, თბილით, სიმინდით, კვანთით და ჭადის ფქვილით აავსეს რაფი.

„რატომ წუხდებით, ჩვენ ჩვენს მოვალეობას ვასრულებდით, უღრმესი მაღლობა, ყველაფერს ისე გავაკეთებთ, როგორც თქვენ გავიზარდებთ. ჩემს ზარს ელოდეთ!“ — იღიმებოდა თვალზე ცრემლმომდგარი სოსო ბატონი.

ჯოაკიმოს მიერ შეგულიანებულმა ზიმაზიმ გარიკას ძალით გამოაფრინა ფანჯრიდან თავი და მაგრად აკოცა. ამ უკანასკნელის სახის შემჩნევარე, ალიკამ ფოტოაპარატი მოიმარჯვა.

მანქანა მოულოდნელად დაიძრა და რეჟისორის მუჭში მიძწყვდიული მარჯვენა კინაღამ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შერჩა ხელში.

გზაში არყის ბოთლი გატყდა და ალკოჰოლის სუნით შეწუხებულმა სოსომ (რომელიც ცუდად იტანდა მანქანით მგზავრობას), რამდენჯერმე აღებინა...

ვალედას ბრიგადა ამაოდ ელოდა ზარს თბილისიდან, ბოლოს, როგორც იქნა, ტელევიზორში მათი სოფელიც აჩვენეს. მეჩაიეებს შრომითი წარმატებები მიულოცეს და შემდგომი წინსვლა უსურვეს—პოეტმა, აკადემიკოსმა, სახალხო მხატვარმა, ფესტივალის ლაურეატმა ახალგაზრდა მომღერალმა, ოლიმპიურმა ჩემპიონმა, საავიაციო ქარზნის მოწინავე ზარატმა... ბრიგადირის სიტყვა იმდენად შეეკვეცათ, რომ საერთოდ ამოეღოთ, სამაგიეროდ ალიკას ბრწყინვალედ გადაეღო ლურჯი ცის ფონზე ფერადი ყვავილებით გაბნეული მეჩაიეები, რომელთა სურათის ქვეშ ლამაზი ასოებით ეწერა „გმაღლობთ, შესანიშნავი გარჯისათვის!“.



სალამი, ჩემო სიყვარულო!

სალამი, ჩემო სიყვარულო,
შენს დაბრუნებას
რომ შევესწარ,
აღარ მწვდება ყელზე საყელო.
მე მოგიყვები ჩემს ისტორიას,
არა იმიტომ,
რომ იტირო,
ან იდიდგულო.
არამედ ღამით,
რომ შერჩები მარტო სასთუმალს,
იფიქრო მაზინჯ სიმართლეზე,
რომელიც სჯობნის ღამაზ
ტყუილებს.

შენ სად იყავი,
შორი სავალი,
ხმაურიანი ასე ადგილი
ვერ გავიხსენე.
ბორბლებზე იდგა მღვრიე ქალაქი
და ქუჩის ნაცვლად
შმაგი ტრანსპორტი
ჩემს გულმკერდზე გადადიოდა.
ხელებმაც თითქოს
უსაშველოდ გაუშვეს ჩრდილი,
კაცებს ზინკალი და ფეხბურთი,
ქალებს კაბები —
სხვა რამ არ ჰქონდათ
საღაპარაკო.

ქურდიც,
მსაჯულიც
და მეძავიც
ვერ გავიგე —
რად მიმზერდნენ
ეჭვიან თვალით.
ჩემი შუადღე

ანდა აპრილი,
მათ სახლთან ახლოს
ზომ არ ჩაივლის,
ან იქნებ უკვირო,
უპოვარმა
ვით გავიჩინე მისამართი
და მტერიან ქალაქს
გამოვსტაცე ნაზი
ფავილი.
წამხედურობა — იქცევა მოღად,
წამოიზრდება ჩემი გოგონა
და ალბათ ისიც
სიმართლოვეზე ჯვარდაწერილ
საკუთარ მამას
სიცივის გუნდას
ღამიშენს, ალბათ.
რადგანაც მოდის საუკუნე
თოშის და იჭვის,
იზრდება ერთობ
კუჭისა და სამოსის
როლი.
ო, სიყვარულო,
ყოვლისშემძლე,
ყოვლისდამტევე,
გაუთბე გული
შენს ნაშიერს,
გაუფხიზლე
გრძნობა,
გონება,
თავზედი ცრემლი
მიუსტუმრე,
რადგანაც შენი ძახილი
ქვეყნად
სულ ყველას როდი გაუგონია.

ივერიე, კარგო,
ნამეტანი „ჭკვიანად“
ცხოვრობს,
ძმაჰაცი ჩემი,
გრძელი ღამე —
თათრის ბაიათი
არ გაუტყდება
შეშფოთებით
და ფერად სიზმრით.
მიმოხველ, ჩემო

სიყვარულო,
მშვიდობა შენდა,  ქართული
წიგლისათვის
რომ შემატები,
მე გაზაფხულს
უნდა ვემატო,
რომ ტკივილებით
შემოვიღეს სამყარო
ჩემში,
ამავსოს მზით და
გამასინათლოს.

ორი კითხვა მეგობარს

ცხოვრება

1.

ვინ დაგაბრალეს,
ჩემო ძმაო, —
ჰამაკში წევხარ.
კარუსელია ეს ქვეყანა
და ისიც მხოლოდ
ბრუნავს სიბერის
მიმართულებით.
ვინაზავს ძაღლი,
ვაშლის ხეზე ჯაჭვით მიბმული,
როგორ აწყდება იქეთ-აქეთ
ეზოს გარშემო,
ზოგჯერ მას ვგავართ,
ოღონდ არ ვიცით,
რას ვუვლით ირგვლივ,
ან როცა ვყეფთ,
ვის ეშინია.

ა

2.

შენ ვერ ისწავლე
გვერდით ჩავლა,
მე კი არ მესმის.
ადრე გტოვებდნენ,
მაგრამ მაინც როგორ ასწრებდი
მათ შეყვარებას.

ქვეყანა სავსე ათასი ხიბლით,
ქარით და წვიმით,
ქალით და ნატვრით,
მზით და იმედით.
უნდა წაიღო,
ყველა კარავთან სული განიზნა
და ხალას სითბოდ ჩამოარიგო:
ვთქვათ —
იყოფინე რაღაც ნაწილი,
ვთქვათ და...
ო, ხელავ, რამდენად სცოდავ,
გაექცე —
ნიშნავს იკმარე მცირე,
წაიქცე —
თურმე ბევრია ცოტაც.
და მაინც,
მაინც ქვეყნად რასაც სინათლე
მოაქვს,
უნდა აზიღო,
აიტანო არასდროს ცოტა.

სალსური მოტივი

ღმერთმა ნუ ქნას,
ახლა მოვკვდე,
ვალეებით ვარ სავსე.
ქარის ფრთიდან საყანეს
და
ჩიტის ფრთიდან სამარეს
სანამ არ მიწყალობებს,
ვაჟბატონო — ცხოვრებაჲ,
სად წავიდე ასე,
ვის ღარაბას მივაღვე
და
ვის ციხე-დარბაზებს,
რაც ოცნებით ამიგია,
ასჯერ ანგრევ დღეში,
მაინც

შენს ტკივილებს არ ვცვლი,
სხვების სამოთხეში.
მაინც ყველაფერს ვპირდები
მზეს, მთებს უკან ჩამავალს,
ჯერ რამდენი სიყვარული,
ჩხუბიც მელის,
კაბარეც,
მაგრამ მაინც,
ვთქვათ და...
მაინც,
ვაჟბატონო — ცხოვრებაჲ,
შენ რაღას დამაბარებ.

ვაიმე, ასე რატომ მიყურებთ?!
სევდიანი და
ჩემი თვალები — ეს შემოდგომა
მოვა და წავა...
ბაღში ალვა გაიმარცხება,
ღაბების დღეს რომ ღარგო
მამამ.

მზესავით ცერზე შემდგარხარ,
ჩამოგიშლია დალალი,
ხან მძულხარ,
ხანაც მიყვარხარ,
ასე თბილი და ალალი.
მაღალ ცასავით სადა ხარ,
თვალთაგან ისვრი ნაპერწყმებს,
შენი მეუღლე მანახა,
სახლში უშენოდ რაფერ ძლებს.

სოფელი ვასიოლაია
კოლიანა ანუ
ღამე ირტიშის პირას

წვიმდა.
ქარი ავობდა.
ღამე იყო უკუნი.
ზეცას ელვა სერავდა
და ირტიშის გუგუნი
აყრუებდა გარემოს,
გულშემზარავ წვიმაში,
შენ კი იდექ დაღლილი,
მარტოობის წინაშე.
რაღაც გედარდებოდა,
გაღონებდა რაღაცა,
ძილი არ მოდიოდა,
არ სძინავდა საღათას...
და უამურ ამინდში,
ელვა სივრცეს კვეთავდა,
თვალთა გუგეებიდან
მარგალიტი წვეთავდა.
ხვალე დარი იქნება,
წავა ღამე საზარი,
აივსება სიცოცხლით,
ცარიელი ტაძარი.

ბ ზ ე ბ ი

როცა ადამიანი მოცლილია და საქმისაგან თავისუფალი, სწორედ მაშინ იწყება ფრ-
ჭი და განსჯა, განმარტოება და ბეობა საკუთარ თავთან. ბევრიც რომ მოესურვებინა,
აბა, დღისით სად ეცალა იულისა საკუთარ თავთან სასაუბროდ? მისი წილხვდომილი
ყოველი დღე სხვისი იყო, სხვისთვის განკუთვნილი, სხვებზე მოხმარებული და ჩაღუ-
ლი. მისი, მხოლოდ ღამე იყო, მხოლოდ ღამე იყო მის განკარგულებაში. ფიქრსა და
ოცნებას გიორგიზე იგი მხოლოდ მაშინ იწყებდა, როცა ღამით მაროიასთან ერთად შე-
იკეტავდა სადგომის ფიცრულ კარს და მარტოდ დარჩებოდა სიბნელისა და საკუთარი
არსების წინაშე. მთელი დღის განმავლობაში ენა და სხეულგადაღლილი მაროია ძლივს
ასწრებდა ლოგინთან მისვლას, გადაიძრობდა გაზინთულ, მწებვარე, ქუჭყინი ოვლით
გაუღენთილ კაბას, მიეგდებოდა საწოლზე და მაშინვე საღათს ძილს დაეუფლებოდა.
მერე მთელი ღამის განმავლობაში ზერზავდა მისი ზვრინვა სიბნელესა და ღამისეულ
სიჩუმეს.

როცა მაროიას უკვე ღრმა ძილით ეძინა, იულისა მხოლოდ მაშინ შეუდგებოდა და-
საწოლად მზადებას. თუმცა რაღა ამდენი მომზადება სჭირდებოდა ერთი სიფრიფანა
კაბის გახდას, მაგრამ იულისა რატომღაც არ ჩქარობდა და ისეთი სიზანტით, ისეთი გაუ-
ბეღაობით აკეთებდა ამას, თითქოსდა თავის ცხოვრებაში პირველად იხდიდა კაბას. ანდა
კიდევ, პირველად შეშვლდებოდა სრულიად უცხო, ეს-ესაა გაცნობილი მამაკაცის წი-
ნაზე და იმაზე ჭოჭმანება, დანებებოდა თუ არა. ორივე ხელს კაბის კალთას ჩაავლებ-
და, ამოიკალთავებდა და კარგა ხანს იდგა ასე სიბნელეში რომელიღაც კუთხესა თუ წერ-
ტილს მიჩერებული, იდუმალად გასუსულ-მიჩუმათებული და უსმენდა თუ აკვირდებო-
და რაღაცას — იდუმალს, დაუნახავს, არარსებულს, მხოლოდ მის წარმოსახვაში არსე-
ბულს. პირველ ხანებში ერთი ახირებული და ყოვლად შეუსაბამო შიში აეკიატა იული-
ას. რატომღაც ასე ეგონა, როგორც კი კაბას გაიხდიდა და ღამის დედიშობილა დარჩე-
ბოდა ამ სიბნელეში, თითქოსდა სწორედ ამ მომენტის შემხედვარე და მომლოდინე,
ნადირივით ჩასაფრებული გიორგი მუშტის ერთი, ძალუმი დარტყმით გაანგრევდა ამ
თხელ კედელს, ხელის ცეცებით მოსძებნიდა ლოგინთან აწურულ იულისას, დაავლებდა
ხელს და წაალაღებდა თავის ბუნავში. ამ შიშის პარალელურად, ქვეცნობიერად, იმასაც
კი ხვდებოდა იულისა, რომ სისულელე იყო ამაზე შიში და ამისი გაფიქრებაც კი. გიორ-
გი ისეთი ვინმე როდი იყო, ეს რომ ეკადრა, გაეხედა, მოეხერხებინა, მოეფიქრებინა
და თუნდაც გულშიაც კი გაეფლო ასეთი რამე.

როდის-როდის გაიხდიდა კაბას იულისა, გუმანით ჩამოკიდებდა კედელზე მიჭედლილ
ჟანგოან ლურსმანზე, მაშინვე ჩაწვებოდა ლოგინში, მიიკუნებოდა კუთხეში, წაიხურავ-
და თავზე ვინ იცის ვის ნახურავ, რისი, რანაირი სუნით გაუღენთილ საბანს და მერე
კარგახანს სუნთქავდა საშინელ სიფათსგადარჩენილივით აჩქარებულად და არათანაბრად.
ასე ეგონა, იქეთ, ამ თხელი კედლის მიღმა, რატომღაც დაყურადებული გიორგის მის-
ხალ-მისხალ ესმოდა ყველაფერი და ამიტომაც იყო ასე რომ ცდილობდა იულისა როგო-
რმე არ ეხმაურა და ისევ მომზადებულიყო ძილისათვის — უხმაუროდ, საფუძვლიანად,

ჩემის გაუდებლად. ამ ცდილობასა და ჩაღიშიში რომ იყო, ვერცკი ამჩნევდა ისე მოე-
პარებოდა მთელი დღის ნაჭათარს ძილი...

დმერთმა თუ ეშმაკმა მართლაც იმ წყალმონაწესებულ ძერასავით დასწყვეტდა მისი
როია, რომ არც ძილში, არც სიფხიზლეში არ ჰქონოდა მოსვენება, ხომ ძნელია
მოსადგენი იყო მისი ზვრინვა-ხროტინში გაძლება, მაგრამ იულია კარგახანია მიჩვეული
იყო ასეთ ხმაურში ძილს. ერთს რომ ჩაიძინებდა, მერე დილაზე გაუძირველად ეძინა
და აღარაფერი აშფოთებდა მის ტბილ, თანაბარსა და წყნარ ფშვინვას, თვლებს მაშინ
გამოახეიდა, როცა დილის რიჟრაჟი შემოაჰყეტდა ერთადერთ, მუშტისხეილ, გამურუ-
ლი სარკმლიდან, და შეებრძოლებოდა ოთახში დაგუბებულ სიზნელეს. გამოღვიძების-
თანვე მაროიას გადახედავდა, რომელიც პირადმა გართხმულიყო ლოგინზე.

რამდენინე წამს დასცქეროდა მძინარეს უკმაყოფილო, შუბლზემუხუნვილი, მერე
დაურიდებლად წაჰკრავდა ზურგში ქიშუნჯს, ნაკლულ გუდასავით შეაჭანჭღარებდა, ცდი-
ლობდა როგორმე ამნაირად ჩაედგა სული მისთვის, გამოეყვანა საღათის ძილისაგან და
გამოეფხიზლებინა.

მაროია როდის-როდის მოდიოდა გონს, ჯერ ხროტინს შეწყვეტდა, ცალ თვალს გა-
მოახეიდა ზანტად, მერე კიდეც, მეორეს, და უაზროდ იკითხავდა შემცბარი:

— რა ამბავია, გოვ, ცეხლი ხომ არ გაგჩინია? ხომ არ ვიწოვით, გოვ?

— ცეხლი კი არა... გაიღვიძე, ქალო, ხომ ხედავ, გათენდა უკვე!

— ჯერ რა დროის გათენებაა, გოვ? — უკვირდა მაროიას, უსაშველო მთქნარე-
ბით გადაბრუნდებოდა გვერდზე და თითქოსდა, პირადმა მწოლი ვერ დანახავდაო,
ახლა ასე გვერდულად გახედავდა ფანჯარას იმის დასადგენად, ეს გასაცვითი გოგო მატ-
ყუებს თუ მართლაც ნამდვილად გათენდაო.

იულია აღგებოდა, წაუყრიდა შიშველ ფეხებს ჭდარკებში, ჩამოიდებდა ლურსმანზე
ჩამოკიდებულ კაბას, გადაიცვამდა, გამოადებდა ჭრილა კარს და გავიღოდა გარეთ, რა-
თა პირი დაებანა, მთელ დღეს ჭარასავით სატრიალებლად რაც კი შეიძლება საფუძვლი-
ნად მომზადებულიყო.

სანამ მაროია ასადგომად განწყობოდა, სანამ ძილით გაბურსალებული საბოლოოდ
დაუბრუნდებოდა სააქაოს, სანამ მთქნარებ-მთქნარებითა და კრუსუნ-კრუსუნით, უკმა-
ყოფილო ბუტბუტ-ბურტყუნით წაჩლახუნდებოდა სამზადისაკენ, იულიას ერთი პირი
საქმე უკვე გაკეთებული ჰქონდა და ის-ის იყო მეორეს იწყებდა უკვე.

ასე მეორდებოდა ყოველთვის, ყოველ დილით და ველარაფერი ვერ ცვლიდა ამ
ჩვევად ქცეულ, ერთხელ დაკანონებულ ზოზინა მონოტონურობას.

გიორგიმ დატვირთული ურემი დაცალა, ხარები დაბინავა, თავად კი დადლილ-და-
ქანცული სამზადის წინ ჩამოჯდა ჯორკოზე, თამბაქო გაახვია და გააბოლა. იჯდა დად-
ლილი, ისვენებდა, ეწეოდა, დროდადრო ჩითის ჭრელი ნაჭრით (რომელიც ცხვირსახო-
ცისა და ხელსახოცის მოვალეობას ასრულებდა ერთდროულად), იწმენდა შუბლზე
დაცვარულ ოფლს და მისდუნებურად ყურს უგდებდა სამზადიდან გამოსულ ხმებს...

მაროიას მკლავები დაეკარწახებინა, კარის მახლობლად ჩაცუცქულიყო და ნაცრით
ხეხავდა ვეება, მჭვარტლით გამურულ ქვებს. ხელებსაც და ენასაც მარჯვედ ატრიალებ-
და ერთდროულად.

მაროიამ წამით პაუზა გააკეთა და მერე იკითხა:

— წაბრძანდა, აბა, ქალბატონი?

— რომელი ქალბატონი, გოგო? — ვერ მიუხვდა თებრონია.

— ქალბატონი რომელი გვყავს ჩვენ? მინადორა, გოვ, მინადორა!

— ჰოო! მერე? სად წავიდა?

— მშობლებთან მივალო, უთქვამს. დოუფლია ხელი ბაღნებიზა და ჩემი წაუფრანია არ ჩამოვა კაიხანს ალბათ და ქე დავისვენებთ გემოზე ერთი მე და შენა...
რატომ არ წაყვა ნეტა?

— როდის. იყო მაგენი ერთად დადიოდნენ? არ უყვართ მაგინებს ერთმანეთი. ძულან ერთმანეთი და ჩხუბობენ სულ.

— რას ჩივი, გოვ? ცოლ-ქმარს ერთმანეთი არ უყვარდეს, პირველად გევიგონე მე.

— ჰო, ჰი! — უგემურად, ჩიფჩიფით გაიცინა თებრონიამ, — პირველადო, რომ იძახი, შენი ამბავი დაგავიწყდა მაგერა?

— რა ჩემი ამბავი, გოვ?

— რა ამბავი და... მაგ შენს ქმარს ნამეტანი უყვარდი და იმიტომ მიგატია?

მაროიას არაფერი უთქვამს, ერთი კი შეცბა და თითქოსდა არ გამიგონიაო, ისე წაუყრუა. თავი ანება ქვაბის ხეხვას. იდაყვამდე მჭვარტლითა და ნაცრით გამურული გავიდა გარეთ და გიორგი რომ დაინახა, ჰკითხა: — მოი შენ ბიჭო, უკვე?

— რავარც ხედავ... — წარმოთქვა უგემურად, დალილხა და სიცხისაგან შეწუხებული ს აღარ ჰქონდა მასთან ლაპარაკის თავი.

— დაიღალე ხომ? — თანაგრძნობით მიაჩერდა მაროია, — დაიღლებოდი აბა არა? მეც ქე დევიღალე გვარიანად, მთელი დღეა, ამ გამურულ ქვაბებს ვხეხავ აგერ... ჰო, ხაჭაპური არ გინდა? — შესთავაზა მოულოდნელად.

— ხაჭაპური? — გაუკვირდა გიორგის. — მინდა მარა... სადაა მერე?

— მოგცემ, თუ გინდა! — მაროია სამზადში შებრუნდა და მალე კეცზე გამომცხვარი ხაჭაპურის ნახევარი გამოუტანა: — ჰამე, შე გაჰირვებულო, ჰამე! ქალბატონი წაშავდა, დრო ვიხელთეთ მე და თებრონიამ, გამოვაცხვეთ ჩვენთვის და შენც გამოგი-ნაწილე აგერ.

სანამ გიორგი მადიანად ილუკმებოდა, წელზე დოინჯშემოდგმული მაროია თავზე ადგა და მომლოდინედ შესცქეროდა თვალბში.

— ხომ იყო კაი? — ჰკითხა, როცა გიორგიმ ყველის უკანასკნელი ნამცეცი გადაყლაპა.

— კაი იყო, აბა არა?! — მიუგო გიორგიმ და მერე, თითქოსდა, ახლა გაახსენდაო, დასძინა: — ჰო, იუღია სად არის?

— ჩემს გოგოს რაიზა კითხულობ ბიჭო, შენ? — განგებისად, ცუდლუტურად გაი-ოცა მაროიამ.

— ისე ვიკითხე, რავა, არ შეიძლება? — აირია და სახეზე წამოწითლდა გიორგი.

— რავა არ შეიძლება, მარა... ოდას ალაგებს, ალბათ...

სწორედ ამ დროს სამზადისკენ მომავალ პელაგიას მოჰკრა თვალი, მაშინვე გაჩუმდა, დამნაშავესავით ჩამოუშვა ხელები და ჩაილაპარაკა: — მიწა დავაყარე თავზე! რა უნდა, ნეტა, მაგ სასიკვდილეს?

პელაგია დინჯად, ჯოხის კაკუნით მიუახლოვდა მათ, ჯერ გიორგის გადახედა, გაუღიმა და იკითხა: — ისვენებ, შვილო? დაისვენე, დაისვენე! შენ რომ მუშაობ...

— კი, კი, ბევრს მუშაობს მაგი, ბევრს! — მისებურად ჩაეჩარა საუბარში მაროია, მაგრამ პელაგიამ ისეთი თვალბებით შეხედა, მაშინვე გასწყვიტა სმა, შემცბარმა მოკუმა ტუჩები და ყოველი შემთხვევისათვის, აქოდა, მარცხი არ მომივიდეს და შემთხვევით არაფერი წამომცდესო, ხელისგულიც მიიფარა პირზე.

პელაგია მიაჩერდა მაროიას. უცქირა, უცქირა და მერე უთნრა:

— ეი, შენ, ქალო! ამდენი ხანია მინდოდა მეთქვა შენთვის და გადამცილდა გულ-ზე...



— რა გადაგცილდა, გოვ? — ველარ მოითმინა მაროიამ.

— მინდოდა მეკითხა შენთვის.. შენი ქმარი რატომ წავიდა სახლიდან? —

— მერე გეკითხა, გოვ! ვერ გეტყვოდი თუ რაი? რაიზა წავიდა და ოხერი და უბე-
ღურის ერთი რომ იყო, იმიზე!

პელაგიამ ტუჩები მოკუმდა და თავი ჭიუტად გადაქნია უარყოფის ნიშნად: — არა, მაროია, არა! შენი ქმარი ოხერი კი არ იქნებოდა, შენ რომ ვერ გაგიძლო, იმიტომ წავიდა!

— შეხედე, შენ?! — გაუკვირდა მაროიას, — რავა, ჩემი ქმრის ამბავი ჩემზე უკეთ იცი შენ? — წელზე დონჯი შემოიდგა და ურცხვად შეაჩერდა თვალებში: — რავა, მე რა მჭირდა გასაძღვები, გოვ? რა გოუძღვებელი და ოუტანელი მე მნახე?

— ვერ მისვდი, ხომ? — ამრეზილად მოკუმულ ტუჩებზე დამცინავი ღიმილი აღე-
ბეჭდა პელაგიას, — ბინძური რომ ხარ, ტალახში ამოგვანგოულ ღორს რომ გავხარ და ისე ქოთხარ, კაცოშვილი რომ ვერ მოგეკარება სათოფეზე.. კაბას ვერ გაირცხავ, წყალს ვერ გააცხელებ და ვერ დაიბან ერთს? შენი გაკეთებული საქმელი პირში თუ ჩამეშვება, ქალო? — თავი გადააქნია, შებრუნდა და ჭოხის კაკუნით გაშორდა.

მაროიამ კარგახანს ველარ ამოიღო ხმა. იდგა ლენჩივით პირდაღებული და გაოგნე-
ბულ-გამოშტერებული უცქეროდა მიმავალ პელაგიას. მერე კი, როცა იგი თვალს მიე-
ფარა, თავისებურად აჭუჭღურდა: — რას გადამიქიდა აი ძუნკალი ქალი, ნეტაი, გასაქანს
რომ არ მაძღვებს და სულ მჭაჰს და მკბენს? გეიგონე შენ, რა მაკადრა, ახლა? ბინძუ-
რიო! ბინძური არ უნახია მაგას. შითხარი ერთი, ვარ მე ბინძური? — მიუბრუნდა გიო-
რგის.

— რა ვიცი მე ხარ თუ არა ხარ? — ჩაილაპარაკა გიორგიმ და მცირე პაუზის შემ-
დეგ დასძინა: — პელაგია კაი ქალია, კაი!

— კაიო?! — შეიცხადა მაროიამ, — იმდენი მაგას გადოუშენდა პატრონი, რავარც
კია გადაშენებული და მოსანტალებული. მაგი ვნახე ერთ დღეს კუბოში გაწვართული
და გულზე ხელებდაწყობილი. არ მომშალა ნერვებზე და არ გამიცია აი სიმწრით გამო-
მცხვარი საქაპური? — შებრუნდა და სამზადში ღურთა თავი.

გიორგის კიდევ ესმოდა სამზადიდან მისი უკმაყოფილო ჭუჭღური. მერე ადგა და
ის-ის იყო, უნდა გაშორებოდა იქაურობას, რომ მოულოდნელად ვილაცის გულამოცკნი-
ლი ქვეთინი ჩაესმა. ასე ვინ ტირისო, ამის გასაგებად შეჩერდა და მიმოიხედა. დანახა,
იუღიას ხელისგულები აეფარებინა სახეზე, რაღაცნაირად მოდუნებულ-მოშვებულად,
ზანტად და ზოწინით, სვენებ-სვენებით ჩამოდიოდა კიბეზე და გულსაკლავად ქვეთინე-
ბდა.

გიორგი გაოგნდა, ტანში უსიამოდ გასცრა, იუღიასადმი თანავრძნობით აღვისო,
მაგრამ რა უნდა ექნა, ის კი ველარ მოახერხა, ველარ დაიძრა ადგილიდან, იდგა და
შესცქეროდა კიბეზე დუნედ ჩამომავალს. იგი პირველად ზედავდა იუღიას ასეთ მდგო-
მარეობაში, ასე მტირალეს, ასე მოშვებულსა და საცოდავს. გიორგიმ არ იცოდა, რა
ეფიქრა, რა ევარაუდა, ვისთვის და რისთვის დაებრალდებინა მისი ასეთ დღეში ჩავარდ-
ნა, ვინ იყო თავი და თავი მიზეზი, ეს ვერ გაეგო.

ამასობაში იუღიამ ქვეთინ-ქვეთინით ჩამოათავა კიბე და სამზადისაკენ წაღასლას-
და..

სწორედ ამ დროს მაროია გამოვიდა სამზადიდან. გამურულ ხელში საქაპურის
ნაჭერი ეჭირა, პირიც გამოტენილი ჰქონდა და მოშვებულივით იღმურძღვებოდა. შეხე-
და მაროიამ იუღიას და ლუკმა გაუშეშდა პირში. კარგახანს იდგა პირდაღებული და
შესცქეროდა იუღიას. ბოლოს, ეტყობოდა, რაღაც იაზრა, რაღაცას ჩაწვდა და ყბა ისე
მოექცა, კივილს რომ დააპირებს ქალი. მაგრამ მაშინვე მოეგო გონს, აღარ უკვილია,



თავისუფალი ხელი მიიფარა მაგრად მოკუმშულ პირზე და კივილის მაგიერ, რაღაცა ხავი-
ლისმავარი ხმაური მაინც დაცდა-ხოლმე. სწორედ ეს ხავილი ჩაწვდა სწრაფად მოქმედებულ
იულის სმენას, სახეზე აფარებული ხელისგულები ნელ-ნელა ჩამოაცოცა დაბლა და
მწუხარებით გათანგულმა, სველი, ნაბტირალევი თვალები მიაპყრო მაროიას.

— რა დაგემართა, გოგო? — როგორც იქნა პირში გაშეშებული ღუქმა გადაყლაპა
მაროიამ, ენა მოაბრუნა და იკითხა მისთვის უჩვეულო, აკანკალებული და ჩავარდნილი
ხმით.

მის შევითხვან ხელმეორედ წასკდა ქვითინი იულისა, ძალაგამოღებულივით, ტორ-
ტმანით მიეყრდნო მაროიას და ზღუქუნ-ზღუქუნით, დანაწევრებულად და ნაწყვეტ-ნა-
წყვეტად ამოილაპარაკა: — იმან... სარდიონმა... არაა ჩემი შწალი...

— უიმე! — დასცდა ხმამაღლა ამის მოსმენით გახადგურებულ და მეზღაცემულ
მაროიას, მაგრამ ამტვრედაც შეიკავა თავი და ჩუმად, მოგუდული სისინით, გამაფრთხი-
ლებლად და მრავალმნიშვნელოვნად უთხრა: — ჩუმაღ, შე სასიკვდილე, ჩუმაღ! —
ცალი თვალი გააპარა მოშორებით მდგარი გიორგისაკენ და კიდევ უფრო დაუწია ხმას:
— რეიზა გამიჩნდი შე სასიკვდილე და დასაშინებლო, რეიზა? რატომ მუცელში არ გა-
მიწყალდი, მომტყერი თავი და გამომაქენე შარაზე, ხომ? ორივეს დაგაყარე მიწა, ორივეს!
რა გეშველება შენ აწი? მიწა რომ გეითხარო ფულუხავით და რომ ჩაძვრე შიგ, იგი
გირჩონოდეს. რა გიყო მე აწი? რაფერ გიწამლო და რაფერ მოგვიარო? შენს სირც-
ხვილს და თავის მოჭრას ასე ხმამაღლა რომ ჩივი, ასე შეიძლება, შე ბენტერა? —
ერთხელ კიდევ გააპარა მხერა ერთ ადგილზე ბოძით დარტყმილ, მათკენ მაცქერალ
გიორგისაკენ და ყასილი ხმის აწევით, ყალბი კაპასითა და დატუქსვით განაგრძო: —
ისტე ბლეკლებდი, ქე გაღამიტრიალდა გული შე სასიკვდილე, ქე მომკალი და რაღა
ახლა? ფარცავი არ მეგონა რაცსა? ვინცა სხვანაირად იფიქრებს და ხომ მოგვეჭრა
თავი, გოგო? რატომ არ დაუჭირე ბატონს? რატომ გააღანძღვი თავი? იყავი ალბათ
გასაღანძღავი და ქე გაგაღანძღა და ამიწა ფლიკვინებ ამნელა ქალი, გოგო?

იულისა ეგონა, დედაჩემი ნამდვილად ვერ მისვდა, თუ რა უბედურებაა ჩემს თავ-
ზეო, ცრემლით სავსე თვალები მიაპყრო და უთხრა: — შენ რა იცი, მე რაცა მჭირს,
დედა!

— ვიცი, შე მიწადასყრელო, აბა, არ ვიცი?! — ჩაისისინა მაროიამ, გიორგის ნაშა-
ლევად, გამეტებით უჩქმიტა მელავზე და დასძინა: — წაი ახლა დეიბანე პირი და კრინ-
ტი არ დაძრა არსად, კრინტი!

იულისა არაფერი უთქვამს, ერთი შეხედა მაროიას, ჩაქინდრა მერე თავი, შებრუნ-
და და წავიდა ნელ-ნელა, მოზოზინე, თავჩაქინდრული და მიწას დაჩერებული.

მაროია ერთხანს იდგა და გასცქეროდა მიმავალს, მერე კი, როცა იგი თვალს მიე-
ფარა, ნელა დაიძრა ადგილიდან, მიუახლოვდა გიორგის და თითქოსდა სასხვათაშორი-
სოდ უთხრა: — არ გოულანძღავს, ბიჭო, ჩვენს ბატონს ჩემი გოგო?

— გოულანძღავსო?! — გაიკვირვა გიორგიმ, — რატომ ვითომ? დაურტყამს, თუ?

— არა, დარტყმით არა, მარა ისე, სიტყვით გოულანძღავს!

— ამიტომ ტირილა ასე? — იკითხა გიორგიმ გულუბრყვილოდ, ყოველგვარი ორავ-
როვნების გარეშე.

— აბა, მეტი რაიზა იტირებდა ვითომ? — მიუგო მაროიამ, მიატოვა ერთ ადგილზე
გახევებული გიორგი და სამზადში ღურთა თავი.

— რა ატირებდა შენს გოგოს, ქალო? — შესვლისთანავე ჰკითხა თებრონიამ და ისე
მიანერდა თვალებში, მაროია დაიბნა, თვალი ველარ გაუსწორა, აარიდა მხერა, საქცი-
ელწამსდარი და დაბნეული აბლუკუნდა:

— ვერაფერს ვერ ვხედავ, არაფერი არ მეყურებაო, რომ ჩიოდი, მაგი რაფერ გეი-
გონე და დეინახე, გოგო?

— დევინახე, გევიგონე, და მომკალი ახლა! ისე ზღუქუნუნდა, მაშინაც შეიქცეოდა, —
კაი აშბავი რომ არ იყო მაგის თავზე...

— კი, კი, აბა! უგინებია სარდიონს, კინაღამ დოურტყამს! — თვალთმაქცურად, თვა-
ლების ბრეცით შეაწყვეტინა მაროიამ.

— კინაღამ დოურტყამს, ხომ?! — დამცინავად, ბებრული ხრიწინით აქირქილდა თე-
ბრონია და ცახცახის კილით მოიწმინდა ჩაბუტულ თვლებზე მომდგარი კურცხალი, —
დარტყმა რათ უნდოდა, შე ქალო? მეფეფრებოდა პატარას, და... მინადორა არ ბრძანდე-
ბოდა სახლში და ნახა მომენტი სარდიონმა...

— კაი ერთი გოვ, რას ბუტუტურობ თუ იცი შენ? აბა რაფერ ახლა, მეფეფრა და
იმისა იტირა?

— ში-შიი! — აქირქილდა თებრონია, — გააჩნია, რაფერ მიეფერა! მე რას მიმა-
ლავ, ქალო?

რაკი დარწმუნდა, თებრონიამ ყველაფერი იცის და მასთან დაფარვას აზრი არა
აქვსო, სამუდამოდ გასცა თავი მაროიამ, ახლოს მიუჩოჩდა თებრონიას, შეთქმულებით
მიმოიხედა და ხმის დაწევით, ისე რომ თებრონიას გაეგონა და სხვებს არა, განაგრძო:
— რა მეშველება აწი მე? აგი მინდოდა ახლა მე? აგი ჰირდებოდა ჩემს გაქირვებულ
საქმეს? გაქირვებულს ქვაი წამეფწია აღმართვით, ისეა ჩემი საქმე, სწორედ!..

— ვიცი, ვიცი! — თანაგრძნობით შეხედა თებრონიამ, საქმეს თავა ანება, ჩამოჯდა
ჯორჯოზე და განაგრძო: — ახლა უნდა მაგ შენს გოგოს შევლა და პატრონობა, ახლა!
რამ გაგაჩინა, ქალო?! მისმენ თუ არა?

— სმენით რაფა არ გისმენ, მარა რა გავაკეთო, რომ არ ვიცი? — გამოერკვა მაროია.

— მე ვიცი სამაგიეროდ! უნდა გავათხოვოთ მაგი გოგო!

მაროიამ ურწმუნოდ გადააქნია თავი და იმედგადაწურულებით იკითხა: — ვინ წაი-
ყვანს აწი მაგას?

— შენ ნუ გეშინია, წაიყვანს!..

— ეინა, გოვ?! — მთელი დაინტერესება, გაგების ნდობა და სურვილი თვალბში
ჩაუდგა მაროიას, — მითხარი ჩქარა, ნუ ამომავში სული, ვინაა მაგფერი?

— ეინა და გიორგი არაა აფერ?

— გიორგი?! — ტუჩები მოკუმა მაროიამ და მრავალმნიშვნელოვნად გაჩუმდა.

— რას გაჩუმებულხარ, ქალო? მიკვირს პირდაპირ, რაფა, წუნობ, თუ? რაფა აბა,
თვადიშვილი შეიყვანს მაგ შენს ჩამოკონკილ და გაბანებულ გოგოს, თუ რაა ვითომ?

— არა, გოვ, კი არ ვწუნობ მარა... ნამეტანი გაფხეკილია, აფერი არ გააჩნია და...

— გაჩუმდი ერთი! არ უნდა ახლა მაგას ბევრი ფიქრი, უყვარს შენი გოგო მაგას
და შეიყვანს ნამდვილად. რას იტყვი შენ, გინდა?

მაროიას მალევე გადაეყარა გულზე დარდი და რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვეულებ-
ბრივად, მხიარულად აქაქანდა.

თებრონიამ უცქირა, უცქირა და მერე დაუფარავი საყვედურით უთხრა: — ენ,
ნეტავი შენი გული და ხსიათი მომცა, ქალო! გულთან არაფერი რომ არ მიგაქვს ახლოს
და ასეთი უდარდელი რომ ხარ!

— რა ვქნა აბა, გოვ? — გაიკვირვა მაროიამ — ყოლიფერზე თუ თავი მევიკალი,
ყოლიფერზე თუ ვიდარდე და გევიხედე გული, რაფერ უნდა ვიცხოვრო ისე?

თებრონიამ უცქირა, უცქირა და მერე ტუჩებში გამოსცრა: — მართლაც, — ჩაფიქ-
რდა და კარგახნის მერე, სახედანადვლიანებულმა და დამწუხრებულმა, თითქოსდა აბე-
ზარ ბუზებს იგერიებდესო, მკვეთრად დააქნია თავი და გაიმერა: — მართლაც, მაროია,
მართლაც!

რასულ ჰაფათომი

ჩემო წლებო

ჩემო წლებო, წლებო, წლებო,
სად წაჰყევით ქარს თუ ნიაფს?
იმ მხარეში, ალბათ, სადაც
ყველა ჩემზე უმცროსია.
ჩემო ჩიტო ჩიორებო,
სად გაფრინდით ასე უცებ?
ალბათ, ახლა, ჩემზე უმცროსს
უგალობებთ სიყვარულზე.
ჭაბუკურო სიმღერებო,
მიმატოვეთ ნეტა რადა?
სხვა გოგონას, ალბათ, სხვაგან
სხვა უმღერის ფანჯარასთან.
ჩემო წლებო, წლებო, წლებო,
ვცოცხლობ თქვენი მოგონებით...
უფრო ღამაში და ნორჩი
გოგმანებენ გოგონები.

მთის ლეგენდა

ჩემს მხარეში, მაღალ მთაში
უცხოვრია ვინმე მგოსანს.
ჯადო ჰქონდა თურმე ხმაში
მგოსანს მართლაც

გვირგვინოსანს.

აულში რომ მოვიდოდა,
შეხედებოდნენ ყიჟინითა.
მისი დიდი რიდი ჰქონდათ,
მოევლინათ თითქოს ციდან.
ხანს არ სცემდნენ ესდენ პატივს,
ხალხს უმღერდა მისი ჩანგი

და მოსილი მგოსნურ მადლით
გულს წვდებოდა ყველა ჰანგი.
უმღეროდა ღარიბ მაშვრალს,
თანამოდმეს ედგა მხარში.

აცილებდა ხალხის ვაშა,
აცილებდა ხალხის ტაში.
მაგრამ რაღაც საფარსაგოდ
ვერ ახარა, რაც დათესა,
არამზადა ხანი აქო —
წახდა კაცი, გახდა ქლესა.
არვინ იცის, როგორ, რატომ.
დაასმინეს იქნებ ხანთან.
განწირული საღალატოდ
კაცი სულით გადატყავდა.
არ დაინდო იგი ხალხმა,
ვერაფერი ჰპოვა საფრად,
თითქოს ცოცხლად დაიმარხა,
ვით ბინძური თოვლი გაქრა.
მამის ნაამბობით ვიცი
მე იმ მგოსნის სივაგლახე...
უცებ მთებში გადნა ნისლი
და ვიხილე მამის სახე.

სასოღავო ცხვარო!

ხარ იმდენად უცოდველი,
წმინდანი ხარ თითქმის.
დამჭამაო, მირქინაო,
შენზე ვერვინ იტყვის.
წელიწადში ორჯერ გკრეჭენ,
არ შეგრჩება ბეწვიც.
ტყავს ხუთ წუთში გაგაძრობენ —

გული არვის ეწვის.
არასოდეს ხმას არ იღებ,
არასოდეს ცხარობ,
საცოდავო ცხვარო,
საცოდავო ცხვარო!
კაცი კვდება.
მის ოჯახში
გლოვია და ზარი —
ჭირის სუფრას დაამშვენებ
საცოდავი ცხვარი.
ძვირფას ყონადს ელოდება
მასპინძელი მარდი.
ძმრის და ნიერის სუნი ღვება —
სტუმარს უყვარს მწვადი.
ჰოდა, აბა, ზომ არ გეტყვის,
რა საბრალო ხარო.
საცოდავო ცხვარო,
საცოდავო ცხვარო!
შიშით გული რომ გისკდება,
წყლიან თვალებს ნაბავ,
წვრილი ბეწვით დამშვენებულს
ჯიგიტს ჩუქნი ფაფახს.
როცა სავსე ტიკტორიდან
ჩამოვასხამთ ღვინოს,
ღუმა თუ არ მოგათაღეთ,
როგორ მოვილხინოთ?
რადგან ასე უენო ხარ,
ასე უცოდველი,
ბორბტების ჩასადენად
შენს ტყავს იცვამს ძველი.
ასე იყო გაჩენიდან,
ახლაც ასე არი
და ვინმეზე იტყვის ვინმე:
საცოდავი ცხვარი,
საცოდავი ცხვარი!

ასე მახვილი
რადა გაქვს თვალი?
ტრფობა მართლაცდა
ვრუ არის თუკი,
ჯით გაიგონე
ჩემი აუგი.
არ განიკითხო
ცოდვები ჩემი,
რომ არ დაგდინდეს
თვალთაგან ცრემლი.
ყველა ჩემს ბილიკს
უწოდე გველა,
მიტომაც გველის
მოხვევინა გელის.
ეს ძველი ჩოხა
რომც დამრჩეს ოხრად,
ძაინც არ მინდა
ახალი ჩოხა.
ნუ აუთოებ,
ხელსაც ნუ ახლებ,
სულ ერთი არი,
ვერ გააახლებ.
არ გამრთელდება
გამტყდარი თასი,
არ დაედება
მას ძველი ფასი.
ეს სიყვარულის
ამაფი რაში,
ვერ გაიხარებს
შენს ტყვეობაში.
გიჯობს, გაუშვა,
გაინაღარდებს
და სიყვარულით
მოგივა სახლში.

თარგმნა
გიორგი სალუშვაძე



ტრფობა ბრძალო,
თუა მართალი,

მიმწეროსი

(ძვ. წ. VII-VI ს.)

ნურც უცხოელსა და ნურც შენსაჲ ქალაქელს ნუ უზამ სიავეს,
ნუ იზამ ბოროტ საქმეს, მუდამ მართალი იყავ.
სიაძით აივსე გული და გონება; შენს ქალაქელთაგან
ზოგი ავს იტყვის შენზე, ზოგიც — უკეთეს რამეს.

ისევე ვიშვებით, ვითარცა ფოთლები ფერმრავალ გაზაფხულს,
ოდეს ნათელი მზისა სწრაფად ამრავლებს იმათ.
ჩვენც ფოთლებს მოვგავართ, მცირე ხანს თუ ვტკბებით ამ ჩვენი
სიყრმეთი,
ავსა და კეთილს ამ ღმრთის ველარც კი ვარჩევთ კარგად.
გაივლის ხანი და ბოლოს კი მოდიან შავბნელი კერები,*
ერთს სიძაბუნე მოაქვს, ერთსაც — სიცოცხლის ბოლო,
მცირე ხანს თუ ხარობს ნაყოფი სიყრმისა, იქამდე თუ ხარობს,
სანამ თავისი სხივით შავ მიწას გვითბობს მნათი.
და როცა გაივლის სიყრმე და სიამეც გაივლის სიყრმისა,
ქვეყნად უმისოდ ყოფნას სიკვდილი გვიჯობს ისევ.
მრავალი ტანჯვა და სიავე იბუდებს ჩვენს სულში იმხანად,
სახლი ენგრევა მავანს, უსახლოდ ცხოვრობს ზოგიც,
სხვას კიდევ ბავშვები რომ სურდა ჰყოლოდა, ამგვარი სურვილით
ჰადესში ჩადის იგი წყვდიადით მოცულ მიწას.
მავანსაც სენი სჭირს მომწველელი სულისა; ვინ არის ნეტავი,
ვისაც საშინელ ტკივილს არ მოუვლენდა ზევსი.

სოლონი

(ძვ. წ. VII-VI ს.)

რისთვისაც ადრე მთელი ხალხი შეეყვარე ერთად,
ხომ ავასრულე ყველაფერი, რაც მას ღაპირდი?
დამიმოწმებდა ამას ღმრთის სამსჯავროზედაც
ოღნიმპოს მკვიდრთა დიადი და უზენაესი

* კერები — სიკვდილის განმასახიერებელი ქალღმერთები.

მშობელი — შავი დედამიწა, — ვისაც მრავალგზის
გადაუწვიე ქვანაკვეთი საზღვრის ნიშნები
და დამონებულს მივანიჭე თავისუფლება.
ამ ღვთისებობებულ ჩვენს ათენში მე დავაბრუნე
კაცნი მონებად გაყიდულნი, უსამართლოდ თუ
სამართლიანად რომ გაყიდეს და აიძულეს,
წასულიყვნენ და ეყარებათ. აღარ ესმოდათ
მათ ჩვენი ენა და დამრწოდნენ უცხო ქვეყნებში.
იმათ კი, ვინაც აქ იყო და ვისაც უდიდისო
მონობა აწვა მეუფეთა ზნისაგან დამფრთხალს,
თავისუფლება მივანიჭე. შევადულაბე
მე ერთმანეთთან ძლიერება და სამართალი
და ჩემი საქმით გავამართლე ჩემივე სიტყვა.
მღაბიორებსაც დაუწესე კანონები და
დიდებულებსაც, რათა ყველას, ვინც მართალია,
პქონდეს მართალი სამართალი. სხვას რომ სჭეროდა
კვერთხი ჩემსავით, კაცს ავსა და ვერცხლის მოყვარულს,
ვერ წარმართავდა იგი დემოსს, რადგან, უკეთუ
იმას ვიზამდი, რაც მეგობრებს ეამებოდათ,
ან კიდევ იმას — რასაც მათი მტრები მეტყოდნენ,
გაიცლებოდა ვაჟკაცთაგან ჩვენი ქალაქი.
და ყოველმხრიდან მოწოლილი ძალით ამღვრეულს
ქოფაკთა შორის მომიწევდა მგლისებრ ტრიალი.

ბ ი რ ნ ი

(ძვ. წ. II ს.)

კლეოდამოსი

მირსონ, ო, მითხარი, რომელი დრო გიყვარს ყველაზე ძალიან:
დრო გაზაფხულისა თუ შემოდგომისა, ზამთრის თუ ზაფხულის?
ზაფხული გწადია, ყოველგვარ საქმეებს რომ ვრჩებით მოკვდავნი?
ტკბილი შემოდგომა, როდესაც ნაკლებად თუ გვშია ვისამეს?
მოცლილი ზამთარი, როდესაც ხშირი და ნელთბილი წვიმები
თავისი სიზანტით და უსაქმურობით ძილსა გვევრის მოკვდავებს?
ან იქნებ მშვენიერ გაზაფხულს შეეტრფი, მითხარი, რა გინდა?
უსაქმოდ ვსხედვართ და საუბრის უფლება მაინც გვაქვს მოცლილებს.

უკვდავთა საქმეებს ვეროდეს განსჯიან მოკვდავად შობილად რამეთუ წმინდად და საამოდ ითვლება უკვდავთა საქმენი. თუმცაღა მკითხე და პასუხსაც მოითხოვ, მაშ, ყური დამიგდე: არ ეეტრფი ამ ზაფხულს, მზე ამ დროს მწველია და მეტად მცხუნვარე.

არც შემოდგომა მწადს, რამეთუ სხვადასხვა სნებას შობს ნიადაგ. ზამთარს კი ავდარი ახლავს და მაშინებს თოვლი და ყინვები. არც ყინვა გვაწვალებს ამ დროს და არც მნათი გვაწუხებს მეტადრე. ორსულად არის და საამოდ ყვავილობის იმის დროს ყოველი და ღამეც კაცთათვის დღის თანაბარია და მისი ბადალი...

ჯერ კიდევ მძინარეს დიადი კიპრისი დამიდგა თვალწინ და ეროტი მომგვარა თავისი ჩამოსვლით შერყეულ მიწაზე, ლამაზად მომგვარა ხელმკლავით იგი და მერმე კი ეს მითხრა: „შევირდად აიყვან და ჩემზე სიმღერას ასწავლი პატარას“. მითხრა და წავიდა და რაც კი მწყემსური სიმღერა ვიცოდი, თუ მოისურვებდა, სუყველას იმ ეროტს ვუმღერდი გულდაგულ, ვუმღერდი, ვით შექმნეს პანმა და ათენამ ორგვარი ფლეიტა, ჰერმესმა ლირა და ტკბილმა აპოლონმა — ლამაზი კითარა, ვმოდღერავდი იმ ეროტს, ყურს არც კი უგდებდა ჩემს სიტყვებს ეროტი,

თვითონვე მიმღერა ტრფობათა ჰანგი და თვითონვე მასწავლა კატთა და უკვდავთა და თავად კიპრისის ავხორცი საქმენი. სულ გადამავიწყდა, რასაც კი მანამდე ვუმღერდი პატარას, და ისევ იმისგან, იმისგან ვისწავლე ნამდვილი გალობა.

ერთხელაც ჩიტების საჭერად წამოსულ პატარა ბიჭუნას დაბურულ კორომში ეროტი ეჩვენა ბზის ტოტზე დამჯდარი, მარტოკა მჯდარიყო ეროტი ბზის ტოტზე, იხილა იგი და იმწამსვე საამით აივსო ბიჭუნა, რამეთუ იფიქრა, დიდ ჩიტსა ვხედავო, შეკვანმა ჩიტბადე, ჩატუცქდა იქვე და იმედით დაუწყო ლოდინი იმ ნადავლს. ბოლოს კი, როდესაც საშველი არ ადგა ეროტის დაჭერას, ვერ გაძლო პატარამ, დაავლო ბადე და გლეხიკაცს მიეჭრა, ვისგანაც იმხანად


 ქართველ
 მწერთა
 კავშირი

ხენა-თესვის ხელობას სწავლობდა მინდორში, მოუყვა მოხუცს და
 ეროტიც უჩვენა ტოტებში ჩამჯდარი. ბიჭუნას სიტყვებმა
 ღიმილი მოჰგვარა სახეზე ბერიკაცს და შევირდს მიუგო:
 მეტს ნულარ ნადირობ, მეტს ნულარ ეცდები ამ ჩიტი დაჭერას,
 გაექცე, რამეთუ ავია ეგ საქმე. ნეტარად იცხოვრებ,
 სანამდის ამ ფრინველს დაიჭერ როდესმე. სიყრმეში შეხვალ და
 ის, ვინაც ამჯერად აღვილად გაგექცა ჯერ კიდევ უწლოვანს,
 გინძლო თუ თავისით ზედ თავზე დაგაცხრეს, იცოდე, ერთხელაც.

ძველი ბერძნულიდან თარგმნა **გიორგი სომეხიკაძე**

ჯ ე ჯ ი ლ ი

ჯემალ სურგანიძე

ჩემი დარბული სე

ჩიტი არ შორდება ტოტებს...
 და მზისკენ რომ იწვდის ხელს —
 თავზე დამყურებს უკვე
 გუშინ დარბული ხე.
 გუშინ, რომ ეამბოზ, ამით
 ვიხსენებ ჩვენს ძველ უბანს,
 მოგონებებში წამით
 დროს ვახვევინებ უკან.
 მე ნერვს ჩავუთქვი მაშინ,
 რომ გაზრდილიყო დიდი,
 თუმცა მჯეროდა, რომ დროც
 მოეპყრობოდა რიდით.

ახლა შევიცან მხოლოდ,
 ახლა ავუღე ალღო,
 როცა მეტყოდნენ, შენაც
 გაიზრდებო, ბაღლო.
 მათი კეთილი სიტყვა
 ცხადად დამიდგა თვალწინ,
 და გუშინ დარბული ხე
 მახარებს გუშინდელ ყმაწვილს.
 ჩიტი არ შორდება ტოტებს...
 და მზისკენ რომ იწვდის ხელს,
 იხარა სიკეთის ნერგმა —
 ჩემმა დარბულმა ხემ.

დეკემბერი

შავი შაშვი ჩიოდა,
 საწყალს, ალბათ, შიოდა...
 ჩამოშლია თუთას მკერდზე
 სუროს მწვანე დაღალი.
 დეკემბერი იწურება,
 თოვლი მაინც არ არის.

აბდულ მიქელაძის წერილები

აბდულ მიქელაძე ერთი ქართველი პატრიოტთაგანია, რომელმაც დიდი როლი ითამაშა აჭარის მოსახლეობის ეროვნული თვითშეგნების გაღვიძების, ხალხის განათლების, გათვითცნობიერება-განვითარებისა და ფიზიკური გადაჯვარებისაგან დასნისის საქმეში. თავისი ქვეყნის ერთგულ შვილსა და საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლს, სისტემატური ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან, ჯაქარია კიკინაძესთან, პეტრე უმიკაშვილთან და სხვა ქართველ მოღვაწეებთან. აბდულ მიქელაძის ეპისტოლარული შემოქმედებითი მემკვიდრეობა მდიდარია ამ აღაშინებთან მიწერილი ბარათებით და ქართულ პრესაში გამოქვეყნებული მასალებით.

აჭარის ცხოვრებაში არ ყოფილა ისეთი საპირბოროტო საკითხი, რომელსაც აბდულ მიქელაძე არ შეხებოდა. მას აწუხებდა სკოლებისა და სამკურნალო დაწესებულებების უქონლობა, გადასახადები და მუშაჯირობა, სტიქიური უბედურებები და მოუსავლიანობა, ყაჩაღობა, მკვლელობა და სხვა სოციალური უკულმართობა.

აბდულ მიქელაძის შემოქმედება დიდი ხანია საფუძვლიან და სპეციალურ გამოკვლევას იმსახურებს. „ქოროხის“ 1955 წლის ნომრებში მკითხველს გავცა. ნით ამ მოამავის ზოგიერთი წერილი. ვაგრძელებთ ამ წერილების ბეჭდვას.

ილია ჭავჭავაძისადმი

დიდათ პატივცემულო, ბატონო ილია გრიგორის ძე!

თქვენი პატიოსანი წერილი აჭარაში მე გადმომა ბ. ზ. კიკინაძემ, რომელი წერილითაც მე ვიცანი თქვენი მოწერილი მადლობა და სალამი, ვალათ ვრაც მოგწერთ და გაცნობოთ ჩემი დიდი მადლობა და სიხარული, რომ თქვენი პატიოსანი წერილი მივიღე. დიდათ მადლობთ და გმადლობთ... რაც შეეხება ჩემ შრომას და მეცადინეობას სასარგებლო ჩვენის სამშობლოს ისტორიის ნიშნების, მე რაც ძალა და ღონე მექმნება, ვეცდები, რომ ძველი ნივთების კრებას და შეძენას ყურადღება მივაქციო და არ მოვაკლო შრომა. რასაც შევიძენ ჩუქვებით, თუ ყიდვით, ყოველივეს თქვენს რედაქციას წარმოვუდგენ და თუ სად რომელ კუთხეში რა იქმნა შეძენილი, იმასაც გაეცნობება ჩემგან წარმოდგენილი სპილენძის გულსაკიდი ნაპოვნია. თქვენს წერილს მე ვინახავ, როგორც ხელმწიფის ფერმანავით.

აბდულ ეფენდი მიქელაძე.

ავგისტი 30 დღ. 1894.

„ივერია“ №-266, 1895 წ. 9 დეკემბერი

სოფ. ქედა (ქვედა აჭარა). ამ დღეებში ღარიბ ხალხს დიდი ზარალი მიეცა საშინელ წვიმებისაგან. უმეტესი ალაგი სოფ. ქედაში თავიდან ბოლომდე მიწა ნახევარ არშინამდე გახეთქილია და ღუქნები აგერ წაიქცევა ისეა. სამი შენობა წაიქცა კიდევ, კანცელარიის ბინაც მოიშალა და სხვაგან გადავიდა. ამის გარდა, ვისაც წყლის ნაპირას მინ-

დორ-მამულები პქონდა, სულ ერთიანად წაღება ადელვებულმა წყალმა. ზოგერთს სიმინდით გავსებული ნალები და ზეინები წაართვა, ზოგის კაპანი ადგილები სიმინდის ანი ნიაღვარმა ჩაიტანა აჭარის წყალში, მისცა ქოროხსა. მაღალს სოფლებში სახლების ბინა, ქვეშ ნაფუზრები სახლიანად მოსკდა, რაც ხეილი ქონდათ მოსპო, საღაცე სიღრმე იყო, აღარ დასტოვა, მოგოჯა. გაღმა-გამოღმა ადამიანის გასვლა-გამოსვლა შეუძლებელია. რამდენიმე კაცი იმსხვერპლა აჭარის წყალმა. ჯერეთ რამოდენიმე გვაგებიც არ უპოვით. სახელმწიფო გზები ძლიერ გაფუჭებულია, ისე რომ ძველად, როგორც თათ-რის დროს იყო, ისეა; ცხენით სიარული შეუძლებელია. თუმცა ახლა შეუდგნენ მუშაობას, მაგრამ მალე არ გაკეთდება. ერთის სიტყვით, აჭარა სულ ერთიანად დანგრეულ-მინ-ულის შარშანდელზე უფრო ნაკლები აქვთ სიმინდი. ჩვენში ძველი ანდაზა არის: თვით არ იყო ძმარი, შიგ ჩავიდა წყალი. ფუხრის საქმეც ასეა: ბევრს სამის თვის სარჩო არა აქვთ. ხალხი სჩივის, რომ დიდ შიმშლს მოველითო და ხელ-დაკრებილი დაიარება. სიმინდის ფასი არის დღეს ოთხი აბაზი. ამ დროს მის დღეში არ გავიწილა სიმინდის ამგვარად გაყიდვა, მერე უფრო გაძვირდება; ისე დღე არ გავა, რომ ჩვენ ნაჩაღნიკს არ სთხოვონ, შეგვეწიეო. ამ დიდ წყალბაზე კინაღამ დიდი საცოდაობა მოხდა, თურმე სამი პატარა ბიჭი, ათი წლის ბავშვები, წყლის ნაპირზე მისულან თევზების ასაკრე-ფად. იმ დროს უცებ წყალი აღიღდა და ბავშვებს ირგვლივ შემოუარა თურმე და იმ დროს იქვე ხე ყოფილიყო, სამნივე ავიდნენ ხეზედ. წყალმა უფრო-და უფრო იმატა. ბავშვებს რაღა უნდა ექნა? შექმნეს ყვირილი. ხალხი შეიყარა გაღმა-გამოღმა, მაგრამ ვერაინ ვერ გაბედა წყალში შესვლა და ბაღნების გამოყვანა. იმ დღეს და ღამეს ხეზე დარჩნენ. მეორე დღეს ბათალ ბაბუჩიოლიმ შესცურა და თოკი თან წაიღო. თოკი თითო თითოდ საწყალს ბავშვებს მიაწოდა და მშვიდობით გადაარჩინა. იმ ვაჟკაცს ხა-ლხმა, დიდმა თუ პატარამ მადლობა გადაუხადა.

აბდულ ეფენდი მიქელაძე.

„ივერია“, №-72, 1897 წ. 17 აპრილი

სოფ. ქედა (ქედა აჭარა). წრევანდელი გაზაფხული სასიამოვნოდ მიმდინარეობს, ხეილი აჰყავდა და, როგორც ეტყობა, კარგი მოსავალი უნდა მოვიდეს, თუ შემდეგში არ გვიდალატა ბუნებამ. ავადმყოფობა ჩვენში ნაკლებია, მხოლოდ შავი ქირის გვეში-ნიან, თუმცა-და ადგილობრივი უფროსი და ბ-ნი სოფლის ექიმი თავ-გამოდებით შეუდ-გნენ სოფლის გასუფთავებას, ფერშლებით დადიან სოფლებში უხსნიან ხალხს, რა სარ-გებლობა მოაქვს სისუფთავეს.

დღემდის ერთი პირველი დაწყებითი სასწავლებელი რა არის, იმასაც ვერ ვეღირ-სეთ, არ ვიცი, რა არის ამის მიზეზი. სხვა სოფლებში არა თუ პირველ დაწყები-თი, ორ-კლასიანი სასწავლებელიც-კი დააარსეს და აარსებენ. მართალია, აჭაური მცხო-ვრებლები დახმარებას ვერ აღმოუჩენენ სკოლას, მაგრამ ჯერ უნდა გაიგოს ხალხმა, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან სკოლას და შემდეგ იკისრებს თავის ხარჯით სკოლისთვის შენობის აგებას და ან სხვა დახმარების აღმოჩენას. არის ბათუმში სამო-ქალაქო და ქართული სასწავლებლები, მაგრამ აჭაურ მცხოვრებთათვის გამოუსადეგარია, რადგან ბათუმში ქედაზედ ორმოცე ვერსით არის დაშორებული. აქ დაგვიარსეს სასოფ-ლო სამკურნალო, რომელსაც დიდი სარგებლობა მოაქვს; ესლა სკოლა გვაქვია და ვგონებთ, იმასაც ვეღირსებით. ბ-ნ თეოფილე ერქომაიშვილის თაოსნობით აჭაურმა მცხოვრებლებმა თხოვნა მიართვეს ბ-ნს სასწავლებელთა ინსპექტორს მაიმინაიშვილს, რომ იშუამდგომლოს და დაგვიარსონ პირველდაწყებითი სასწავლებელი ს. ქედაში სა-

ხელმწიფო ხარჯით. იმედია ბუნამინაიშვილი უყურადღებოდ არ დასტოვებს თხოვნას, რითაც დიდსა და დაუფიწყარს სამსახურს გაუწევს აქაურებს.



აბდულ ეფენდი მიქელაძე.

„ივერია“, №-189, 1897 წ. 11 ივლისი

სოფ. ქელა (ქვედა აჭარა). ამას წინად ისეთი გვალვა და სიცხეები იყო, რომ ადამიანთ მგზავრობა შეუძლებელი იყო და ღარიბ ხალხს ნახევარზედ მეტს ყანები დათესილი აქვს, ცოტა თუ რამე მოხნეს და დასთესეს, ისიც ამ დღეებში სიცხემ ამოსწვა. აგერ ორი თვეა, რაც ჩვენში ნამი წვიმა არა ყოფილა. ამ გვალვამ თუ ბოლო გაატანა, შიმშილობის ნიშანი არის.

ორ ივლისს, სამშაბათს საღამოზედ, ბათუმიდან მოდიოდა სახელმწიფო გზების ინჟინერი აპასიკი* ეტლით. როდესაც ამოვიდა სოფელ ქელას პირ-და-პირ, გზის სივიწროვის გამო მდ. აჭარის წყლის უშველემელ ხრამში გადავარდა. მეეტლე გადაჰყვა ეტლს. ეტლი დამტვრეულია. ერთი ცხენი დაშავებულია და მეეტლეს ცოტა დაბეგვილია.

აბდულ ეფენდი მიქელაძე.

„ივერია“, №-201, 1897 წ. 28 სექტემბერი

სოფ. ქელა (ქვედა აჭარა). დადგა თუ არა ენკენისთვე, წვიმებმა და საშინელმა ქარიშხალმა აღარ გავგაზილებინა თვალი. ერთი დღე რომ დარია, შვიდს დღეს წვიამა. მოსავლის და ყანების აღება ვერ მოვასწარი, მაღალ მთებზედ თოვლი წამოსდგა, გაღმა-გამოღმა გასვლა გამოსვლა შეჩერებულია. ბათუმისა და ახალციხის გზები სულ ერთიანად წამხდრია. ამ თვის დამდეგამდე გზებზედ მუშაობა იყო, საჩქაროთ უნდა შეეკეთებინათ, მაგრამ ამ წვიმებმა შეუშალა ხელი, ზოგან გაკეთებული კედლები ჩამოინგრა ზევის გამო და ზოგან ახალი ზევი ჩამოწვა, ასე რომ დიდი ზარალი არის და მგონია წრეთულს გზის შეკეთება არ დამთავრდება. აჭარის და ქვანის წყალზედ ხიდები წაიღო აღელვებულმა წყალმა და ბევრ სოფლებს დიდი ზარალი მიეცათ. ყანები და ნათესი ნაფუზრები პატარა ხევებმა ჩაღვეა. ყურძენს აქამდის კარგი პირი უჩანდა, ახლა კი წვიმებმა წაახდინა. რაც დარჩა, ისიც არ დამწიფებულა, ძირს სცვივა. კაკალს წრეთულს კარგად ესხა, მაგრამ ავდრის გამო იმანაც ფუჭად ჩაიარა. კაცის კვლა ჩვენში კიდევ გახშირდა. 10 ენკენისთვეს სოფელ ორთახოხნაში ერთი ახალგაზრდა ბიჭი მოჰკლა თავისმა მტერმა. ამას წინადვე მოკლული ჰყავდა თავისი ბიძა. ეხლა ფირალად არის გავარდნილი. იმედია მალე დაიჭერენ.

აბდულ ეფენდი მიქელაძე.

„ივერია“, №-220, 1897 წ. 25 ოქტომბერი

სოფ. ქელა (ქვედა აჭარა). 12 ოქტომბერი. შარშან მთელი სოფელი შეწუხებული იყო ფირალებისაგან და ამ ფირალების ბოლოს მოღება შეუძლებელი შეიქმნა. გამოგზავნილი იყო ჯარი, და მთელის სოფლის ხალხმაც მხარი დაუჭირა. ჩაუჯდნენ კვალში ფირალებს, ზოგი მოკლეს და ზოგი დაიჭირეს. გვეგონა, რომ აწი ჩვენს ქვეყანაში ავიკაცი არ გაჰქანდებო, იმიტომ რომ ქარის ამოსვლამ ხალხი ძლიერ შეამინა და შე-

* ნიკოლოზ ბოგდანის ძე პასეკი, იმ პერიოდში მუშაობდა ბათუმის საგზაო განყოფილების ინჟინრად.



წუხა, მაგრამ მაინც არ დაიშალეს თავისი. წელს კიდევ ამოვიდა ჯარი დარჩენილ ფორ-
 ლების შესაპყრობად, მაგრამ ამოსვლის შემდეგ უფრო უარესი გახდა. ცუდ-
 უფრო გამრავლდა, უწინდელი ფორალები წრევენდელმა კაცის კვლამ და ცუდკაცობამ
 დაგვაფიწყა.

6 ოქტომბერს სოფელ აჭარის აღმართში მოჰკლეს ერთი ახალგაზრდა ყმაწვილი
 ბიჭი, შეიღენ ვილიჩი-ოღლი. ღამის სამ საათზედ წასულიყო იგი ყანაში, სადაც წაღის
 ქვეშ სიმინდი ჰქონოდა გასარჩევი. მისულა თუ არა, მტერიც მიჰპარვია, უკანდგან ეს-
 როლა თურმე თოფი და იქვე სული დააღვენინა. დამნაშავე ჯერჯერობით არ არის
 ნაპოვნი.

11 ოქტომბერს, ღამე აფთიაქის სახლის ეზოში ექიმის სამს ცხვარს მოჰპაროდა
 მგელი და ერთი ცხვარი მთლად შეეჭამა და მეორისათვის ჯიგარი ამოგელიჯა. საყვირგელი
 ის არის, რომ ექიმის სახლი სახელმწიფო გზის ნაპირზეა, აქ დღე და ღამე მგზავრი დაღის,
 იქვე ჯარი სდგას და იქ როგორც მიჰბედა მგელმა, მაგრამ რა, აქაური მგელიც ხათბა-
 ლაა და კაციც.

ჩვენში წვიმები კიდევ დაიწყო. ისე დღე არ გავა, რომ დილიდგან შუადღემდის
 არ იწვიმოს. მართალია, თოვლი მოვიდა, მაგრამ ასე გაბმული წვიმები არ გავონილა.

აბდულ ეფენდი მიქელაძე.

„ივერია“ №-63, 1898 წ. 22 მარტი

ს. ქედა. (ქვედა აჭარა). ჩვენში ზამთარი ღვინობისთვის დამლევს დაიწყო, ასე რომ
 სოფლებს ნამუშევარი შეუნახველი დარჩათ, საზამთროდ შესისა და ჩალის შენახვაც
 ვერ მოასწრეს, ეგონათ, ეს თოვლი აღნებო და მაშინ შევიანახეთო, მაგრამ იმედი
 გაუტრუდეთ. თოვლი არა თუ არ დადნა, თან და თან მეტი მოვიდა, როგორც სოფ-
 ლისა, ისე სახელმწიფო გზები შეიკრა და მისვლა მოსვლა შესწყდა. თოვლი ერთს სა-
 ენზედ მეტი მოვიდა. პირველ თებერვლიდან დაიწყო თოვლმა დნობა და ჯერაც არის.
 ახალციხისა და ბათუმის სახელმწიფო გზა ისე გაფუჭდა, რომ რაც შარშან გააკეთეს,
 სულ დაიქცა; ზოგან ისეთი დიდი კლდე მოხვდა, რომ კაცს შიშის ზარს მოჰკერის...

შარშან გაზაფხულზედ, როგორც „ივერია“-შიაც იყო მოხსენებული, ქვედა აჭარის
 მცხოვრებელთ ბუნ თეოფილე ერქომიშვილის თაოსნობით თხოვნა მივართეთ სამრე-
 ვლო სკოლების ინსპექტორს ევტახი მაშინაიშვილს და ვთხოვეთ შუამდგომლობა დაე-
 წყო მთავრობის წინაშე სახელმწიფო სამრევლო სკოლის დაარსების შესახებ ს. ქედაში.
 აგერ ერთი წელიწადი მიდის და ჩვენის თხოვნის არაფერი ისმის. რა უყვეს ჩვენს
 თხოვნას, სად უკრეს თავი, არ ვიცით, ზოგნი დღესაც ჰკითხულობენ, თუ უარი გვით-
 ხრა მთავრობამ, გავგაგებინონო. დაბა ხულაში 1897 წლის 1 სექტემბრიდან დააარსა
 მთავრობამ ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი, რასაკვირველია, ეს დიდი სიკეთეა
 ზეგნელებისათვის, მაგრამ ქვედა აჭარამ რა დააშვა ნეტა? ჩემის აზრით, უმჯობესი
 იქნებოდა, რომ ამისთანა სასწავლებელი ჯერ სოფელ ქედაში დაეარსებინათ და შემ-
 დეგ ხულაში. აქაური ხალხი უფრო მიმხვდარია სწავლის საჭიროებას და უფრო სწუ-
 რით სწავლა.

აბდულ ეფენდი მიქელაძე.

(დახასრული იქნება)

ფრონტული დღიურიდან

გრიგოლ ჩხაიძის მოთხრობები დროდადრო იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე, გამოცემულია ცალკე წიგნებად.

დღეს „ჭოროხის“ მკითხველებს გ. ჩხაიძე თავის ფრონტულ ჩანაწერებს სთავაზობს. მისი ავტორი დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში, ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა და სახლში სეიბარი დაბრუნდა. იგი რამდენიმე საბრძოლო ორდენისა და მედლის კავალერია.

1942 წლის ზაფხულის დასაწყისში სტალინგრადში ვიყავი. ვნახე მტრის დასახვედრად გამზადებული ქალაქი. იგი მიუვალ ციხესიმაგრეს ჰგავდა.

სასწრაფო სამხედრო დავალება მომცეს, ქალაქში ბევრი ვიარე. ჩემს ყურადღებას იტაცებდა სტალინგრადის სიდიადე, ინდუსტრიული, თანამედროვე ნაგებობანი, მაოცებდა მისი რელიეფური მდებარეობა, — თვალუწვდენელი ქალაქი მდინარე ვოლგას რომ ასდევნებია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

ვიყავი ნავსადგურში, ჩვენი დროის დიდი მფრინავის ვალერი ჩკალოვის ძეგლი რომ გაჰყურებს უთვალავი ქარხნების ბოლში გახვეულ ქალაქს.

იმ დღეებში მტრის შავსვასტიკიან ბომბდამშენს უცდია ქალაქში შემოღწევა, მაგრამ საკადრისი პასუხიც მიეღო — ფრთებდაღწილა ეგლო ოთხსართულიან სახლებს შორის, ქუჩის პირას, პატარა პარკში. გამკლელ-გამომკლელნი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ ამ სიკვდილის მთესველ ურჩხულს.

მაშინ უკან ვახვედით, მაგრამ ჯარისკაცებს არ გვჯეროდა, რომ გერმანელები მდინარე დონს გადმოლახავდნენ და სულ მალე აქ, ვოლგაზე, გაჩაღდებოდა სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა, ბრძოლა ჩვენი დიდი სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნისათვის, ომების ისტორიაში უდიდესი შერკინება.

მაღლე კამიშენის რაიონის ერთ პატარა სოფელში დაგზანადღობა ჩვენი მოტომექანიზებული პოლკი, რომელიც მთავარსარდლობის რეზერვში იყო, თვნიდა, აქ უნდა შეესებულებოდა ახალი ტექნიკითა და ხალხით.

ნაომარი ბიჭები ისვენებდნენ, ომის იარებს იშუშებდნენ, მაღლე ახალი ზარბაზნები მივიღეთ, ტრაქტორებსა და მანქანებს ველოდებოდით, მაგრამ დრო არ ითმენდა, განგაშზე ავიშალეთ და გეზი სტალინგრადისაკენ ავიღეთ. მიუხედავად გამწვევი ძალის სიმცირისა, ბრძანება დროულად შევასრულეთ.

მტერი სტალინგრადს უტევედა — მთელი ძალებით, სულმოუთქმელად, ცდილობდა, რაც უნდა დაჯდომოდა, ერთი დარტყმით აეღო იგი და ვოლგა გადაეღალა.

ყველაზე მეტად საკმეს ჰაერში მტრის ავიაციის სიჭარბე ამნელებდა. ფაშისტებმა დაუნგრეველი არ დატოვეს არცერთი სარკინიგზო სადგური და ხიდი, ქვეით ჯარს არ აძლევდნენ დღისით მოძრაობის საშუალებას, კართულდა ფრონტის საბრძოლო მასალებითა და სურსათით მომარაგება. ხშირად ცალკე მიმავალ ჯარისკაცსაც კი დასდევდა ავიამანადგურებელი და ტყვიამფრქვევით ცეცხლს უშენდა. იწვოდა საბძოლო მასალებითა და საწვავით დატვირთული მანქანები, ფორნები. გზების გაყოლებით უწყსრივოდ ეყარნენ პაპანაქება სიცხეში რუმბებივით გასივებული, დახოცილი ცხენები. სტალინგრადი დუღდა, სტალინგრადი ქუხდა, სტალინგრადში ცეცხლი ვიზგიზებდა, მაგრამ მისი შეუპოვარი დამცველები საღ კდესავით იღვნენ, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ.

მტერმა რა არ იღონა, ფიზიკურად და სულიერად რომ გაეტეხა სტალინგრადელთა სიმტკიცე, დაეშინებინა და დაეჩოქებინა იგი. განუწყვეტლივ, ზედიზედ პიკირებაზე გადმოდიოდნენ სირენებნართული ესკადრილები, თავზე გვაყრიდნენ ბომბებს, ფსკერგახვრეტილ რკინის კასრებსა და რელსებს, რომლებიც საზარელი სტვენით, კივილ-წივილით ენარცხებოდნენ მიწას...

ქუხდნენ ჩვენი ავტომატური საზენიტო ბატარეები, გრუზუნებდნენ მძიმე „ზენიტკები“, ცა იფარებოდა გასროლილი ყუმბარების თეთრი კვამლით, განუწყვეტლივ კაკანებდნენ ტყვიამფრქვევები, ავტომატები, ჭექდნენ შაშხანები, ყეფდნენ მძიმე ნალმტყორცნები, ქშინავდნენ „კატიუშები“... ღუმდნენ დახოცილები და კვნესოდნენ დაჭრილები. არსად, არავითარი ბუნებრივი საფარი არ იყო, ამ გაშლილ ველზე ყველაფერი ხელისგულივით ჩანდა. დღისით შეუძლებელი იყო საბრძოლო მასალებისა და სურსათის მოზიდვა. უწყლობა კი სულს გვზდიდა.

— „არც ერთი ნაბიჯი უკან!“ — ასეთი იყო ბრძანება.

— „არც ერთი ნაბიჯი უკან!“ — ასეთივე იყო ჩვენი ფიცი. ამ ბრძანებას განმარტება არ სჭირდებოდა. ეს სრულდებოდა უყოყმანოდ, ყოველი

სტალინგრადელის სიცოცხლის ფასად. აქ შენსკენ მომავალ ტანკს ვერ გაეცეოდი (ან სად უნდა გაეცეოდი!), ან უნდა მოგესპო იგი, ან შენ მსხვერპლი გამხდარიყავი... უკან სამშობლო იდგა. ვიბრძოდით სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, ვიბრძოდით თავგანწირვით, გმირულად, ვიმარჯვებდით, ვიხრებოდით.

კბილებამდე შეიარაღებულ, თვითდაჯერებულ მრისხანე მტერს ვებრძოდით, ვებრძოდით და, რაღაც უნდა დაგვედომოდა, უნდა მოგვესპო იგი, უნდა დაგვემარცხებინა აქ, ვოლგის ნაპირებთან. სხვანაირად გამარჯვება არ იქნებოდა, ჩვენ ეს გვწამდა.

სტალინგრადში ჩვენთვის არჩევანი არ იყო: ან სიკვდილი ან გამარჯვება. — აი, ასე იდგა საკითხი ყოველი მებრძოლის წინაშე, მაგრამ შიშის დაძლევა არც ისე ადვილი საქმე იყო. ეს მხოლოდ მტერზე გამარჯვებას შეეძლო, სხვას არაფერს.

ბრძოლის ველი თვითმფრინავებიდან გადმოყრილი პროკლამაციებით იფარებოდა. გვპირდებოდნენ ედემის ბაღს, გვაშინებდნენ, გარემოცვაში ხართო, ერთადერთი გამოსავალი — ტყვედ ჩაბარება დაგრჩენიათო.

ჩვენი საბასუხო ავითფურცელი ვიპოვე, რა თქმა უნდა, გერმანულ ენაზე. წაკითხვით კი წავიკითხე, მაგრამ სკოლაში ნასწავლი გერმანულით ვერაფერი გაუგე. ერთმა ჯარისკაცმა გეითარგმნა: „ჩაგვბარდით დღეს, თორემ ზვალ უკვე გვიანი იქნება“.

ისე ყველაფერი კარგად აგისხდათ, როგორც ჩვენი გაფრთხილება სულ წალე გერმანელებს აუხდათ.

* * *

18 სექტემბერი იყო. სარდლობის გეგმა გავაცანეს, მტრისათვის მოულოდნელად უნდა დაგვერტყა.

19 სექტემბერს, განთიადისას, ყველა მზად ვიყავით, კარგად ვიცოდით ჩვენი მოვალეობა და მიზანი.

ბრძოლის ველი ჩვენი მძიმე ტანკებით გაიჭედა, ისინი სტარტზე იდგნენ და შეტევის ნიშანს ელოდნენ. ყოველ ორ-სამ ტანკს მანქანებით უკან საზენიტო ზარბაზნები ედგა, „კატიუშები“ და მძიმე ნაღმტყორცნებიც შეტევის დაწყების ნიშანს მოუთმენლად ელოდნენ...

სათვალთვალო პუნქტზე ცეცხლის მილი ერთი წუთით ჩვენი საცეცხლე განლაგებისაკენ მოვაბრუნე. შორსმსროლელი ქვემეხები გულის ამობერტყვის ბრძანებას ელოდნენ. ამდენი საომარი ტექნიკა ჯერ არსად მენახა, წელში გავიმართე, სიამაყემ შემიპყრო.

ერთი, ორი... — ვითვლი ჩემთვის და ყოველ დათვლაზე მიწის ძვრას ველოდები... საცაა დაიწყება სასტიკი ბრძოლა, რომელიც, ვინ იცის, რამ-

დენი კაცის სიცოცხლეს შეიწირავს, რამდენი ქალი დაქვრივდება, რამდენი ბავშვი დაობლდება, რამდენი დედა ატირდება...

მე მეგონა, ჩემთვის ჩუმად ვთქვი, თურმე ხმამაღლა მითქვამს: *მეც მათგან ვარ!*
გული ამომიყოლებია.

გვერდით მდგომმა მეგობარმა მხარზე ხელი დამკრა და მიმახედა.

— კმარა მაგაზე ფიქრი. ჩვენ დღეს დიდი საქმე გვაქვს. სამშობლოს თავისუფლებისათვის სიცოცხლესაც არ დავზოგავთ!

...მთელი ფრონტი ცეცხლის ელვამ გაანათა, რასაც ისეთი ქუხილი მოჰყვა, მეგონა, დედამიწა გადაყირავდა და სამუდამოდ დავერუვდი-მეთქი.

მტრის პოზიციები ცეცხლმა და კვამლმა შთანთქა. სიცხით გამხმარ-გამოვაღული მიწა ბელტებად ცაში აიჭრა და მტერად ქცეული, ღრუბ-ლებივით აბორიალდა. სუნთქვა გაძნელდა. დენთის კვამლითა და მტვრით გამოტენილი ხახა გამიშრა. ჯარისკაცთა გამურულ სახეზე თეთრად მხო-ლოდ კბილები გამოკრთოდა დახეთქილ ტუჩებს შორის. მუხარადის ქვე-მოდან წურწურით ჩამოგვდის ოფლი, პერანგები ზურგზე მიგვეკვრია. გა-ესცქერით ველს, ბათქი არა თუ კლებულობდა, პირიქით თანდათან მატუ-ლობდა და ძლიერდებოდა.

აი, მძიმე არტილერიამ ცეცხლი მტრის ზურგში გადაიტანა.

— ვაშა! — დასჭექეს ქვეითებმა და ბრძოლის ველზე გაჭრილ ტანებს ფეხდაფეხ აედევნენ, და მოკლე-მოკლე გადარბენებით შეიჭრნენ პირველი რიგის ტრანშეებში, ცოცხლად დარჩენილ ფაშისტებს ხიშტებით ეკეთ-ნენ, გაქცეულს ხელყუმბარები და ტყვიები დაადევნეს შეუჩერებელივ, ვაშას ძახილით მეორე რიგის სიმაგრეებს და საფარველებს მიაშურეს. გატყდა გერმანელთა თითქოსდა აუღებელი თაუდაცვის ზახი.

ჩვენ, არტილერისტებს, გვიბრძანეს: წინ წაწევა. სათვალთვალ-სამეთაურო პუნქტი ბრძოლის წინა ხაზზე გადავიტანეთ და უკან დახეულ მტერს ცეცხლი დავუშინეთ. მოკლე ხანში მტრის საყრდენი სიმაგრეები მიწასთან გავასწორეთ. მაგრამ ყველაფერი ჯერ კიდევ წინ იყო.

მტერმა ისარგებლა პაერში ჩვენი ავიაციის სიმცირით და მალე კონ-ტრშეტევა წამოიწყო. ბრძოლის ველი კვლავ არანახულ ცეცხლის ალში გაეხვია. შეუჩერებლად გრიალებდნენ ზარბაზნები და ნალმტყორცნები. მიწა ყუმბარების ნამსხვრევებითა და სისხლით იზილებოდა...

გვერდით ჩვენი დივიზიონით კავშირგაბმულობის უფროსი მოცელი-ლივით დაეცა. იმწამსვე მივაშურეთ. მძიმედ იყო დაჭრილი. სიმწრისაგან ბაგეს იკვნეტდა...

სამეთაურო პუნქტზე დაიჭრა გვარდიის ლეიტენანტი მამალაძე. იგი პოსპიტალში წაიყვანეს.

შუადღისას მტერმა სხვადასხვა ფრონტებიდან გადმოისროლა დიდ-

ძალი ავიაციი. ცა ღაიფარა მესერშიტებით, ოუნკერსებით, ფოკერულფებით და ვინ მოთვლის, კიდევ რა ათასი ჯანდაბით.

ხუთ დღე-ღამეს არ შენელებულა მტრის მასირებული სარდლობა დასხმები. შეუიარაღებელი თვალთ ვხედავდით, თუ როგორ ეშვებოდნენ აეროდრომზე თვითმფრინავები და სულ რაღაც რამდენიმე წუთში კვლავ ჯგუფ-ჯგუფად მოფრინავდნენ ჩვენს დასაბომბავად.

ენახეთ, ჩვენი ერთი ავიაგამანადგურებელი როგორ მიჰყვა მტრის ბომბდამშენთა შეიდეულს, ახლო მანძილიდან ცეცხლი გაუხსნა. დაეჯახა ჯერ ერთს, შემდეგ მეორეს. დავინახე, ცეცხლმოღებულ თვითმფრინავები როგორ დაენარცხნენ იქვე, ჩვენს მახლობლად, გვალვიან მიწას.

გერმანელი მფრინავები პარაშუტებით დაეშვნენ. ორი მათგანი ჩვენ დავატყვევეთ. ასე ორმოც-ორმოცდაათ წელს მიღწეულები იქნებოდნენ. მწითურები, მხისაგან გარუჯულები. ეტყობოდათ, აფრიკიდან ახლად გადმოსროლილი იყვნენ. ფეხზე ძველი, დაკერებული ჩექმები, ტანზე ასევე ძველი, გახუნებული მუნღირები ეცვათ. გამიკვირდა „მსოფლიოს დამპყრობლების“ ასეთი ჩაცმულობა. ჩემს წინ გმირი მფრინავი კი არა, წელში ოთხად მოხრილი, მოკუნტული და ამატყვევებული ლაჩარი იდგა, რომელსაც დამფრთხალი თვალები ხაფანგში მომწყვდეულ ძელასავით გაუკრბოდა...

რადგან ჩვენ მთავარსარდლობის რეზერვი ვიყავით, ხან ერთ შემტევ ნაწილს ვეხმარებოდით და ხან მეორეს. ყოველი მეტრი მიწა ორმოებად და თხრილებად იყო ქცეული. ვიბრძოდით და ვსულდგმულობდით დიდი იმედით, რომ მალე „ჩვენს ქუჩაზეც დადგებოდა დღესასწაული“. მტერს ყოველდღე ეუტევდით და ასევე ყოველდღე ვიგერიებდით კონტრშეტევას.

მეწინავე ხაზს ქამარივით ერტყა მუხლუხებდაღლეჯილი და არტილერიის ცეცხლით დამუნჯებული ტანკები. ისინი ერთ მთლიან ჯაჭვს ქმნიდნენ, რომელთა შორის გაძრომაც კი შეუძლებელი იყო.

ფრონტის ამ ადგილს ჩვენმა ჯარისკაცებმა ტანკების სასაკლავო შეარქვეს. ამ სასაკლავოს იქით იდგნენ ფაშისტთა ურდოები და განუწყვეტლივ ტყვიამფრქვევებისა და ავტომატების ცეცხლს აფრქვევდნენ.

სტალინგრადის ფრონტზე ერთი წუთითაც არ წყდებოდა ბრძოლა. გერმანელები ფრთხილობდნენ, რომ ღამის წყვდიაღში ჩვენი მხვერავები არ შეჰპარვოდათ და მანათობელ მაშხალებს ისროდნენ.

არცერთ დღეს არ შეწყვეტილა სტალინგრადზე გერმანელთა შეტევები. გმირულად იბრძოდნენ სტალინგრადის დამცველები, 62-ე არმიის ჯარისკაცები და ოფიცრები, სახელოვანი ჩუიკოველები. იმართებოდა ხელჩართული ბრძოლები ქალაქის ქუჩებში, სახლების სარდაფებსა და სართულებზე, გერმანელებმა დაბომბეს ბენზინის აუზი. ცეცხლისა და კვამლის სვეტები ცაში აიჭრა. ცეცხლის ნიაღვარი ვოლგისაკენ გაიწია,

მაგრამ სტალინგრადელები იდგნენ უკანასკნელ ტყვიამდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბა და კრიტიკული გახდა ^{ეროვნული} ~~მაგრამ~~ სტალინგრადის დამცველთა სული მტერმა ვერ გატეხა. ფაშისტებმა ვერ შეძლეს სტალინგრადელთა დანოქება.

ომის ცეცხლით გადატრუსულ არე-მარეს ზამთრის იერი მიეცა. დედამიწას ჭირხლი დაედო, გაძნელდა მაწურებისა და სიმაგრეების გათხრა-გამაგრება.

საზამთრო, თბილი ტანსაცმელი დაგვირიგეს, ჩაიცვიო, შევინიღბეთ. მალე თოვლ-ჭყაპი შეწყდა, გაყინა და მიწა მშრალი თოვლით დაიფარა. გვცოდნა, მაგრამ გაჭირვებას ჩვენებურად, ჯარისკაცულად გავუძელით. ეჭვიც არ გვებარებოდა, რომ გამძლეობით მტერი ვერ გვაჯობებდა და ზამთრის მოსვლით ღილად ვიმედოვნებდით.

* * *

19 სექტემბერს, განთიადისას, ჩვენგან შორს, სამხრეთით, ჩასუდრული ცის კაბადონი წითლად აენთო, ელვას განუწყვეტელი გრიალი მოჰყვა. სანგრებიდან გარეთ გამოვცვივდით. საათობით ვიდექით ღია ცის ქვეშ და სამხრეთს შევცქეროდით, სადაც ელვა-ქუხილი კი არ ნელდებოდა, არამედ, პირიქით, თანდათან ძლიერდებოდა.

ნეტავ, რა ხდება იქ? — აი ეს კითხვა ტანჯავდა ახლა ყოველ ჩვენთაგანს, მაგრამ არავინ არაფერი იცოდა, ზარბაზნები კი განუწყვეტლივ ქუხდნენ და ქუხდნენ.

გათენდა. მოქუფრული ცა კვლავ ნაცარივით მშრალ თოვლს გვაფრქვევდა თავზე.

სამეთაურო პუნქტიდან საბრძოლო პოზიციებს გავხედე.

— ამხანაგო მაიორო! — გოცებულმა ხმამაღლა ჩავძახე სანგარში და პასუხს დაველოდე.

— რა მოხდა? — იკითხა მაიორმა.

— გერმანელები, გერმანელები! აი გაიხედეთ! — მოუთმენლად მივამახე და ამოსასვლელი დავუთმე.

ფაშისტები ჩვენგან რაღაც 900 მეტრის დაშორებით საბრძოლო პოზიციიდან ბატარეას ხსნიდნენ და აჩქარებით მანქანაზე აბამდნენ.

მაიორმა მეკავშირეს ყურმილი გამოართვა და მეშვიდე ბატარიის უფროსს გვარდიის კაპიტანს ერაგინს უბრძანა:

— აბა გაიხედე! ორიენტირი მესამე, უჩვენე ერთი შენებურად ფაშისტებს ჩვენი ძალა!..

ორი წუთიც არ გასულა, რომ ზარბაზანმა დაიგრილა. პირველს მე-

ორე გრიალი მოჰყვა, მანქანას ყუმბარა ზედ დაეცა და ზარბაზნიანად პერში ისროლა...

შუადღისას ადგილის გამოცვლა გვიბრძანეს. შორს არ გადავსულვართ. იქვე, ორ კილომეტრზე, უფრო ჩრდილოეთით გადავინაცვლეთ. საჭირო გახდა ახალი საცეცხლე პოზიციისა და სამეთაურო პუნქტის შერჩევა. წინ მზვერავთა უფროსი, გვარდიის უფროსი ლეიტენანტი ტრაშკევიჩი წავგიძღვა. თოვდა, პირქარი ქროდა და მხედველობა გვიჭირდა. ცოტათი ინათა და დავინახეთ, ჩვენგან რაღაც ოცი-ოცდახუთი მეტრის დამორებით, ვეებერთელა ტანკის გვერდით, კისერზე ავტომატჩამოკიდებული გერმანელი გუშაგი სიცივისაგან გათოშილი ასკინკილას უვლიდა.

სწრაფად მიმოვიფანტეთ. ჩვენს მზვერავს, ნიკოლოზ ბოიკოს, გულმა არ მოუთმნა, ცოტა უკან დაიხია, ჩაიჩოქა და გერმანელს ავტომატის მოკლე ჯერი ესროლა და მაშინვე ამ ცოტათი მიფურებულ უბანზე ჯოჯოხეთი დატრიალდა.

* * *

განთიადისას შეტევაზე გადავედით. საარტილერიო ზალპის შემდეგ მტრის თავდაცვის ზღუდეებს ტანკები და ქვეითები ეკვეთნენ.

მოწინააღმდეგის თავდაცვის ხაზი გავარდეთ. შვიდი-რვა კილომეტრით წავიწიეთ წინ, ზოგან კი მეტი.

მტერმა მოახერხა ჯარების სწრაფი მანევრება და კონტრშეტევაზე გადმოვიდა.

თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ისე მოულოდნელად ამობობდა თოვლით დაფარულ ხევიდან ჩვენს წინ ვეებერთელა ტანკი. დრმა თხრილში ძლივს მოვასწარიტ ჩაწოლა. რამოდენიმე ყუმბარა ზედიზედ გაისროლა, თან ტყვიამფრქვევებით მანათობელი ტყვიების გრძელი ჯერი მოაყოლა და გრუხუნით ჩვენსკენ დაიდრა. დარწმუნებული ვიყავით, რომ თოვლისფერად შენიღბულებს ვერ აღმოგვაჩენდა, მაგრამ იმასაც კარგად ვგრძნობდით, რომ ტანკს მალე ქვეითებიც მოჰყვებოდნენ და მზად უნდა დავხვედროდით, ტანკი პირდაპირ თავზემით გრუხუნით გადაგვევლო.

— აბა, ბიჭებო, უკვე დროა! — დაიყვირა. ჩემს გვერდით მზვერავმა ნიკოლოზ სემაგინმა, ზეზე წამოიჭრა და თვალის დახამხამებაში ტანკს უკნიდან მოტოროთან ხელყუმბარა დაახალა. ავარდა ალი. ტანკისტებმა კოშკურის სარქველი აადეს და ტანკიდან გადმოხტომა დააპირეს, მაგრამ ცეცხლმოდებულებმა მიწაზე ფეხის შეხებაც ვერ მოასწრეს.

მტერმა მრავალჯერ სცადა დატოვებული ტერიტორიის უკანვე დაბრუნება, მაგრამ ფეხი ვერ მოგვაცვლევინა.. კვლავ თავდაცვაზე გადავედით. დავიკავეთ მტრის ძელმიწურები, სანგრები. გასროლილი ჰილზებიდან

ლუმელები გაემართეთ, შეშის მაგივრად შიგ ნადავლი მანქანის რეზინის საბურავების ნაჭრები შეეყვართ და ავაგიზგიზეთ.

დიდი ხნით როდი მოგვიწია გამთბარ სანგრებში ყოფნა. ორი საათის შემდეგ სალაშქროდ შევიკრიბეთ. უკუნი ღამე იყო, კვლავ თოვდა, ქარი ძალობდა. ტრაქტორებს ხეობებში ძალიან გაუჭირდათ ზარბაზნების გაწევა. ჩვენ მივეშველეთ და გაშლალ ველზე გავიყვანეთ.

19 ნოემბერს, დილით, სამხრეთ-დასავლეთის, სტალინგრადისა და დონის ფრონტის ჯარებმა მოულოდნელად დაარტყეს ქალაქის დასავლეთით განლაგებულ გერმანელთა გარნიზონებს, გაარღვიეს ფრონტის ხაზი. 23 ნოემბერს სამხრეთ-დასავლეთისა და სტალინგრადის ფრონტები შეერთდნენ კალაჩის ჩრდილოეთით და ალყაში მოაქციეს გერმანელთა მეექვსე და მეოთხე სატანკო არმია.

ჩვენ ახლა სასწრაფოდ დონისაკენ მივეშურებოდით, რათა ალყაში მომწყვდეული გერმანელებისათვის უკანდასახევი გზა ჩავგვეკეტა.

განთიადისას უკვე დანიშნულ ადგილას ვიყავით. გერმანელთა ზურგში, მდინარე დონის მხრიდან, გაუვალ ტყედ აღიმართა ჩვენი გვარდიული ზარბაზნების ლულები.

ალყაში მოქცეულ ფაშისტთა ხსნა უიმედო საქმე იყო. საამისოდ საჭირო გზაც ფუჭი აღმოჩნდა. მტრის სატრანსპორტო თვითმფრინავებს გზაში ჩვენი ღამის ავიაგამანადგურებლები ხვდებოდნენ და მიწას ანარცხებდნენ. ისინი, რომლებიც ახერხებდნენ სტალინგრადის ტერიტორიაზე შემოჭრას, უამინდობის გამო უგზო-უკვლოდ დაძრწოდნენ და ჩვენი მეზენიტების მსხვერპლი ხდებოდნენ. პარაშუტებით ჩამოყრილი სურსათ-სანოვაგე, საომარი აღჭურვილობა ხშირად ჩვენს ტერიტორიაზე ვარდებოდა.

ალყაში მოქცეულ ფაშისტებს სულ სხვანაირი ძალა უხუთავდა სულს. აქ, სტალინგრადის ბრძოლებში გამოვცადეთ და ვირწმუნეთ, რომ ჩვენი ტანკი, ჩვენი ზარბაზანი, ავტომატი, ტყვიამფრქვევი, ჯავშანმჭრელი, თოფი არა თუ ჩამოუვარდებოდა მტრისას, პირიქით, ჯობნიდა კიდევ. ტყვიაც გვეოფნიდა და თოფიც. ახლა უკვე ნამდვილად გადაწყდა მარწუხებში მომწყვდეულ გერმანელ ფაშისტთა ბელი...

* * *

1943 წლის 10 იანვარს სტალინგრადისა და დონის ფრონტების ჯარები შეტევაზე გადავიდნენ.

განთიადისას თოვდა, ყინავდა, არე-მარე ჩანისლული იყო. ქროდა ცივი გამჭოლი ქარი. წარბ-წამწამზე, წვერ-ულვაშზე ჭირხლი გვეყარა. ჩვენს წინ თოვლზე შეტევისათვის გამზადებული შენიღბული ქვეითები

ჩაწოლილიყვნენ. ვეებერთელა ტანკები მოელი ფრონტის იდგნენ. 

ველოდით შეტევის ნიშანს, ვიცოდით, გვეჯროდა, რომ ჩვენი გმირობა ჩვენს დიად სამშობლოს, ჩვენს ხალხს, ჩვენს მომავალ თაობას ფაშიზმისაგან იხსნიდა და ბედნიერებას მოუტანდა.

ადამიანი შრომისათვის, სიცოცხლისათვის, სიყვარულისათვის იბადება.

სიკვდილი მაშინაა ძნელი, როცა დარწმუნებული ხარ, რომ ტყუილად კვდები, შენი სიკვდილით ვერაფერს შეცვლი, ვერაფერს იხსნი... ჩვენ კი იმ წუთებში სულ სხვა განწყობა დაგვეუფლა. ეს იყო გამარჯვების შეურყეველი რწმენა.

აი, ჰაერში ზედიზედ აკიაფდნენ მტერზე შეტევის მაცნე მაშხალები. პირველი სიტყვა, როგორც ყოველთვის, „კატუშებმა“ ბრძანეს. მას ყველა ყალიბის ზარბაზნის გრიალი მოჰყვა. თეთრი, ქათქათა თოვლი შავად გაიბურა. დედამიწას ჯერ კიდევ მიგძიგი არ შეეწყვიტა, რომ ჰაერში კვლავ მაშხალები აენთნენ. ახლა ტანკები ეკვეთნენ მოწინავე საბრძოლო ხაზს, შემდეგ ქვეითები წამოიშალნენ და ავტომატების ცეცხლი გახსნეს, ტანკებს ფეხდაფეხ მიჰყვნენ, მტრის თავდაცვის პირველი ხაზი გაარღვიეს და გაშა დასჭექეს.

ჩვენი სათვალთვალო პუნქტიდან დაახლოებით სამოც-სამოცდაათ მეტრზე ხელყუმბარა ზედიზედ აფეთქდა. ჩვენი მოიერიშე ჯარისკაცი მოცულილივით დაეცა. მის ადგილას მეორე მიიჭრა, ხელყუმბარა მაღლა აღმართა, მაგრამ ისიც დაეცა, თურმე აქ ერთადერთი მიწური დარჩა, რომელსაც ყუმბარა პირდაპირ არ მოხვედრია და იქ ჩასაფრებულმა ფაშისტებმა ტყვედ ჩაბარება არ ისურვეს. ვინც კი წაადგა მათ მიწურს, ყველა იმსხვერპლეს, საჭირო იყო მათი მოსპობა. როდესაც მძიმე ტანკმა შორიდან ყუმბარა დაახალა, კვამლში გახვეულ მიწურს მივევარდი. გამოსასვლელთან ოთხი ფაშისტი სიკვდილ-სიცოცხლეს ებრძოდა. ერთი აყლაყუდა გერმანელი ხელებაწეული უვნებლად გამოძვრა ბუნავიდან.

— კაპუტ ჰიტლერ! — დავიყვირე და თავს ზემოთ ავტიმატის მოკლე ჯერი გადავუტარე.

— ჰიტლერ ნიქს კაპუტ. ნამ კაპუტ! — მიპასუხა.

— ჭირი და დარღუბალა ჰიტლერს! — მივაძახე და ვანიშნე, წინ წასულიყო.

სათვალთვალო პუნქტთან მივიყვანე. დივიზიონის უფროსს წარუდგინე. ატირდა, ითხოვდა ციმბირში გამგზავნეთ, ნუ მომკლავთ, ცოლ-შვილი მყავსო, როცა მიწურის ირგვლივ დახოცილ ჯარისკაცებზე მივუთითეთ, ურცხვად იუარა.

— ეს მე არ მიქნია, იქ მეთაური იყო და იმან არ მოგვცა ტყვედ ჩავბარებულყავით, ეს იმან ჩაიდინა...
არ დავიჯერეთ.

— ზალცმან! — ბრძანა ჩვენმა მეთაურმა. — წაიყვანე ეს არამზადა შტაბში!..

— არის წავიყვანო!.. — ზალცმანმა მხედრულად გაიმეორა მეთაურის ბრძანება და ტყვე წაიყვანა...

თოვა შენელდა, მზემ გამოაჭყიტა და ცა მოიწმინდა. მაშინ უნდა გენახათ ცაში ჩვენი ქუდების სროლა, როცა ბრძოლის ბობოქარ ველს ჩვენი მოიერიშე „ილიუშინები“ და „იაკები“ გადაევლენ, მტერს თავზე დაადგენ და „დაუთოება“ დაუწყეს.

დაიძრა ტყვეთა კოლონები, მოჰყავდათ „ევროპაში ახალი წესრიგის დამყარებლები“. აი, ისინი, არავის რომ არ ინდობდნენ, ნგრევა და სიკვდილი რომ მოჰქონდათ ყველგან...

წინ წავიწიეთ. ზარბაზნები განვაღაგეთ გერმანელ დამპყრობთა სასოფლასთან. სასაფლაო ბევრი მინახავს, მაგრამ ამდენი მუხის ჯვრებს სად ვნახავდი.

დამდებოდა, სასწრაფოდ კოორდინატები განვსაზღვრეთ, ბატარიების უფროსებს გადავეცით და ახლა წინ სამი კილომეტრის დაშორებით სამეთაურო პუნქტის კოორდინატების გამოსათვლელად გავეშურეთ. ისიც დროულად გავაკეთეთ. გვიბრძანეს, კვლავ ბატარიების განლაგებაში დავბრუნებულყავით.

უკან მოვდიოდით მე და სერჟანტი აბრამოვი. დაღამდა. ველზე ძალიან ძნელი იყო ორიენტირება, რომ დანიშნული ადგილი ზუსტად მიგვეჩიო, ისიც ბნელში და თოვლით დაფარულ გარემოში.

ჩვენი ერთადერთი ორიენტირი ხსენებული სასაფლაო იყო, მაგრამ ვერა და ვერ მივაგენით. კვლავ ყინავს, თოვს და ქარი სახეს გეითოშავს. გაუჩერებლად დავდივართ, რომ არ გავიყინოთ, მაგრამ სადამდე უნდა გვევლო და გვეძებნა ჩვენი ზარბაზნები. ბოლოს, როგორც იქნა, ერთ მართოვებულ მიწურს წავაწყდით, იგი პატარა ხევში იყო გამოთხრილი, შიგაგჭირვებით ორი-სამი კაცი მოთავსდებოდა. მეტი რა გზა გვქონდა, გადავწყვეტეთ დამის იქ გათევა. შევუდექით შეშის ძეხნას, ვიპოვეთ ყუმბარების ყუთი და გერმანული საზენიტო ზარბაზნის ყუმბარა. დიდის წვალეობით ჰილზს ყუმბარა ავაცალეთ, ამოვიღეთ თოფის წამალი, კვესი ჩამოვკარით და ცეცხლი გავაჩაღეთ. გავთბით და ჩავთვლიმეთ. ვისაც არ გამოუცდია, მისთვის ძნელია იმის წარმოდგენა, რა ტკბილია ასეთ დროს დაღლილი კაცისათვის თვალის ერთი მილულვაც კი.

ისე ტკბილად მეძინა, როგორც ბებიამე სოფლის ბუბულში მეძინა

ხოლმე ზამთრობით. ძეძინა და თავზე ჰაეროვანი ფერიები დამფარფატებ-
დნენ, ოჰ, რა ლამაზები იყვნენ...

გათენდა. თოვა და წინვა არ ჩაცხრა, არც ჩვენი ბიჭები დამცხრა-
ლან. ბრძოლის ჟინით ანთებულნი, ნიშანს ელოდნენ. აი, შეტევის მაუწყე-
ბელი მაშხალა მკრთალად გამოკრთა თოვლის თეთრ ფიფქებში.

— ცეცხლი! — იყო ბრძანება. კვლავ იგრიალეს ზარბაზნებმა, ყუმბა-
რები ზედიზედ ჩაეწყვნენ გერმანელთა აეროდრომზე, გადახსნეს და გადა-
ხარეს სვასტიკიანი ბომბდამშენების უკანასკნელი ასაფრენი მოედნები.
ბრძოლის ექო მთელ ველზე გაიჭრა.

— წინ! — იყო ბრძანება და ჩვენი შემტევი ჯარი მომაკვდინებელი
ცეცხლის ფრქვევით დაიძრა. აეროდრომი ერთი ღაკვრით ავიღეთ. ვეებე-
რთელა საჰაერო მეკობრეები იღვნენ დაღუმებულნი, დამუნჯებულნი,
ადრე მთელი ევროპა რომ დაანგრის და მიწასთან გაასწორეს. ახლა მათი
პილოტები იწვნენ ღია ცის ქვეშ, ჩვენს მიწა-წყალზე, სალსკის ველზე,
ვოლგისპირეთში. სტალინგრადში დაასრულეს მათ თავიანთი აღმოსავ-
ლეთის „ძღვეამოსილი მარში“. აი, აქ დაემხო და ჩაესვენა მათი „დიდე-
ბა“.

ჩვენმა ნაწილმა სადგურ გუმრაკზე მიიტანა იერიში. იმ დროს სამე-
თაურო პუნქტზე ვიყავი და კარგად ვხედავდი, თუ როგორ გაბელულად
უტევენ ჩვენი სახელოვანი გვარდიელი ტანკისტები. ჰაერიდან კი ჩვენი
თვითმფრინავები გასაქანს არ აძლევდნენ მოწინააღმდეგეს. აი, ასე, მიწა-
და ზეცაც ახლა ჩვენი იყო. მტერმა პირი იბრუნა. გერმანელებს ვასწავ-
ლეთ უკან დახევა. გუმრაკის ტერიტორიაზე დარჩა უამრავი ნადავლი: მა-
ჩქანები, ტანკები, ყველგანმავლები, თვითმფრინავები, ვოლგის გადასალა-
ხავად გამზადებული ნავები, ბორნები და სამარჯვეები, უამრავი იარაღი,
რკინიგზის გაყოლებით კი, რამდენიმე კილომეტრზე — გერმანელ ჯარის
პატა უჯვრო და უნიშნო საფლავეები.

მტერმა თეთრი დროშა აღმართა. შეწყდა 200-ღლიანი შეუპოვარ
ბრძოლა. დაიდრა ტყვეთა უზარმაზარი კოლონები გუმრაკის სადგურის
კენ.

აი, აქ, ამ დაუჩოქებელ ციხე-ქალაქ სტალინგრადში, გადაუტყდა ფა-
შისტურ გერმანიას ხერხემალი.

ჩვენმა ტანკებმა სძლიეს გერმანულ ტანკებს, ჩვენმა ზარბაზნებმა მა-
ზარბაზნებს, ჩვენმა მოიერიშე თვითმფრინავებმა — მათ მოიერიშეებ
ჩვენმა გვარდიულმა ნაღმტყორცნებმა — მათ ნაღმტყორცნებს, გერმანე-
ლთა ჯარისკაცს სძლია საბჭოთა ჯარისკაცმა!..





ბათუმის მუსიკალური ცხოვრების აღმავლობისათვის

როგორც მუსიკის ძოყვარულებმა იციან, შარშან შემოდგომაზე თბილისში გაიმართა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიების ლაურეატის, პროფესორ დავით ანდლულაძის დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო სესია. შემდეგ, მისი მონაწილენი — მოსკოვისა და ლენინგრადის, რიგისა და ტაშკენტის, ერევნის, სევრდლოვსკის, ყაზანის უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები და მათი თბილისელი კოლეგები, დავით ანდლულაძის აღზრდილები და უმცროსი თაობის მომღერლები — თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტები ჩამოვიდნენ ბათუმში, ქალაქში, სადაც დავით ანდლულაძემ ფეხი აიდგა, როგორც მომღერალმა.

მენაეთობეთა კულტურის სასახლეში გამართულ საიუბილეო ნების მუშაობაში და კონცერტში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ცისანა ტატიშვილმა, საქართველოს სახალხო არტისტებმა ნადეჟდა ხარაძემ, თენგიზ მუშუქიძემ, ნოდარ ანდლულაძემ, ელდარ გეწაძემ, საქართველოს დამსახურებულმა არტისტებმა დიზი ხელაშვილმა, ანატოლი ჭერდულიამ და სხვებმა.

იმ დღეებში გამოჩენილი მომღერლისა და პედაგოგის ვაჟს და მისი მუსიკალური ტრადიციების ღირსეულ გამგრძელებელს — საქართველოს სახალხო არტისტს, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სოლო სიმღერის კათედრის გამგეს, პროფესორ ნოდარ ანდლულაძეს „ჭოროხის“ დავალებით შეხვდა ჟურნალისტი ანზორ ჯამბახიძე. ვებუდავთ მათს დიალოგს.

— ბატონო ნოდარ, უპირველეს ყოვლისა, თავს ნებას მივცემ ბათუმელი მუსიკის ძოყვარულების და ყველა მშრომელის სახელით კაპოფილება გამოვთქვა იმის გამო, რომ თბილისის შემდეგ დავით ანდლულაძის საიუბილეო საღამო სწორედ ბათუმში მოეწყო. თქვენ ხომ მშვენივრად გახსოვთ, რომ სიცოცხლეში თავისი ყველა საიუბილეო თარიღი ბატონმა დავითმა აღნიშნა ბათუმშიც, როგორც თავის მშობლიურ ქალაქში, სადაც ეზიარა ვოკალურ ხელოვნებას ეგვენი ვრონსკის საოპერო სტუდიაში და მერე ბელკანტოს აღიარებული ოსტატი გახდა...

— დიახ, ბათუმში მან არა მხოლოდ ფიზიკურად და მოქალაქეობრივად აიდგა ფეხი. როგორც მოგვხსენებთ, პირველი იმპულსები დიდი ხელოვნებისა აქ მიიღო, აქ ჩამოყალიბდა მომღერალად. სხვათა შორის, ვიდრე ვრონსკისთან მივადოდა, გუნდში მღეროდა, განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ ეთნოგრაფიულ გუნდში.

მთელი სიცოცხლის მანძილზე დავით ანდლულაძეს ბათუმის უდიდესი სიყვარული ჰქონდა გულში. თქვენ მართალი ხართ, არც ერთი მისი იუბილე ისე არ ჩატარებულა, რომ თბილისის შემდეგ ბათუმშიც არ აღნიშნულიყო. უფრო ადრე, ჩემს ბავშვობაში, შემოქმედებთ საღამოებს, კონცერტებს მართავდა. მას მთელი სიცოცხლე მიაჩნდა,



რომ ბათუმისა და მახარაძის მშრომელთა წინაშე ვალში იყო, და აუცილებლად უნდა დაეშინებინათ. გეგლიშვიტი

ნდა შემოქმედებითი ანგარიში ჩაებარებინა მშობლიური კუთხინადში.

ძალიან ღელავდა ხოლმე, როდესაც აქ მოდიოდა. ალბათ, ძველი მოგონებები აღელვებდა. მაშინაც კი, როცა მომდერლის კარიერა დამთავრებული ჰქონდა.

— ტრადიცია არ დარღვა. დავით ანდლულაძის დაბადების 90-ე წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო სამეცნიერო სესია, თბილისს შემდეგ, ბათუმში გრძელდება და ეს, თავისთავად განმარტავს, თუ რა ადგილი უკავია ბათუმს გამოჩენილი მომდერლის შემოქმედებაში

ბათუმელებიც ამაყობენ თავიანთი სახელოვანი თანაქალაქელით და მადლობელი არიან მის სახელთან, მისი სკოლის აღზრდილებთან, მის კოლეგებთან შეხვედრისა. გთხოვთ სწორედ ამ საიუბილეო სესიის მოკლე მიმოხილვა გაუკეთოთ ჩვენს მკითხველებს.

— დავით ანდლულაძის დაბადების 90-ე წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო კომისიას სათავეში უდგას საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ვალერი ასათიანი, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო მისი ხსოვნის ესოდენ ფართოდ და მასშტაბურად აღნიშვნას. საიუბილეო კომისიამ, რომელშიც შედიან წამყვანი მუსიკოსები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, გადაწყვიტა საიუბილეო ზეიმი ჩაგვეტარებინა ორ ციკლად: ერთი იყო კონსერვატორიის ციკლი, მეორე, ოპერის ციკლი, დეკემბერში გადავიტანეთ იმის გამო, რომ დავით ანდლულაძის ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი მოწაფე, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, პროფესორი ზურაბ სოტყილაძე მანამდე გასტროლებს მთავებდა საზღვარგარეთ.

რაც შეეხება ამ სესიას, აქ მთავარი იყო საკითხები, რომლებსაც თავის დროზე, საბჭოთა კავშირში საფუძველი ჩაუყარა დავით ანდლულაძემ. ამ პრობლემებზე მუშაობამ ჩვენი კონსერვატორია დააკავშირა საბჭოთა კავშირის ყველა მოწინავე სამეცნიერო თუ პედაგოგიურ ცენტრთან. ასეთია, მაგალითად, მოსკოვის გნესინების სახელობის მუსიკალურ-პედაგოგიური ინსტიტუტი და მისი კოლეგები, აწ განსვენებული პროფესორის დმიტრიევის სახით, რომელმაც ამ სესიის პროგრამის შედგენაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო და თავისა მოხსენების თეზისები გამოგზავნა თბილისში.

ასეთია ლენინგრადის წამყვანი ცენტრები — როგორც კონსერვატორია, ისე სენენოვის სახელობის ევოლუციური ბიოლოგიის ინსტიტუტი, რომლის ბიოაკუსტიკური ლაბორატორიის ხელმძღვანელია მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ვლადიმერ მოროზოვი. მან აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ სესიის მომზადებაში, მაგრამ ავადმყოფობის გამო ვერ ჩამოვიდა, თუმცა მისი თეზისები გამოქვეყნებულია. ჩვენ, საერთოდ, ვაპირებთ ამ სესიის მასალებით საიუბილეო კრებულის გამოცემას, სადაც, რაღა თქმა უნდა, მოროზოვისა და დმიტრიევის შრომები საპატიო ადგილს დაიკავებს.

მოხსენებები წარმოადგენს ყაზანის კონსერვატორიამ, სევრდლოვსკის კონსერვატორიამ, რომელიც ჩვენთან მრავალა წელია მეგობრობს და რომლის ზოგიერთი პედაგოგი ჩემთან და ზურაბ სოტყილაძესთან გადიოდა სტაჟირებას; ტაშკენტის კონსერვატორიამ, სადაც აქამდე მუშაობს ცნობილი პროფესორი იური ბარსოვი, სწორედ მან წარმოადგინა ძირითადი მოხსენება — „დავით ანდლულაძე და საბჭოთა მუსიკალური ხელოვნება“. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, მონაწილეობს საბჭოთა კავშირის ყველა წამყვანი კონსერვატორია და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, რომლებიც, ასე თუ ისე, დაკავშირებული არიან სიმღერის პრობლემატიკასთან. ფრიად საინტერესო მოხსენებით გამოვიდა რიგის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი ალექსეი ლისევი, რომელიც ხმის წარმოქმნის თეორიაზე მუშაობს.

ახლა უკვე შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ სესია გაცდა ვიწრო პედაგოგიურ



ფარგლებს და სიმღერის პრობლემატიკა განვიხილეთ ფილოსოფიურ-ესთეტიკურ დონეზე. ასე რომ, საიუბილეო სესიამ თავისი წვლილი შეიტანა ვოკალური მეცნიერების განვითარებაში.

დიდი მადლობით მინდა მოვიხსენიო ყველა კოლეგა, რომელმაც პატივი დაგვძალა მონაწილეობა მიიღო მის მუშაობაში.

— იმის მიხედვით, თუ რამდენი სტუმარი ჩამოვიდა ბათუმში (ჩამოვიდა კი საკმაოდ დიდი შემადგენლობა, 50 კაცი), უნდა ვიგულისხმოთ, სესიის მონაწილეთა უმრავლესობა ბათუმსაც ეწვია.

— დიახ, როდესაც მე მათ შევატყობინე, სესიის მუშაობა გაგრძელდება დავით ანდლულაძის მშობლიურ ქალაქში და სოფელ ბახვში, სადაც იგი დაიბადა... მთელი, ყველა დიდის ენთუზიაზმით გამოეხმაურა ამ იდეას და თითქმის ყველა ჩამოვიდა, რათა შეხვედროდა ბათუმის საზოგადოებრიობას და გამოეხატა თავისი დამოკიდებულება ამ მოვლენისადმი, საერთოდ, ქართული ვოკალური კულტურისადმი, რომელსაც ისინი დიდ პატივს სცემენ. მათ ჩინებულად იცოდნენ დავით ანდლულაძის შემოქმედებითი გზა, ბათუმის როლი და ადგილი მის შემოქმედებაში. მიაჩნიათ, რომ იუბილარის წვლილი საბჭოთა ვოკალური ზელოვნების საერთო დონის ამაღლებაში, საერთაშორისო მასშტაბით მისი პრესტიჟის ამაღლებაში, ძალზე დიდია.

— სესიამ, ალბათ, მოიცვა დავით ანდლულაძის პედაგოგიური მოღვაწეობაც...

— რასაკვირველია. განვიხილეთ მთელი რიგი საკითხები სწავლების მეთოდისა, ექნა თოიძემ თავისი მოხსენება მიუძღვნა სტანისლავსკის სისტემისა და ანდლულაძის ვოკალური პედაგოგიკის ურთიერთობას. მეტად სპეციფიკური პრობლემა სუნთქვის პრობლემა სიმღერაში. ერთი სექციის სხდომა მას დაეთმო. პირველად ვოკალისტთა შორის ჩვენს სესიაზე გამოვიდა ნეიროფიზიოლოგი — მოსკოველი პროფესორი საფონოვი, გამოვიდნენ დავით ანდლულაძის მრავალი წლის თანამშრომელი ფონიატრიის დარგში, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი მარინე ნოზაძე, ლენინგრადელი კათედრის გამგე ანატოლი კისელიოვი და სხვები.

ერთი სიტყვით მთელი ციკლი გამოვიდა მოხსენებებისა და აღნიშნა დავით ანდლულაძის ნოვატორული როლი, მისი პროგრესული იდეები, რომლებიც ბოლო დროს სათანადო სამეცნიერო დასაბუთებას პოულობს. ასე რომ, მის მონაწილეთა ერთსულოვანი აღიარებით სესიის მუშაობა მეტად წაყოფიერი და სასარგებლო იყო.

— ჩვენი საუბრის პირველი ნაწილი, დაკავშირებული ბატონ დავითის დაბადების 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო სესიასთან, ამით შეიძლება დაგვემთავრებინა, მაგრამ თავიანთი სახელოვანი თანაქალაქელისადმი ბათუმელთა დამოკიდებულება, ალბათ, სრული არ იქნება, თუ არ გავაცხადებთ ბევრი მათგანის მოსაზრებას დავით ანდლულაძის ხსოვნის უკვდავყოფის თაობაზე. ხომ ნაღდად დამშვენებდა ჩვენს ქალაქს დავით ანდლულაძის ქუჩა და მემორიალური დაფა სახლზე, რომელშიც იცოდა წლებში მომავალი გამოჩენილი ტენორი ცხოვრობდა.

— ალბათ... ოღონდ, ეს უკვე ქალაქის ზეღისუფალთა კომპეტენციაა...

— რასაკვირველია. მთავარი კი ის გახლავთ, რომ ბათუმელებს ახსოვთ, ეამაყებათ და პატივს სცემენ თავიანთ გამოჩენილ თანაქალაქელს. ახლა კი, ბატონო ნოდარ, ნება გვიბოძეთ ვისარგებლო შემთხვევით და გთხოვთ თქვენზე განვაგრძოთ საუბარი.

— სიამოვნებით, მზად ვარ.

— აი, ჩვენ ვლაპარაკობთ თქვენი მამის ბათუმელობაზე.

— დიახ.

— მეჩვენება, რომ ამდენად, სრულიად კანონზომიერი იქნება, ვილაპარაკოთ ბატონ ნოდარ ანდლულაძის ბათუმელობაზეც, თუმცა ვიცი, აქ არ დაბადებულხართ.

— ცხადია, მამაჩემის ბათუმელობა, თავისთავად გულისხმობს ჩემს ბათუმელობასაც. მით უმეტეს, რომ ეს ქალაქი მეც ძალიან მყვარს ბავშვობიდანვე, ჩვენი დიდი ოჯახის ძირითადი ნაწილი ხომ აქ იყო დაფუძნებული.

— ხომ არ გაიხსენებდით სწორედ თქვენს ბავშვობისდროინდელ ბათუმს და ბათუმელებს, თუნდაც თქვენს ახლობლებს.

— ალბათ, ახალი ამბავი არავისთვის იქნება, თუ ვიტყვი, რომ მაშინდელი ბათუმი მეტად ლამაზი და საინტერესო, მყუდრო და თბილი ქალაქი იყო. მას ჰქონდა თავისი სტილი, კოლორიტი, ორიგინალობა და, მომიტევეთ, მაგრამ გაცილებით უფრო კოპწია იყო, ვიდრე დღესაა.

რაც შეეხება ჩვენს ახლობლებს, აქ იყო შესანიშნავი ოჯახი ტარასი ჩხაიძისა. მისი შვილები რეზო ჩხაიძე, სამამულო ომის ერთ-ერთი უშიშარი მონაწილე და ვაჟა ჩხაიძე, შესანიშნავი მედიკოსი, პროფესორი. თუმცა, მამა აქ ჩემს გაჩენამდე ცხოვრობდა, ბავშვობის წლები მე სხვაგან იმდენი არსად გამიტარებია, როგორც ბათუმში.

უნდა მოგახსენოთ, როგორც მამაჩემი, ისე მეც, თუმცა ძალიან დიდ სცენებზე გამოვსულვართ, მაგრამ მამაჩემისათვის შემომჩნევია და ჩემი თავიც დამიპყრია იმაში, რომ ისე არსად არ ველავდი, როგორც ბათუმში, ბათუმელი მაყურებლის წინაშე. აქ რაღაც თავისებური კომპლექსი იჩენს თავს, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა. გინდა, საკუთარ თავს გადააქარბო თითქოს და რაღაც ისეთი მოიტანო, რაც, როგორც პროფესიონალს, ყველგან არც გვეალება. იცო, რომ აქ სწორედ მაქსიმუმი საჭირო და, ალბათ, ეს არის ბათუმელობაც.

მინდა მოვიგონო ეგგენი ილექსის ძე ვრონსკი, ეს საოცრად ენერგიული და დიდი შინაგანი კულტურის კაცი. მახსოვს, რა საინტერესოდ, სიყვარულით ყვებოდა იგი თავისი მოღვაწეობის ბათუმის პერიოდს. დასანანია, რომ რაიმე ჩანაწერი არ დავგიტოვა...

— ეს იქნებოდა შესანიშნავი მასალა მაშინდელი ბათუმის მუსიკალური ცხოვრების მკვლევარისათვის... ახლა, ბატონო ნოდარ, მინდა ერთ გარემოებას მივაპყრო თქვენი ყურადღება. ბათუმში თქვენი თეატრის უკანასკნელი გასტროლების დროს, 1981 წლის აგვისტოში, თეატრის მაშინდელმა დირექტორმა ზურაბ ანჯაფარიძემ ერთ-ერთ ინტერვიუში ხაზი გაუსვა ბათუმის მკვიდრთა ნიშნავლეს დასში და იმას, რომ რიცხობრივადაც და, რაც ეგზომ სასიხარულოა, ხარისხობრივად, ისინი საკმაოდ ძლიერ ძალას წარმოადგენენ: ლამარა ჭყონია, ალექო ხომერგიი, ანზორ ფილია, თვით ზურაბ ანჯაფარიძე, როგორც ბათუმის საპატიო მოქალაქე, თქვენ, ბატონო ნოდარ, ღირიფორი რევაზ ტაკიძე; ორკესტრში არიან მუსიკოსები, ერთი სიტყვით, ათზე მეტი დავითვალეთ. ქუთაისის ფილიალშიც საკმაოდ მრავლად არიან ბათუმელები.

ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ მაშინ გამოითქვა ერთობ თამაში მოსაზრება ბათუმში საოპერო თეატრის გახსნის თაობაზე. გასაგებია, ეს არც დღევანდელი დღის საქმეა და არც ახლო მომავლისა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ოცნებას კაცი არ მოუტკვავს. ზოდა, როგორ უყურებთ თქვენ თვით ამ იდეას?

— ბათუმში, საოპერო თეატრის გახსნა საესეზოთ ბუნებრივი იქნებოდა, პირველ რიგში, ხალხის მუსიკალურობის გამო. არის ქვეყნად ისეთი ქალაქები, სადაც მაინცა და მაინც, აი, ეს მხარე არ იქცევეს ხოლმე ყურადღებას. ბათუმი კი (ეს ქათინაურად არ მიიღოთ!) უადრესად ემოციური, მუსიკალური ქალაქია. და, თუ შეაქმნება ოპერის თეატრი... არა მომხმარებელი ქმნის პროდუქტს, არამედ პროდუქტა ხანდახან ქმნის მომხმარებელს, ამბობს მარქსი. ასე, რომ ენ დიალექტიკა გასათვალისწინებელია.

მე და ჩემს მეგობრებს ხშირად გავგივლია ასეთი პარალელი, როცა ევროპის ქალაქებში ვართ ხოლმე: იქ ბევრია ბათუმზე პატარა ქალაქები, გაცილებით მცირე პოტენციალისა, როგორც ეკონომიკურად, ისე კულტურული შინაარსით, მოსახლეობითაც ნაკლებად.

ბი და იქ ოპერის თეატრები ფუნქციონირებენ. მაგალითად, ბურგასი. მე იქ ვყოფილვარ /
გაშინ, როდესაც იგი არც ამოდენა ნავსადგური იყო და არც განთქმული ~~კურორტად~~
თავისი „ოქროს ქვიშრობით“. იყო ერთი ფილარმონიის დაბაზი, პატარა ~~ორკესტრული~~
განვლო სულ რამდენიმე წელიწადმა და, აი, დიდი საერთაშორისო ცენტრი გახდა ბურ-
გასი. საოპერო თეატრი იქ უკვე დიდ ფუნქციას ასრულებს.

ასე რომ, ამ მხრივ, სოციალურ-კულტურული თვალსაზრისით, მე მგონია, აქ დაბ-
რკოლება არ უნდა იყოს. სხვა საკითხია, რა თქმა უნდა, ორგანიზაცია საოპერო თეატ-
რისა, ამ მეტად რთული მექანიზმისა, რომელიც ბევრ კომპონენტს შეიცავს.

— ორკესტრი არის. აზრის კაპელაც.

— ეს ზომ საიმედო საფუძველია. ოღონდ, იცით, ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს მოქ-
ნილი თეატრალური ტაქტიკა. ამაზე ბევრი იწერება ჟურნალ „თეატრში“, გაზეთ „სოვე-
ტსაია კულტურაში“, „ლიტერატურნაია გაზეტაში“, ზომ არ არის აუცილებელი, რომ
მთელი კომპლექტები იყოს აქ დადგმებისა ბათუმელი მომღერლებით. ცხადია, ბირთვი
ადგილზე უნდა იყოს, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, თბილისში უამრავი ბათუმელია,
ჩვენ ძალიან გვიყვარს აქ ყოფნა და არც ისე შორს არის, რომ აქ სპექტაკლები, გეგ-
მავომიერად, გონივრულად თუ იქნება დაგეგმილი, მაღალხარისხოვნად არ დაკომპლექ-
ტდეს.

რალა თქმა უნდა, ამას სერიოზული მომზადება სჭირდება, ღრმად გააზრება. მე,
პირდაპირ, ინტუიცია თუ არ მძალატობს და ბათუმის მუსიკალურ ტრადიციებსაც ვიც-
ნობ, მჭერა, რომ ბათუმელი მსმენელი თეატრს შეიყვარებს და გულში ჩაიკრავს,
გათავისებს.

როგორც თქვენ თქვით, თუ კონკრეტულად ამ იდეას მალე ხორცშესხმა არ უწე-
რია, გვაქვს უფლება ვიოცნებოთ, ბათუმში საოპერო თეატრის გახსნაზე.

— და მორალურად მაინც ვიყოთ მზად მომავლისათვის.

— დიახ, დიახ.

— იქნებ პირდაპირ და უშუალოდ ეს საკითხი თქვენ არც გეხებოდეთ, მაგრამ
უთუოდ გეხებათ, როგორც დღევანდელი ქართული ვოკალური სკოლის ერთ-ერთ მეს-
ვეურს, საოპერო თეატრის წამყვან სოლისტს. საქმე ის გახლავთ, რომ საყვედურობენ
ბათუმელი მუსიკის მოყვარულნი: იშვიათად ჩამოდისო ჩვენი საოპერო თეატრი საგას-
ტროლოდ. მართლაც, ნახეთ, რა გამოდის, საოპერო სცენაზე თქვენი მოსვლიდან სამი
აუთუელი წელი სრულდება და ბათუმში, როგორც თავად აღნიშნავთ, გამორჩეულად
მუსიკალურ ქალაქში სულ ორჯერ გამოსულხართ თეატრთან ერთად და ისიც თითო
სპექტაკლში: 1958 წელს — „კარმენში“ და 1981 წელს — „ოტელოში“.

— ცხადია, ეს ძალიან ცოტაა, არსებითად მეოთხედი საუუენეა ორ გასტროლებს
შორის. მეორე ჩამოსვლისას წინა გასტროლების მონაწილენი აღარც იყვნენ თეატრში,
სულ რამდენიმე კაცის გარდა. და ეს ბათუმში, სადაც ომამდე და ომის შემდეგ საკმაოდ
ხშირად გამოდიოდა თეატრი. მე ეს კარგად მახსოვს. მაგრამ ეს ზომ მარტო თეატრის
ბრალი არ არის! განა ყოველთვის კი არის საშუალება აქ ჩვენი თეატრის გამოსვლისა?
შენობა მაქვს მწედველობაში. საზაფხულო თეატრში საოპერო სპექტაკლების გამართვა
ზომ სრულიად გაუმართლებელია!

— ბატონო ნოდარ, რაკი წარსულზე ვლაპარაკობთ, მინდა გაგახსენოთ 1958 წლის
გასტროლები. თუ არ ვცდები, ეს იყო თქვენი პირველი გასტროლები, საერთოდ. ეს ის
პერიოდია, როცა უნივერსიტეტის დოცენტმა ნოდარ ანდლულაშვილმა, ჩინებული მომავლის
მხატვარ-მწიგნობარმა, თავისი ცხოვრება საბოლოოდ ოპერას, ვოკალურ ხელოვნებას დაუკა-
შირა. ვგონებ, იმხანად უკვე გადაწყვეტილი იყო თქვენი იტალიაში სტაჟირებაზე წასვლა.

— ყველაფერი სწორია და პასუხიც თქვენსავე კითხვაშია. ოღონდ მინდა დავუმატო,

რომ ეს გასტროლები არა მხოლოდ პირველი იყო ჩემს, მაშინ დამწყები ვოკალისტის ცხოვრებაში, არამედ, საერთოდ, პირველად გამოვედი „კარმენში“ და ეს შეგნებულად გაკეთდა. იმიტომ, რომ იმედი მქონდა ბათუმელთა მხარდაჭერისა. რაც ყველაზე უმარავი ნათესავი და მეგობარი მყავს აქ და ვიმედოვნებდი, „მაპატიებდნენ“, სულგომე-ლობას გამოიჩინდნენ. შეიძლება ითქვას, სწორედ სექტემბრის იმ წვიმიანმა საღამომ, ბათუმელთა გულთბილმა, მშობლიურმა მიღებამ გამაბედვინა საბოლოოდ ვოკალისტის გზას დავედგომოდი.

— მახსოვს როგორ დელავდა „კარმენში“ თქვენს დებიუტთან დაკავშირებით ზუ-რაბ ანჯაფარიძე, როგორ გულშემატკივრობდა. და, აი, 23 წლის შემდეგ ისტორია თითქოს განმეორდა: ბოლო გასტროლებზე თქვენ ორჯერ გამოხვედით „ოტელოში“. მესამედ ზურაბ ანჯაფარიძე უნდა გამოსულიყო, მაგრამ ვერ შეძლო, ავად გახდა და თქვენ, როგორც სპორტულ თამაშებშია ხოლმე, „დაზღვევაზე“ გამოდით, შეეშველით...

— ასეთი შემთხვევა ჩვენს ურთიერთობაში ჩვეულებრივი ამბავია.

— საერთოდ, სამაგალითოდ გვესახება თქვენი და ბატონ ზურაბის მეგობრობა, რაც, როგორც ცნობილია, ჩვეულებრივი ამბავი როდია ტენორებისათვის.

— სხვათა შორის კოზლოვსკის (იგი აპირებს ჩამოსვლას იუბილეზე) მამზე აქვს ასეთი შემეშავებელი ნათქვამი: მას ისეთი მონაცემები ჰქონდაო და ისეთ რამეზე მღეროდა, რომ არასოდეს სხვას არ ემუქრებოდა, არ ებრძოდაო არავის. იმიტომ, რომ ისეთ რაიმეს ისახვდაო მიზნად, რაც ბრძოლას არ მოითხოვსო. ასეა, როცა ზელოვანს აქვს თავისი გარკვეული შემოქმედებითი ამოცანა, თავისი მიზანსწრაფვა, მას არა სცალია, ვინმეს ებრძოლოს, ვისიმე შეშურდეს... ზურაბი ჩემთვის ყოველნაირად ახლობელი აღმამიანია. ჩვენ ვოკალის პრობლემებზეც ერთად ვიტყბთ თავს, აღზრდის პრობლემებზეც. მამასთან მისი სწავლის პერიოდმა, თეატრში მოსვლის მომენტმა, პირველმა ნაბიჯებმა მთლიანად ჩემს თვალწინ ჩაიარა. დიდა მისი მონაწილეობა ჩემს არტისტულ ჩამოყალიბებაში. მოკლედ, ჩვენ იმთავითვე ახლო ურთიერთობა გვაქვს. რაც მთავარია, ეს მეგობრობა აბსოლუტურად უანგაროა, გულწრფელია.

— ახლა ასეთი, ცოტა არ იყოს, ნაკვანები კითხვა, ბატონო ნოდარ: დარწმუნებული ხართ, რომ მაშინ, ენათმეცნიერებას რომ „უღალატეთ“, სწორად მოიქცით, რომ სწორედ ასე სჯობდა თქვენთვისაც და ქართული კულტურისთვისაც?

— როგორ გითხრათ, ვოკალის პროფესორი, ვგონებ არანაკლებ საჭიროა ჩვენი კულტურისათვის, ვიდრე ენათმეცნიერებისა.

— და, მაშინც, რამდენად უმტიკივეულოდ მოხდა ენათმეცნიერებიდან ვოკალურ ხელოვნებაში თქვენი, ასე ვთქვათ, გადამარება?

— საერთოდ, ეს პრობლემა ძალიან რთული იყო, როცა რეალურად დადგა. სანამ შორეული იყო, ისე მწვავედ არ მეჩვენებოდა. მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგა, ესე იგი, საბოლოო არჩევანი უნდა გამეკეთებია, ყველაზე მეტად ეს გამიჭირდა ჩემი საყვარელი ხელმძღვანელის არნოლდ ჩიქობავას გამო, იმ პერსპექტივის გამო, რომელიც მაშინ ჩვენ ენათმეცნიერების სფეროში გვექონდა დასახული. მერე კიდევ, დიდი როლი ითამაშა ისეთმა ფაქტორმა, როგორიც არის გასტროლები. თბილისში, ფაქტიურად, იშვიათად ვიყავი და ამ ვითარებამ თვითონ განსაზღვრა ყოველივე. იქაც და აქაც ყოფნა კი, ფიგაროსი არ იყოს, არ გამოდიოდა.

— ბატონო ნოდარ, თქვენ კონსერვატორიის სოლო სიმღერის კათედრის გამგე ბრძანდებით, ვოკალის პროფესორი, მაგრამ ხართ თეატრის წამყვანი სოლისტიც. რა კავშირშია ერთმანეთთან ეს ორი სფერო, როგორ ერწყმის ერთმანეთს, ან რომელიმე მათგანი ხომ არ „წონავს“?

— მიუხედავად იმისა, რომ კათედრის გამგის მოვალეობა მაკისრია და სამეცნიერო-

კვლევის მუშაობასაც ბევრს ვეწევიტ მე და ჩემი კოლეგები, მაინც, ~~ჯერ-ჯერობით~~,
თეატრი უფრო წამყვანია ჩემს ინტერესებში. და, უნდა მოგახსენოთ, არა პირადი კარი-
ერა. მე ამ მხრივ, ისევ დავით ანდლულის ნაკვალევზე ვდგავარ. იგი ყოველთვის
ერთო აღმავლობაზე ზრუნავდა და არა რაღაც კერძო ეგოისტურ-კარიერისტულ ინტე-
რესებზე.

მე მიმაჩნია, რომ ის 5 წელი, ახალგაზრდა ვოკალისტი კონსერვატორიაში რომ
ატარებს, საკმარისი არ არის. და ეს თავს იჩენს ახალბედის თეატრში მისვლისთანავე. და
მე ბედნიერი ვარ, რომ ვიპოვე ფორმა. იგი უბრალოა, განვადობს მუშაობას ჩემს აღზ-
რდილებთან, მამაჩემის აღზრდილებთან.

ელდარ გეწამეს არც ერთი პარტია არ უმღერია ამ ბოლო 15 წლის განმავლობაში,
რომ ზედმიწევნით არ ყოფილიყო გავლილი ჩვენთან, კლასში. ასევე თემურ გუგუშვილი,
რომელიც რამდენიმე წლის წინათ იტალიაშიც იყო წარგზავნილი სტაჟირებაზე, ანატო-
ლი ჭურდულია და ბევრი სხვა ახალგაზრდა. არიან ისეთებიც, რომელთაც ჩვენთან არ
დაუშთარებიათ, მაგრამ ოპერის თეატრის ხელმძღვანელობა მავალბს, რომ მივხედო და
გარკვეულად წარვმართო მათი პროფესიული სრულყოფა. ხდება პირიქითაც. მაგალი-
თად, ასეთი უნიკალური შემთხვევა მოხდა: მე არც მიფიქრია, ჯარჯი ასათიანი—პირველი
კურსის სტუდენტი, — ჯანსულ კახიძემ თეატრში მიიწვია და ამდერა ისეთი მნიშვნელო-
ვანი პარტია, როგორიც არის პიმენი.

ახლა გვიე ფეიქრიშვილი მივიდა თეატრში, შესანიშნავი მონაცემების მქონე ბარი-
ტონი... ეს უწყვეტობა სწავლებისა, ყოველთვის აკვირვებთ ზოლმე მოსკოვის და სხვა
ქალაქების სპეციალისტებს. აკვირვებთ, როგორ ახერხებენ ქართველი მომღერლები
ესოდენ დიდი ხნის განმავლობაში ფორმის შენარჩუნებას.

მე ძალიან მემამყება ჩემს აღზრდილებთან, თუ იმათთან, ვინც ჩემი ხელმძღვანე-
ლობით მუშაობენ, სცენაზე ერთად ყოფნა, მათთან პარტნიორობა. ესე იგი, ამოცანა
გახლავთ არა ერთი იყოს ძალიან წინ წასული რომელიმე როლში, არამედ საერთო დონე
ვოკალისა ამაღლდეს, პატარა პარტია იქნება ეს, თუ დიდი, ერთნაირ კულტურულ-საშე-
მსრულებლო დონეს წარმოაჩენდეს. აი, ეს არის მთავარი და ზოგიერთ სპექტაკლში
ჩვენ მართლაც ვაღწევთ ამას. საკვშირო პრესასაც სერიოზულად აღუნიშნავს ეს უპი-
რატესობა ზოგიერთი სპექტაკლისა.

— თქვენს შემოქმედებაში გაჩნდა კიდევ ერთი ხაზი, ანუ თქვენს ინტერესებს და-
ემატა კიდევ ერთი — საოპერო რეჟისურა. მხედველობაში მაქვს „ღონ-კარლოსის“ და-
დგმა ქუთაისის საოპერო თეატრის სცენაზე..

— დიას და ეს ინტერესი არ განელეზულა. შინა ქუთაისშივე დაედგა „ბალ-მასკა-
კარდი“. გურამ მელიქაძთან ერთად ფეიქრობ ოფეს ბაჩის კომიკური ოპერის „ცისფე-
რი წვიმის რაინდის“ დადგმაზე.

საერთოდ, ამ ქანრმა დამაინტერესა. ეს იქნებ იმან განაპირობა, რომ ბოლო ხანებში
ვიმუშავე ვენეციელი ვაჟრის კომიკურ სახზე ოთარ თაქთაქიშვილის „პირველ სიყვა-
რულში“.

რა კავშირშიაო ერთმანეთთან პედაგოგია და თეატრში მუშაობა, მეკითხებით. ავსე-
ბენ ერთმანეთს. პედაგოგია ძალიან მეხმარება თეატრში ჩემს მუშაობაში.

— თქვენი არტისტული კარიერის მანძილზე, ბატონო ნოდარ, ტენორის თითქმის
მთელი რეპერტუარი გიმღერიათ, და მაინც, გული ხომ არ გწყდებათ, როგორც მომღე-
რალს, რომელიმე პარტიაზე. ვთქვით ვეწადათ მისი შესრულება და საშუალება არ მო-
გვცათ. ერთი სიტყვით, რაიმე განუხორციელებელი ოცნება ხომ არ გაქვთ?

— ბედს არ ვემდური. ყველა ძირითადი პარტია ვიმღერე ჩემს თეატრში, მსოფ-

ლიოს ბევრ თეატრში. რაც შეეხება განუხორციელებულ გეგმებს, „ბალ-მასკარადზე“ უკვე მოგახსენეთ.

პო, ჩემთვის არა, მაგრამ ცისანა ტატიშვილისათვის ძალიან მინდოდა „ნორმა“ დადგმულიყო ჩვენს თეატრში. ასევე, ცისანასა და მე ძალიან გვინდოდა გვემღერა ვაგნერის „ტრისტანი და იზოლდა“. განსვენებულმა გერმანელმა რეჟისორმა ვალტერ ფერზენ-შტაინმა, თავის დროზე, როცა 1968-1969 წლების სეზონში ჩვენ მასთან „აიდა“ ვიმღერეთ, დაგვამა კიდევ განუხორციელებინა ეს ოპერა ჩვენი მონაწილეობით. მაგრამ აღარ დასცალდა.

საერთოდ, ვოცნებობ ისეთ სპექტაკლებზე, რომლებიც განსაზღვრავენ არა მარტო თეატრის დონეს, არამედ მაყურებლის დონეს, თუ გნებავთ, ქალაქის, რესპუბლიკის მუსიკალური კულტურის დონის განმსაზღვრელი ბარომეტრები იქნებიან.

— თეატრში თქვენს მომავალ გეგმებზე ზოგი რამ უკვე თქვით. კიდევ?

— უახლოესი გეგმა გახლავთ დონ კარლოსის პარტია, რომელიც ახლა მზადდება. სხვათა შორის, თემურ გუგუშვილი იმიტომაც ვერ ჩამოვიდა ბათუმში, რომ, ალექო ხომერიკთან ერთად დიდ მზადებაშია. გეგმები ეს არის სპექტაკლები, კონცერტები, გასტროლები, მზადება ყოველი გამოსვლისათვის და, ცხადია, ყოველი მეცადინეობისათვის სტუდენტებთან.

თქვენ თემურ გუგუშვილი და ალექსანდრე ხომერიკი ახსენეთ. საინტერესოა, რა დამოკიდებულებაა თეატრში სხვადასხვა თაობის ტენორებს შორის, კონკრეტულად, მათსა და მათ თანატოლებსა და თქვენსა და ზურაბ ანჯაფარიძეს შორის.

— აბსოლუტურად კეთილმოსურნე, გულითადი. არც მე და არც ზურაბ ანჯაფარიძე არასოდეს არ ვცდილობთ პრემიერა ვიმღეროთ. ახალგაზრდებს ვუთმობთ დიდი სიყვარულით და სიხარულით, ვაძლევთ საშუალებას თავის გამოჩენისა. ჩვენ კი მერვე მოვასწრებთ სპექტაკლებში იმ წვლილის შეტანას, რაც შეგვიძლია. იმისათვის, რომ ზურაბ ანჯაფარიძე არ გადაღლილიყო და „აბესალომის“ პრემიერა კარგად ემღერა, დავით ანდლულაძემ გენერალური რეპეტიცია იმღერა, რადგან ზედოზედ ორჯერ ამ პარტიის სიმღერა ახალგაზრდას გაუჭირდებოდა. დაარქვით ამას, თუ გნებავთ, პროფესიული ტრადიცია, გნებავთ, კლასის ტრადიცია, გნებავთ, ოჯახური ტრადიცია. მამაჩემის აღზრდილ ყველა პედაგოგს ეს ბუნებრივად მიგვაჩნია, განსაკუთრებულ რაინდობად არ მივიჩნევთ ამას.

— როგორც კონსერვატორიის სოლო სიმღერის კათედრის გამგე, თქვენ მთელ საქართველოში საქმეთა ვითარების კურსში ხართ, ურთიერთობა გაქვთ ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგებთანაც, ახლაც ეწვიეთ, იცნობთ, აკონტროლებთ მათს მუშაობას, ცხოვლად დაინტერესებული ხართ სასწავლებელში ვოკალის სწავლების მდგომარეობით. რას გვეტყვით ჩვენი სასწავლებლის ვოკალური კლასის მუშაობაზე, მის აღზრდილებზე, რომლებიც როგორც წესი, ყოველწლიურად ავსებენ კონსერვატორიის ვოკალური ფაკულტეტის კონტინენტს?

— ქების მეტს ვერაფერს. მაგრამ ჯერ მოკლედ იმაზე, რომ ურთიერთობა კათედრასა და სასწავლებლებს შორის ამ ბოლო დროს, განსაკუთრებით გაღრმავდა. და ახლა ამ ურთიერთობის ფორმებს სწავლობენ კონსერვატორიაში, რომ სხვა კათედრებზეც გადაიღონ.

რაში მდგომარეობს ეს? მეთოდკაბინეტთან ერთად ჩვენ შევადგინეთ პერსპექტიული გეგმა, რომელიც ნაწილობრივ უკვე განხორციელებულია. ვაწყობთ რესპუბლიკურ კონფერენციებს თბილისში, მაგრამ ვაწყობთ გასვლით სემინარებსაც ადგილებზე. ბათუმი ერთ-ერთი პირველთაგანი ყოყ, სადაც ჩვენ ეს დავიწყეთ, ახლა თელავში მივდივართ.

ქუთაისში კარგად გამოვიდა კონკურსზე ბათუმის ხასწავლების მოსწავლე ნინო ჯეიშვილი და პრემია დაიმსახურა. სასიამოვნოა აღვნიშნო, რომ ბათუმი უკვე ერთ-ერთ უღლებით არაა წარმოდგენილი კონსერვატორიაში. ესე იგი, შეგვიძლია გავთავსოთ მწყობრ პედაგოგიურ სისტემაზე, ჩინებულად დაყენებულ საქმეზე. ეს პედაგოგიური კოლექტივის ყოველდღიური მუშაობის შედეგია, მუშაობისა, როგორც მოსწავლეებთან, ისე თავის თავზე. მე მაქვს შესაძლებლობა, მრავალი წლის მუშაობის შედეგად, გამოვტანო ეს დასკვნა. ძალზე მნიშვნელოვანია პედაგოგისათვის მისივე პროფესიული ზრდა და ეს ბათუმში ძალიან კარგად არის მოგვარებული. პედაგოგები არ ჩამორჩებიან საერთო მსვლელობას, ამიტომ ყოველთვის მოწინავე პოზიციებზე არიან. ეს იქნება, ვთქვათ, ისეთი ტექნიკური საკითხები, როგორიც სუნთქვის საკითხია, ბგერის ჩამოყალიბება, თუ მუშაობა მხატვრული კულტურის თვალსაზრისით.

მე არასოდეს არ ვიფიქრებ ხოლმე, სათანადო ანგარიშების დროს, ისეთ პედაგოგებს, როგორიც დოდო ჯვარშიშვილი გახლავთ. ასევე კარგად მუშაობენ მურმან მანარაძე, სულიკო გიორგაძე. ისინი ჩვენი კონსერვატორიის აღზრდილები არიან და ეს ესტაფეტა, — უკუგება ძალიან ორგანულად, უწყვეტ პროცესად მიმდინარეობს. დიან, წარმატებები აშკარაა და ახლა მთავარია არ დავკმაყოფილდეთ მიღწეულით, უკვე აღებული სიმაღლეებით და მუდამ წინ ვიაროთ.

— ბატონო ნოდარ, თქვენ უკვე დაასახელებთ რამდენიმე თქვენი მოწაფე. ცნობილია, რომ როგორღაც არ არის გამოჩენილი — ეს ნოდარ ანდლულაძის მოწაფე, ის დავით ანდლულაძისა. ერთგვარი უწყვეტი ციკლი გამოდის მასწავლებელ-მოსწავლის მუდმივი ურთიერთობისა. აი, ამაზეც მოკლედ, თუ შეიძლება და, ბარემ, თქვენს საუკეთესო მოწაფეებზეც.

— მე ასეთი უწყვეტი მემკვიდრეობა შემხვდა ელდარ გეწაძის სახით, თამაზ ფარცვანიას სახით, ზურაბ სოტკილავას სახით. მათ დაიწყეს მამასთან მუშაობა და მერე განაგრძეს ჩემთან. ანატოლი ჭურღულია ჩემი პირველი გამოშვებაა. ის დამსახურებული არტისტია, ჩვენში ვოკალური ტექნიკის ერთ-ერთი საუკეთესო მფლობელი. გიორგი ლომთაძე, ნუკრი ნაყეგია, ადრე ნახსენები თემურ გუგუშვილი, მედეა ნამორაძე, ასპირანტი და მომღერალი თენგიზ ჩაჩავა, გულიკო კარიული — ასპირანტი და შესანიშნავი კამერული მომღერალი. დიდი წარმატებით სარგებლობს მისი გამოსვლები. სხვებიც არიან.

პერსპექტიული ახალგაზრდებიდან მინდა დავასახელო ჯარჯი ანათიანი, გივი ფეიქროშვილი, ნუგზარ გამგებელი, რომლებიც ახლა ჩამოყალიბების პროცესში არიან.

— მე ვიცი, რომ ბათუმის სასწავლებლის ვოკალური კლასის პედაგოგები აღტაცებული არიან თქვენი გაკვეთილებით, იმით, თუ რა საინტერესო, შინაარსიანი, ბევრის მომცემია ეს მეცადინეოები სტუდენტებისათვის. ცხადია, ეს დიდი და სპეციალური თემაა და არც ჩვენი საუბრის ჩარჩოები იკმარებს მის გასაშუქებლად, მაგრამ იქნებ, მოკლედ, შეკუმშულად გავაცნოთ ხმის დამუშავების თქვენეული მეთოდები, გვითხრათ რა პრინციპებს ემყარება ისინი, ან ვის პრინციპებს, თუ გამოცდილებას.

— ვემყარები, ჯერ ერთი, მამაჩემის, პროფესორ დავით ანდლულაძის პრინციპებს, მის მდიდარ პედაგოგიურ პრაქტიკას, საკმაოდ გამართლებულ პრაქტიკას, რომელიც საკავშირო მასშტაბითაც განზოგადებულია. გარდა ამისა, მოგეხსენებათ, მე სტაჟირებაზე გახლდით „ლა სკალაში“...

მაგრამ მთავარი და ძირითადი მაინც დავით ანდლულაძეა. შინაგანი ამოცანა ჩემი ყოველთვის იყო ჩაწვდომოდი დავით ანდლულაძის საიდუმლოებას. მაგრამ ეს, არაერთხელ მითქვამს, მიუწვდომელია, მასშტაბის მხრივ, გაქანების მხრივ. ვეცადე კი ის რაციონალური მაინც ამეღო, რისი აღება შეიძლება.

— დიდი მადლობა, ბატონო ნოდარ, საინტერესო საუბრისათვის და გიხურობთ დიდ წარმატებებს თქვენს მრავალმხრივ მოღვაწეობაში.

— გმადლობთ და, თუ ჩვენი საუბარი დამთავრებულია, მინდა საყვარელი მეგობარი და მის მცხოვრებთ, „ქოროხის“ ყველა მკითხველს სიკეთე და ბედნიერება, სიხარული და შრომაში წარმატებები ვუსურვო!

ლადო შარაშიძე

შენვედრები იაკობ ნიკოლაძესთან

სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის ნამდვილი წევრის, ორგზის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, საქართველოს სახალხო მხატვრის, თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებლისა და პირველი პროფესორის იაკობ ნიკოლაძის სახელოვანი შემოქმედებითი ბიოგრაფიის თავფურცელი ბათუმში დაიწერა. აქ გაატარა მან ბავშვობისა და სიყმაწვილის წლები, როცა მშობლიური ქუთაისიდან ჩამოვიდა და თავის უფროს ძმასთან — მათესთან დასახლდა, რომელსაც ბათუმში წიგნის პირველი მაღაზია ჰქონდა. ძმის რჩევით, იგი ჩაირიცხა ბათუმის სახელოსნო სასწავლებელში, სადაც ეზიარა ხატვის ხელოვნებას. მისი სახელი მეტად პოპულარული გახდა მას შემდეგ, როდესაც დირექტიამ დერეფანში გამოაფინა იაკობის მიერ ფანქრით შესრულებული ლევ ტოლსტოისა და ნიკოლოზ გოგოლის მოზრდილი ზომის პორტრეტები.

ბათუმში გატარებული ყმაწვილობის წლების შთაბეჭდილებები იაკობ ნიკოლაძემ პირველი შეხვედრისას გამაცნო. ეს იყო 1936 წელს. ბათუმში დაგეგმილი იყო რევოლუციის მუზეუმის გახსნა და ექსპონატებს ვაგროვებდით. მე დამავალეს თბილისში წასვლა და მხატვრებთან მოლაპარაკება. იაკობ ნიკოლაძეც უნდა მენახა. ხელოვნების საქმეთა სამმართველოდან ტელეფონით რომ დაველაპარაკე, სახელოსნოში მიმიწვია. მალე მივაღეჭი სახელოსნოს როდენის ქუჩის მხრიდან. გაგონილი მქონდა, რომ ამ ქუჩას იაკობ ნიკოლაძის ინიციატივით, მისი მასწავლებლის — დიდი ფრანგი მოქანდაკის სახელი ეწოდა. სახელოსნოში შევედი და ისე მოვიხიბლე იქ განლაგებული პლასტიკური ქმნილებებით, რომ თვით მოქანდაკე ვერც კი შევნიშნე. იგი თურმე შოთა რუსთაველის თაბაშირში ჩამოსხმული ქანდაკების წინ იჯდა საჭრისით ხელში... იაკობმა მითხრა, თქვენი მუზეუმისათვის განკუთვნილი ქანდაკება მზად არისო. შემდეგ საუბარი ბათუმზე ჩამოვარდა. მეც დაწერილებით მოვახსენე, თუ როგორ ვითარდებოდა ბათუმში სახვითი ხელოვნება, რამდენი მხატვარი გვყავდა, რომ ჩვენს ქალაქში სამხატვრო სასწავლებელიც კი გაიხსნა. მასპინძელმა შენიშვნა მომცა, რატომ არ ახსენე ბათუმში მოღვაწე მოქანდაკეებიო. პასუხად მოვახსენე, რომ ბათუმში, სამწუხაროდ, საჭრისის ოსტატები ღლემადა არა გვყავს-მეთქი. სწორედ ამ დროს სახელოსნოში შემოვიდა ერთი ახალგაზრდა და იაკობს მორიდებით მიმართა, ზომ არ დამავალდებოდა რამესო. მოქანდაკემ ახალგაზრდა ახლოს მოიხიზო და გამაცნო, თან დაუმატა: ტერენტი ჭანტურია ბათუმში რომ წაიყვანოთ, როცა ჩემთან აკადემიაში სწავლას დაასრულებს, დაუხა-

რელი ყმაწვილია და მხარში ამოგიდგებათო... იაკობის ეს სურვილი აქარის ხელოვნების საქმეთა სამმართველომ ძლიერ მოიწონა და მისი შუამდგომლობით 1938 წელს ტ. ჰანტურია ბათუმში მოავლინეს.

ქანდაკების ნიმუშებს ბათუმელი დამთვალეირებელი პირველად გეგმონ 1939 წელს, როდესაც გამოფენაზე ექსპონირებული იყო ტ. ჰანტურიას რამდენიმე ნამუშევარი.

იაკობ ნიკოლაძე ყოველთვის დიდი სიყვარულით იგონებდა ჩვენს ქალაქში გატარებულ დღეებს, თავისი მეტად საინტერესო ცხოვრების ეპიზოდებს.

ბათუმის სახელოსნო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მიემგზავრება მოსკოვში, სადაც მეცადინეობას აგრძელებს სტროგანოვის სამხატვრო-სამრეწველო სასწავლებელში. იქ გაიტაცა ქანდაკების ხელოვნებამ. ამ დარგის საფუძვლიანად დაუფლების მიზნით 1899 წელს საფრანგეთს ესტუმრა და ჩაირიცხა პარიზის ხელოვნების უმაღლეს სკოლაში.

იაკობის პირველი მნიშვნელოვანი ნამუშევარი იყო 1895 წელს თიხაში გამოძერწილი „იმერელი გლეხი“. საქართველოში დაბრუნების შემდეგ — ქართული კულტურის მოღვაწეთა პორტრეტების მთელი სერია.

იაკობი ყოველთვის გატაცებდა პარიზის იმდროინდელი ხელოვნების მაღალ დონეს, იქაურ შთაბეჭდილებებს. ალბათ, ამ გარემოებამ განაპირობა, რომ იგი კვლავ წვეოდა პარიზს და საქვეყნოდ განთქმული მოქანდაკის როდენის ხელმძღვანელობით, მის სახელოსნოში მუშაობის ერთი წლის დაუცხრომელი შრომის შედეგად, ჩამოყალიბებულიყო საპრისის უბადლო ოსტატად.

ამ თემაზე იაკობ ნიკოლაძე ყოველთვის აღტაცებით გვესაუბრებოდა. პარიზულ შთაბეჭდილებებს მიეძღვნა მისი წიგნი „ერთი წელი როდენთან“.

1937 წელს მეორეჯერ ვესტუმრე იაკობ ნიკოლაძეს, იგი იმ დღეს მთაწმინდის პანთეონში, ილია ჭავჭავაძის საფლავზე, მისი დიდებული სკულპტურული კომპოზიციის სარესტავრაციო სამუშაოებს ასრულებდა. შესვენებისას მომიყვა ამ ძეგლის ისტორია. მოქანდაკე დიდი ზანია ოცნებობდა ილია ჭავჭავაძის საფლავის სკულპტურული გაფორმებისათვის, რომ რელიეფურად გამოესახა დიდებული მწერალი და საზოგადო მოღვაწე. პარიზში ყოფნის დროს მან თიხაში გამოძერწა დამწუხრებული ქალის კომპოზიციური ფიგურა, რომელიც იქვე ჩამოასხეს ბრინჯაოში.

შემდეგ კი განხორციელდა ილია ჭავჭავაძის საფლავის სკულპტურული გაფორმება, რომელსაც ავტორმა „მწუხარე საქართველო“ უწოდა. ეს ძეგლი წარმოადგენს რთულ არქიტექტურულ-პლასტიკურ, მაღალი ნიჭიერებით განხორციელებულ შთაბეჭდილვ კომპოზიციას.

...საუბარი კვლავ ბათუმის კულტურულ ცხოვრებას დაუბრუნდა. იაკობმა თქვა, რომ ბათუმელიებმა ახალი დავალება მომცეს ქანდაკების შესაქმნელად.

როდესაც ბათუმში სტუმრობა, ყმაწვილობის წლების საყვარელი ქალაქის მონახულება შევთავაზე, ღიმილით მითხრა, ამის განხორციელება ჩემი დაუოკებელი ოცნებაა. ბატონმა იაკობმა დაპირება კიდევაც შეასრულა 1939 წელს. წინასწარ გაგვაფრთხილა, მხოლოდ ორი დღე შემიძლია ბათუმში დარჩენაო. ჩვენც ყოველივე ვიღონეთ, რომ დიდებული ხელოვანი არ გადაგვეტვირთა. იმ საღამოს ტ. ჰანტურიას თხოვნით, მოვიწვიეთ ძველი ბათუმელის გრიგოლ ახოზაძის ოჯახში. გრიგოლის ვაჟი იაკოვ 1945-1946 წლებში თბილისში, იაკობის ბინაში ცხოვრობდა. ახლა იაკოვ ახოზაძე ბათუმის სამხატვრო-საწარმოო სახელოსნოების მხატვარ-შემსრულებელია. ვიცოდით, მოქანდაკე ხალხმრავლობას ერიდებოდა და ამიტომ ვიწრო წრე შევკრიბეთ...

ერთი წლის შემდეგ იაკობ ნიკოლაძე კვლავ ეწვია ბათუმს. დავდიოდით ქალაქის

ქუჩებში, ზღვისპირა პარკში. მოქანდაკეს ძალიან უნდოდა ენახა მისთვის ღირსსასწავარი ადგილები, უწინარესად — თავისი ძმის, მათეს, წიგნის მაღაზიის შენობა. გვიტხრა, ეს მაღაზია თავისებური კულტურის კერა იყო ქალაქში. აქ იკრიბებოდნენ ადგილობრივი ინტელიგენცია, მოსწავლე ახალგაზრდობა და იმართებოდა სჯა-ბაასი ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. ყოველივე ეს, დასძინა მან, სულთიერად მზრდიდა, ღამეებს ვათენებდი კითხვაში, წიგნი ჩემი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი იყო, მან მაზიარა ხელოვნების სიყვარულსო. ბატონი იაკობი ძლიერ ნაწყენი დარჩა, რომ იმ მაღაზიის ადგილას ახალი მაღლივი შენობა აეგოთ...

ზღვისპირა პარკში სანაპიროს რომ გავყევით, სტუმარმა ბევრი რამ ვეღარ იცნო, მაგრამ ღიმილით მითხრა: ზღვა მაინც იგივე დარჩა, ხან წყნარი, ხან კი მღელვარე და ბოზოქარი, როგორც ახალგაზრდობაში ბევრჯერ დამიხატავსო. ნავსადგურიც სულ სხვა გვარად გამოიყურება. მაშინ აქ უმეტესად ფელუკები და იალქნიანი ნავები დაცურავდა, რომლებიც მთელ სანაპიროს თავისებურ იერსა და ელფერს აძლევდაო... მოიგონა, როგორ ღელავდა ზღვა 1897 წელს, როდესაც პირველად საფრანგეთში ბათუმიდან გაემგზავრა. მოქანდაკე ძლიერ მოიხიბლა ბათუმის ხუროთმოძღვრული იერით.

იაკობ ნიკოლაძესთან საუბარი მარტო ბათუმით როდი იფარგლებოდა. იგი ფართო განათლების ადამიანი იყო და ბევრი სათქმელიც ჰქონდა. მუდამ მოკრძალებით ვუსმენდი. განსაკუთრებით დამამახსოვრდა მისი ნათქვამი: გამოქანდაკო ლამაზი ფიგურა და ჩანერგო მასში სიცოცხლე, კარგია, მაგრამ, განავითარო ახალგაზრდა გონება, გამოძერწო თავისებურად ახალგაზრდული სული და ჩაბერო მასში სიმართლის გრძნობა — კიდევ უკეთესიაო...

იაკობმა ჩვენი კუთხის ისტორიულ წარსულზე გააგრძელა საუბარი, აღნიშნა, დამპყრობთა ბატონობამ საგრძნობლად შეაფერხა აჭარაში ხელოვნების განვითარება და ახლა ჩვენი პარტიის მიერ განხორციელებული ღონისძიებების წყალობით შესანიშნავი შედეგების მხილველი ვართო. მოსაწონია, რომ ბათუმში სამხატვრო სასწავლებელი მოქმედებს, მაგრამ აჭარის ნიჭიერმა ახალგაზრდობამ სამხატვრო აკადემიასაც უნდა მიაშუროს, რომ ამ კუთხეში ყალბიზა და საჭრისის პროფესიული ოსტატების ნამოღვაწარიც ვიხილოთ.

სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტის ბევრი კურსდამთავრებული შემდეგშიაც ურთიერთობას არ წყვეტდა თავის საყვარელ მასწავლებელთან. ერთი მათგან გახლავთ თამარ შარაშიძე. იგი ხშირად ეწვეოდა იაკობს სახელოსნოში და აჩვენებდა თავისი მომავალი ქანდაკებების მოდელს, რომ მოესმინა მისი მასწავლებლის შენიშვნები. იაკობ ნიკოლაძის ოჯახის წევრებიც, უმთავრესად მოქანდაკის მეუღლე, ხშირად დადიოდნენ თამარის ოჯახში. ერთ-ერთი ასეთი სტუმრობის დროს მეც ვიყავი. იაკობის მეუღლემ, ქალბატონმა ბონისილავამ, მომიხსრო იაკობის ცხოვრების ბოლო წლების საინტერესო დეტალები. თურმე იაკობი იგონებდა თავისი ბიოგრაფიის მომენტებს რასაც მეუღლე იწერდა ხოლმე. კერძოდ, გაიხსენა იაკობის მონათხრობი იმის შესახებ, რომ ბათუმის სახელოსნო სასწავლებელში სწავლისას დახატა ლევ ტოლსტოისა და ნიკოლოზ გოგოლის პორტრეტები და მთხოვა გამეჩვენა ამ პორტრეტების ადგილსამყოფელი, ამ საკითხზე წერილიც გამომიგზავნა. სამწუხაროდ, იმ შენობაში, სადაც დღეს მოთავსებულია № 1 პროფტექნიკური სასწავლებელი, ეს პორტრეტები არ აღმოჩნდა...

დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ კვლავ გუშინდელივით მახსოვს ეს შეხვედრები. როგორც კი შემთხვევა მომეცემა და იაკობ ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის კარს შევადებ, ცოცხლდება დიდ მოქანდაკესთან პირველი სტუმრობის ყველა დეტალი და გულიც ქაბუკურად ამიძვრდება ხოლმე...

იოსებ სანიკიძე თენგიზ მოისწრაფიშვილი

გულბარეთის ცხელი ზაფხული

ჩვენი წერილი შარშანდელი ზაფხულის იმ ღირსსასწავლო დღით უნდა დავიწყოთ, როდესაც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის 15-კაციანი რაზმი (9 ვაჟი და 6 ქალიშვილი) ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში სტუდენტური მესამე შრომით სემესტრში მონაწილეობის მისაღებად მიემგზავრებოდა.

გამცილებლები მრავლად გვყავდა. ჩვენ ხომ პირველები ვიყავით ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტიდან, ვინც შრომით ზაფხულს საზღვარგარეთ გავატარებდით.

ცხადია, ვეღვადით, მაგრამ ამასთან ერთად სიამაყეც გვიპყრობდა.

ბულგარეთში მოსკოვის გავლით უნდა წავსულიყავით. 30 ივლისს, შუალამისას, მატარებელი „მოსკოვი-სოფია“ ბულგარეთის დედაქალაქისაკენ დაიძრა.

შეუჩერებლად ვიარეთ კიევამდე. უკრაინის დედაქალაქში მხოლოდ 15 წუთი დავყავით. გულისფანქვალთ ვეღოდით საზღვარს, სადაც მატარებელი 2 საათს ჩერდება. აქ მას თვლებს უცვლიან. შემდეგი გაჩერება უკვე რუმინეთშია. გულთბილად მოგვესალმნენ რუმინელი მესაზღვრეები და ბედნიერი მგზავრობა გვიასურვეს.

შევდევართ ქ. იასში, სადაც დასაფლავებულია ჩვენი სახელოვანი პოეტი ბესიკ გაბაშვილი...

მიჰქრის ჩვენი მატარებელი და გვიგებებიან დაქორილი სიმიწდის თვალუწვდენელი ყანები. შორით მოსჩანს ქალა-

ქებისა თუ დაბების კონტურები. ახლოს კი მზისგან გარუჯული ბავშვები თამაშობენ... მწყემსი ძროხებს მიერეგება.

საავტომობილო გზის გადასასვლელთან მწყრივად გაბმული მანქანების რიგში ჩვენი „უიგულები“ დავინახეთ. სწრაფად მიჰქროდა მატარებელი და ჩვენს თვალწინ ახალი პეიზაჟები იცვლებოდა. გამოჩნდა ნეთობდადასამუშავებელი ქარხანა, ავტოსადგური... მატარებელმა სვლას უგლო... ქალაქის განაპირა დასახლებანი, დაბალი, ერთსართულიანი ქვის სახლები, ერთმანეთზე მიჯრით ნაშენი... სიმიწდის ყანებს მწესლუმირა შეენაცვლა, შემდეგ ვენახი, ბოლოს თამბაქოს პლანტაციებიც გამოჩნდა, კაკლისა და ტყემლის ხეები, ვაშლის ბაღები... მინდვრად ხალხი მუშაობდა.

შუალამისას გადავლახეთ ღურჯი დუნაი — წყალგამყოფი საზღვარი და ბულგარეთის მიწაზე შევედით.

თვალს იტაცებს აკაციის, კაკლისა და მუხის ხეები, დაბის ტიპის ლამაზი დასახლებანი, პატარა ბოსტნეით. შემდეგ ტყეები და ბოლოს ისევ ვენახი. თითქმის საქართველოში ვიყავით, ისეთი მთა-გორიანი ადგილებია, მწვანეში ჩაფლული ოდა-სახლებით. მატარებლის ფანჯრიდან ვეაღერებოდა ცად აზიდულ მწვანე მთებს. გზის გასწვრივ პატარა მდინარე მიედინება, რომელსაც კვალდაკვალ მიჰყვება მოასფალტებული გზა... ფიჭვები, აკაციები, მუხები, კაკლები... შორს ჩამავალი მზის სხივებით აელვარებული მთების მწვერვალებია. მზე

თითქოს ღიმილით გვემშვიდობებოდა და ბედნიერ შეხვედრას გვისურვებდა ბულგარეთის დედაქალაქ სოფიასთან.

სოფიის სადგურში საგანგებო ფორმაში გამოწყობილი ჩვენი ჯგუფი ყველას ყურადღებას იპყრობდა. მნახველნი ცნობისმოყვარეობით გვათვალიერებდნენ. ბაქანზე დაგვხვდა ბლავოევგრადის კომკავშირის საოლქო კომიტეტის წარმომადგენელი, გულთბილად მოგვხალა და წინ წავგვიძღვა. ვათვალიერებთ ქალაქის ღირსშესანიშნაობებს. თვალი მოგვტაცა ცადატყორცნილმა სასტუმრო „ევროპამ“, უცნობი ჭარისკაცის საფლავმა და მონუმენტმა, შემდეგ ისევ მარბრებელი... ჩვენს სამუშაო ადგილზე, პეტრიჩში, დილის 5 საათზე ვიყავით. ეს იყო უდიდესი საკონსერვო კომბინატი, სადაც მუშაობა სამ ცვლად მიმდინარეობდა. იქვე საერთო საცხოვრებლის ორი კორპუსია. პირველი კორპუსის მეორე სართულზე მოვთავსდით ფართო და ნათელ ოთახებში. რადგანაც დაღლილები ვიყავით, მალე ჩავვიძინა კიდეც.

დილის 8 საათზე გავიღვიძეთ. იმ დღეს სამუშაოზე არ გავსულვართ. ქალაქი დავათვალიერეთ. ფეხით დავდიოდით ქუჩებში, სადაც გვხვდებოდა მწიფე ატმები, ქარვისფერი ყურძენი, ტუჩებ-დამსკლარი ლეღვები, ქალაქი არცთუ ისე დიდი ჩანდა, მრავალსართულიანი სასტუმრო ახლადნაშენი იყო.

დღის 4 საათზე კომკავშირული კრება მოეწვიეთ. დავსახეთ ყოველდღიური სამუშაო გეგმა, ვისაუბრეთ მომავალ ამოცანებზე, იმაზე, თუ როგორ ღირსეულად წარმოგვედგინა ბულგარეთში საბჭოთა სტუდენტის სახელი.

საღამოს საერთო ზაზზე გამოცხადდით. ჩვენთან ერთად იყვნენ 120 ბულგარელი ქალიშვილი და 9 ქაბუკი. ელოდებოდნენ სტუდენტებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ჩეხოსლოვაკიიდან..

მეორე დღით, 6 საათზე, ყველანი სამუშაო ადგილზე ვიყავით, სადაც მიგვყვანა საერთო ჯგუფის ხელმძღვანე-

ლმა, ბლავოევგრადის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურის კათედრის მასწავლებელმა ფილიპე ბუაჭიევმა. ადგილზე ბრიგადირები დაგვხვდნენ და გვიჩვენეს, თუ რა სამუშაოს შევასრულებდით. საკონსერვო ქარხანა რაიმე განსაკუთრებული აღჭურვილობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ სისუფთავე, წესრიგი, ერთმანეთისადმი გულთბილი დამოკიდებულება, შრომისადმი სიყვარული მეტად თვალშისაცემი იყო.

ჩვენ გეგვალდებოდა დაკონსერვებული პომიდვრის, კიტრის, კომპოტებისა და სხვა ხილთულებით სავსე ქილების დაწმენდა, ეტიკეტირება, ქაღალდის ყუთებში ჩაწყობა და გადატანა. მართალია, სამუშაო შესასრულებლად ძნელი არ იყო, სამაგიეროდ გეგმა საკმაოდ დიდი გვქონდა. ერთგვარად დაგვხმარა გამოცდილება, რომელიც მიღებული გვქონდა ბათუმის ციტრუსკომბინატში მუშაობისას.

საღამოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოვიდნენ სტუდენტები — 11 ქალი და 9 ვაჟი, მალე ჩეხოსლოვაკიელი 17 სტუდენტი შემოვიერთდა. მათ ჩვენს მხარდამხარ დაიწყეს მუშაობა.

თანდათან შევეჩვიეთ ახალ გარემოს, მუშაობის რიტმს. ყოველდღიურ გეგმებს გადაჭარბებით ვასრულებდით, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცხელია.

საღამოობით მეგობრობის კონცერტებს ვმართავდით. პირველად ბულგარელმა სტუდენტებმა შეასრულეს ეროვნული სიმღერები და ცეკვები. საინტერესო იყო ცეკვა „წრიული“, რომელსაც ასრულებდნენ ხელისელჩაკიდებუ-ლი, წრედშეკრული ქალიშვილები და ჯაბუკები. თამაზ ფუტყარაძემ, ჯგუფის კომკავშირის მდივანმა, მალე აუღო ალლო ცეკვას და საერთო ფერხულში ჩაერთო.

მეორე საღამო სიმღერებს დაეთმო. ერთმანეთს ცვლიდნენ ბულგარული, გერმანული და ჩეხური სიმღერები. ჩვენი

გოგონები ტოლს არავის უდებდნენ. ისე კარგად მღეროდნენ, რომ მელიოდ-ას ერთხმად ყველა აპყვა. ეს იყო ძმობისა და მეგობრობის ნამდვილი ინტერ-ნაციონალური დღესასწაული, ერთა შორის ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის მაღალი გამოხატულება.

კვირა დღეს ექსკურსიაზე გავემგზავ-რეთ. ძველი ციხე-სიმაგრე დავათვალი-ერეთ ქალაქ პეტრიჩიდან 15 კილომეტ-რზე. ციხესიმაგრეს ჩამოუდის პატარა მდინარე სტრუმა. იქვეა აგებული შესა-ნიშნავი მემორიალი და მუზეუმი.

მეტად ღირსსასოგარი იყო ჩეხოს-ლოვაკიის დღეების გამართვა კომბინა-ტის ეზოში. ჩენმა და სლოვაკმა სტუ-დენტებმა შეასრულეს ეროვნული სიმ-ღერები და ცეკვები. ჩამოარიგეს გემრი-ელი ჩეხოსლოვაკიური კერძები, რომე-ლიც ყველას გვხვდა წილად.

14 აგვისტო საქართველოს დღე იყო. შევიმუშავეთ სპეციალური გეგმა, სა-კონცერტო პროგრამა, მოვამზადეთ პროდუქტები, რითაც უნდა გავმასპინ-ძლებოდით ჩებ, გერმანელ და ბულ-გარელ მეგობრებს, განსაკუთრებით სა-გულდაგულოდ მოემზადნენ ჩვენი გო-გონები.

და აი, გათენდა 14 აგვისტოს ღამაში დილა. როგორც ყოველთვის, ზუსტად 6 საათზე სამუშაო დავიწყეთ. ყველა მონდომებით ვშრომობდით.

ნაშუადღევს ქარი ამოვარდა და გუ-ნება-განწყობილება ერთბაშად გავი-ფუჭდა. ფოთლები და მტკერი ერთმანე-თში აირია, შემდეგ შავმა ღრუბელმა დაფარა ცა და...

როგორც უკვე ვთქვით, ბულგარეთში ცხელი ზაფხული იდგა, წვიმა პეტრიჩში, საერთოდ იშვიათად მოდის თურმე, მა-გრამ ბედი უნდა ყველაფერს. სწორედ ჩვენს საღამოსთვის შეივრა ცამ პირი. სცენა, როგორც ყოველთვის, ღია ცის ქვეშ იყო და, ამდენად, ჩვენს საღამოს ჩაშლა ემუქრებოდა.

ჩვენ კი ვითომ არაფერი გვადარდებს.

ეზოში კოცონი გავაჩადეთ და მწვადის შეწვას შევუდექით. ის იყო, მწვადმა შიშინი დაიწყო, რომ წვიმა ჩამოვიდა. ჯერ პატარა წვეთები, შემდეგ თანდათან უმატა, მოვიხურეთ კოსტუმები, ცეცხლს კი ქოლგები გადავაფარეთ, ვახშმის სა-მზადისი განვაგრძეთ. თავსმა რომ წა-მოსულიყო, საქმეს მაინც არ შევწყვე-ტდით, ალბათ, ასეთი გულმოდგინების გამო შეგვიბრალა ამინდმა და წვიმამ გადაიღო. ყველაფერი გაღამაშებული და გაწმენდილი გამოჩნდა. სასიამოვნო სიგრილე სუფევდა.

დაღვა ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტი. სცენა შუა ეზოშია, ირგვლივ სტუდენტი ახალგაზრდობის ზღვა შე-მორტყმია. აქვე არიან კომბინატის ხე-ლმძღვანელები, მუშა-მოსამსახურეები.

გამოსვლა „მრავალუბამიერთი“ დავიწყეთ. სიღერას ქართული ცეკვა მოჰყ-ვა, შემდეგ ისევ სიღერა, ცეკვა... ბო-ლოს ჩვენი კონცერტი დასასრულს მიუ-ახლოვდა. მაყურებელი კი აღვილიდან არ იძვრის, მოგვიხნდა სარეზერვო ნომ-რების“ შესრულება და სადამო, რო-გორც იქნა, დავამთავრეთ, მაგრამ სცე-ნიდან მაინც არ გვიშვებდნენ... რასაკ-ვირველია, მწვადებსაც ყველამ გემო გაუსინჯა. მეორე დილით კი ჩვენი გო-გონები ყველას ქართული ჩაით გაუმა-სპინძლდნენ.

როდესაც ბულგარულ შთაბეჭდილე-ბებს ვისხენებთ, არ შეიძლება ორიოდე სიტყვა აქაურ კურორტებზეც არ ვთქვათ, ვის არ მოხიბლავს, კერძოდ, სა-კურორტო ქალაქი სანდანსკი... უღამა-შესი პეიზაჟი: საგულდაგულოდ მოვლი-ლი ბაღები, მთის ფერდობებზე შეფე-ნილი წითელკრამიტის სახლები, კრია-ლა ქუჩები, საცურაო აუზები. წავედით ქალაქის ახლოს მდებარე ბუნებრივი ცხელი წყლების დასათვალიერებლად. ყველგან ხანიმუშო სისუფთავე და წე-სრიგია.

გზად ვნახეთ მემორიალური დაფა, რომლის წარწერა გვამცნობდა: 1942

წლის ივლისიდან 1943 წლის ივლისამდე აქ მოქმედებდა ფაშისტი დამპყრობების წინააღმდეგ მებრძოლი ბულგარეთის სახალხო განმათავისუფლებელი ნაწილების შტაბი.

საქართველოს დღის შემდეგ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დღე გაიშარა. გერმანელი სტუდენტები მაყურებლების წინაშე წარადგინეს მეტად ფართო და საინტერესო პროგრამით, მოგვასმენინეს გერმანული ხალხური სიმღერები.

მეორე დღეს, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, პეტრიჩის მცხოვრებმა, ჩვენი კომბინატის ოსტატმა ივანე ბალაევმა ოქასში მიგვიპატიჟა. ფერადი ტელევიზორიც ჰქონდა და ვიდეომაგნიტოფონიც, მაგრამ ყველაზე დიდ სიმიდრედ ბიბლიოთეკა მიაჩნდა. მასპინძელს განსაკუთრებით ბულგარეთის გმირული ისტორია იტაცებდა, ყველაფერი დაუზარებლად მოგვიყვა.

მოახლოვდა ჩვენი გამომგზავრების დღეც. მალე დავემშვიდობებოდით ქალაქ პეტრიჩისა და მის სტუმართმოყვარე მცხოვრებლებს, მეგობარ სტუდენტებს. განშორება, ალბათ, მით უფრო გვგვრიდა სინანულს, რომ ბულგარეთის ის კუთხე, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით, ძალიან წაავადდა საქართველოს. მასპინძლები სტუმართმოყვარეობით, გარეგნობითაც ჩვენებურებს ჩამოგავდნენ. საბჭოთა ქვეყნის წარგზავნილებს დიდი გულისხმიერებით გვხვდებოდნენ.

22 აგვისტო ჩვენი უკანასკნელი სამუშაო დღე იყო პეტრიჩის საკონსერვო კომბინატში... განშორებას ყოველთვის სინანული ახლავს და ჩვენც გვიძნელდებოდა ეს წუთები

სტუდენტთა რიგებში აკორდეონი აუღერდა, გოგონებმა სიმღერა დაუოლეს, ბიჭები კი ზმას ვერ ვიღებდით, ზოგიერთის თვალზე ცრემლიც დავინახეთ... კომბინატის კოლექტივს ახალი შრომითი წარმატებები ვუსურვეთ...

გათენდა 24 აგვისტოს წარმატადი დღე. ხალხმრავლობა კომბინატის ეზო-

ში. დილის 8 საათზე, ფორმაში გამოწყობილი, მსუბუქი ხელჩანთებით, უკანასკნელად შევკრავდით პატაკის ჩანაბარებლად. გამოსამშვიდობებლად მოვიდნენ ქარხნის ხელმძღვანელები, პეტრიჩის პარტიისა და კომკავშირის კომიტეტების წარმომადგენლები. საბჭოთა რაზმის ხელმძღვანელმა თენგოზ მოისწრაფიშვილმა წარმოთქვა გამოსამშვიდობებელი სიტყვა. ბედნიერი მგზავრობა და კეთილი სურვილები გვისურვებს მასპინძლებმა. ჩვენი ჯგუფი დააჯილდოვეს ბლაგოევგრადის კომკავშირის საოლქო კომიტეტის სიგელით, გადმოგვცეს სამახსოვრო საჩუქარი...

ვემშვიდობებით ბულგარელ სტუდენტებს. არ გვეგონა, თუ ასე დაეახლოვდებოდათ და დავმეგობრდებოდით. უცებ ვიდაცამ პეტრიჩზე სიმღერა წამოიწყო, ისეთი გულშიჩამწვდომი, იქ ჩასულმა თითქმის ყველა სტუდენტმა ისწავლა და ხშირად ვმღეროდით. ახლაც ყველა ავმღერდით დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი. დამთავრდა თუ არა ბულგარული სიმღერა, ჩვენი ჯგუფიდან ღია ჭივიშმა „სულიკო“ წამოიწყა. კვლავ ერთსულოვნად ამღერდა ყველა. მღეროდნენ ქართველები და ბულგარელები, ჩეხები და გერმანელები. სიმღერის შემდეგ ისმოდა შეძახილები „მეგობრობა“, „მშვიდობა“, „ახალგაზრდობა“.

ვემშვიდობებით პეტრიჩს, ატმებითა და ლედვებით, ყურძნით დახუნძლოლ მის ქუჩებს, ყვავილებით მორთულ ბაღებსა და გაზონებს, კოპწია სახლებს, ვემშვიდობებით ალალ, სტუმართმოყვარე მოქალაქეებს. გეზი ბლაგოევგრადისაკენ ავიღეთ.

დღის 12 საათზე პირდაპირ ბლაგოევგრადის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა საერთო საცხოვრებელს მივადექით. ეს არის წითელი აგური ნაშენი მაღლივი კორპუსები, სუფთა, ნათელი ოთახები, თანამედროვე კომფორტი, აბაჯანა, ცხელი და ცივი წყალი... რაღა დაგიმალოთ და, ვინატრეთ, ნეტავ

ჩვენთან, ბათუმშიც, გვქონდეს სტუდენტებს ასეთი საერთო საცხოვრებელიო...

დავათვალიერეთ პედაგოგიური ინსტიტუტი. ეს არის უმაღლესი სასწავლებელი შესანიშნავი აუდიტორიებით, სასწავლო კაბინეტებით, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით.

ქალაქის ცენტრში არის საბჭოთა წიგნის მაღაზია, სადაც შევიძინეთ სერგეი ესენინის შესანიშნავი კრებული რუსულ ენაზე, აქვე წავაწყდით ბულგარულ ენაზე გამოცემულ ოთარ ჭილაძის რომანს „რკინის თეატრი“.

გულდია მასპინძლებს სურდათ ბულგარეთის მიწის ყველა კუთხე-კუნჭული ეჩვენებინა ჩვენთვის, მაგრამ დრო სად იყო. მაინც ვნახეთ ბოჩკოვოს, რილისა და როჟენსკის მონასტრები. ამ სამიდან ქართველი კაცისათვის განსაკუთრებით

ძვირფასია ბოჩკოვო, რომელზეც ბევრი თქმულა და ბევრი დაწერილია, რკინის ქვიშაზე მცირე ხანს ვიყავით პლოცდევში, განსაკუთრებით დასამახსოვრებელი იყო საღამო ქალაქ გოცედელჩევში, ის მიღება, რომელიც ქალაქის ახალგაზრდობამ მოგვიწყო.

სოფიაში გვიან საღამოს ჩავედით. მეორე დღეს, 29 აგვისტოს, შუადღისას, ჩვენი მატარებელი სამშობლოსაკენ დაიძრა.

ნახვამდის, სტუმართმოყვარე ბულგარეთო!

თქვენი გულის სითბო მიგვყვება საქართველოში, ძვირფასო ბულგარელო მეგობრებო!

მშვიდობა თქვენს ზღაპრულ მთაბარს, თქვენს სტუმართმოყვარე ოჯახებს, თქვენს ალალ, მშრომელ ხალხს!



ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებელი

შესრულდა 100 წელი დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ფუძემდებლის, თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებლის აკადემიკოს დიმიტრი უზნაძის დაბადებიდან.

თუ რაოდენ დიდია დ. უზნაძის ღვაწლი საქართველოში ფსიქოლოგიური მეცნიერების დაფუძნებასა და განვითარებაში, კარგად ჩანს მისი დიდი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვიდანაც.

დ. უზნაძე დაიბადა 1886 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ საქარაში. 1896 წელს იგი შეიყვანეს ქუთაისის ვეფხე ბირველ გიმნაზიაში. წარჩინებულ სწავლასთან ერთად დ. უზნაძე აქტიურ მონაწილეობასღებულობდა რევოლუციურ მოძრაობაში, რის გამოც 1905 წელს გარიცხეს გიმნაზიიდან (დამამთავრებელ კლასიდან). იმავე წელს დ. უზნაძე გაემგზავრა გერმანიაში და შევიდა ლაიფციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. აქ მან მიიღო უმაღლესი ფსიქოლოგიური განათლება ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ფუძემდებლის ვილჰელმ ვუნდტის ხელმძღვანელობით.

1909 წელს დ. უზნაძე ფილოსოფიის დოქტორის სამეცნიერო წოდებით დაბრუნდა საქართველოში და 1916 წლამდე ქუთაისში ეწეოდა ფართო საზოგადოებრივ, მეცნიერულ და პედაგოგიურ მუშაობას. ასწავლიდა ისტორიას ქუთაისის გიმნაზიაში. აღსანიშნავია, რომ 1913 წელს დ. უზნაძემ ექსტერნის წესით ჩააბარა გამოცდები ხარკოვის უნივერსიტეტში და მიიღო ისტორიის სპეციალობის კურსდამთავრებულის დიპლომი, რითაც მან უფლებრივადც უზრუნველყო თავისი მოღვაწეობა პედაგოგიურ სარბიელზე (იმდროინდელ რუსეთში უცხოეთში მიღებული დიპლომი ოფიციალურ საბუთად არ ითვლებოდა).

ქუთაისში მოღვაწეობის პერიოდში დ. უზნაძემ დაამუშავა და გამოაქვეყნა პირველი სერიოზული ისტორიის სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე: „პირველყოფილი კულტურა“, „ძველი საბერძნეთი“, „ძველი და ახალი ისტორია“. ამ წიგნებმა დიდი სამსახური გაუწიეს მაშინდელ ახალგაზრდობას. ამავე პერიოდში იგი აქვეყნებს პედაგოგიური და ფსიქოლოგიური წერილების სერიას, რომლებშიც ეხება სწავლის, აღზრდის, მოსწავლის აქტიურობისა და მისი მთლიანი პიროვნების ფორმირების, მოქალაქის ჩამოყალიბების საკითხებს. ამ ნაშრომებში უკვე ჩანს მისი მომავალი ფსიქოლოგიური კონცეფციის — განწყობის თეორიის — საწყისები.

საზოგადოებრივმა და სამეცნიერო-პედაგოგიურმა მოღვაწეობამ ისეთი მაღალი ავტორიტეტი შეუქმნა დ. უზნაძეს, რომ როდესაც 1915 წელს ქუთაისში დაარსდა პირველი ეროვნული სკოლა „სინათლე“, ქართულმა საზოგადოებამ სკოლის დირექტორობა უუყოყმანოდ მას მიანდო.

1917 წლიდან დ. უზნაძე საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა და ჩაება ქართული უნივერსიტეტის დასაარსებლად გაჩაღებულ მუშაობაში, რომელსაც მეთაურობდა დიდი ივანე ჯავახიშვილი, სწორედ უნივერსიტეტის დაარსებიდან იწყება ახალი ეტაპი ფსიქოლოგიური მეცნიერების განვითარებაში საქართველოში. შეიქმნა მასში

ფსიქოლოგიის კათედრა და ფსიქოლოგიური ლაბორატორია. როგორც კათედრის, ისე ლაბორატორიის დამაარსებელი იყო დ. უზნაძე, რომელიც განაგებდა მას 1941 და დღემდე (1950 წ.).

უნივერსიტეტში ფსიქოლოგია თავიდანვე ყველა სტუდენტისათვის აუცილებელ საგნად ითვლებოდა. დ. უზნაძე კითხულობდა ფსიქოლოგიის ყველა კურსს და ეწეოდა ყველა სახის მუშაობას, რადგან დასაწყისში იგი იყო პროფესორიც, ასისტენტიც და ლაბორანტიც. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ არ იყო სახელმძღვანელოლოგია. ასეთ პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დ. უზნაძის მიერ გამოქვეყნებულ „ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის პრინციპული საფუძვლების“ პირველ ტომს (1925 წ.), „ზოგად ფსიქოლოგიას“ (1940 წ.), „ბავშვის ფსიქოლოგიას“ (1933-1947 წ.), რომლებზედაც სტუდენტების არაერთი თაობა აღიზარდა და რომლებსაც დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა. ესენი არა მარტო სახელმძღვანელოებია, არამედ კრიტიკული გამოკვლევების მწყობრი სისტემა, რომლებიც გამოირჩევიან ფაქტების გაშუქების ავტორისეული ორიგინალური კონცეფციით.

1927 წელს დ. უზნაძის ხელმძღვანელობით საქართველოში დაარსდა ფსიქოლოგთა საზოგადოება, რომელიც იყო პირველი ფსიქოლოგიური საზოგადოება საბჭოთა კავშირში. დ. უზნაძის მეცადინეობით ფსიქოლოგიური მეცნიერება იმდენად მძლავრად განვითარდა საქართველოში, რომ როდესაც 1941 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, მის სისტემაში ფსიქოლოგიის სექტორიც იქნა გათვალისწინებული. დ. უზნაძე, აკადემიკოს-დამფუძნებელ სხვა 16 მეცნიერთან ერთად, აკადემიის ნამდვილი წევრი გახდა. ფსიქოლოგთა შორის იგი იყო პირველი აკადემიკოსი-ფსიქოლოგი მთელს კავშირში.

1943 წელს აკადემიის ფსიქოლოგიის სექტორის ბაზაზე დაარსდა ფსიქოლოგიის პირველი ინსტიტუტი ჩვენს ქვეყანაში, რომელსაც სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ხელმძღვანელობდა მისი დამაარსებელი — აკადემიკოსი დ. უზნაძე. ეს ინსტიტუტი დღეს მის სახელს ატარებს. აღსანიშნავია, რომ დ. უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი 30 წლის მანძილზე იყო ერთადერთი ინსტიტუტი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფარგლებში. საყოველთაო აღიარებით, დ. უზნაძის თეორიულმა და პრაქტიკულმა მოღვაწეობამ, მისმა ფსიქოლოგიურმა მეშვეილობამ დიდი წვლილი შეიტანა, საერთოდ, საბჭოთა ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

დ. უზნაძე თავიდანვე სისტემატურად აქვეყნებდა გამოკვლევებს ქართულ, რუსულ და უცხოურ ენებზე. საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა მის შრომებს: „სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები“, „მნიშვნელობის წვდომის პრობლემისათვის“, „ცნებების ჩამოყალიბება სკოლისწინარე ასაკში“, „განწყობის შეცვლა, როგორც კონტრასტული ილუზიის საფუძველი“, „სიმძიმის ილუზია და მისი ანალოგები“, „ადამიანის ქცევის ფორმები“, „ენის შინაფორმა“, „ყურადღების არსის პრობლემა-სათვის“ და სხვა. თითქმის ყველა დასახელებული შრომის ძირითადი დებულებები ასახულია ფსიქოლოგიურ ენციკლოპედიაში, რომელიც ქ. გეტინგენში გამოიცა 12 ტომად (1959-1970 წლებში).

ნაშრომში „სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები“ დ. უზნაძემ ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე უჩვენა, რომ საგნებისა და მოვლენებისათვის სახელის დარქმევა სრულიად შემთხვევით არ ხდება, რომ სახელდება კანონზომიერი ხასიათისაა. მაგალითად, ცდისპირთა უმრავლესობა ერთდროულად უცნობი ობიექტის დასახელებლად მიწოდებული ბგერათა კომპლექსიდან ირჩევს ერთდროულად კომპლექსს,

ხოლო სხვა სახის ობიექტების სახელად სხვა ბევრათა კომპლექსს. ამით მტკიცდება, რომ სახელდების დროს სახელსაღები შინაარსი ახდენს რა თავისებურ ემოციურ ზეგავლენას სახელმდებელზე, ეს უკანასკნელი ამ ზეგავლენის შესაფერის ბგერათა კომპლექსს ანუ სახელს ირჩევს მის აღსანიშნავად. ამ უცნაური კანონზომიერების საფუძველს დ. უზნაძე განწყობის ფსიქოლოგიურ ფაქტში ხედავდა. ამ გამოკვლევამ ახალი გზა გაუხსნა ენის მეცნიერული შესწავლის საქმეს.

ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დ. უზნაძის შრომებს ცნების ფორმირებისა და აზროვნების განვითარების საკითხებზე. ამ შრომებში ნაჩვენებია იყო ცნების დაუფლების ეტაპები ადრეულ ასაკში. გამოვლენილი იყო ცნების ფუნქციის შემსრულებელი სიტყვის (ცნების ფუნქციონალური ექვივალენტის ფსიქიკური ბუნება. ეს შრომები გასაგებს ხდიდა ადამიანის აზროვნების განვითარების ერთიან და ბუნებრივ გზას. ცნობილმა ამერიკელმა ფსიქოლოგმა ა. ლაჩინსმა სრულიად სამართლიანად აღიარა, რომ აზროვნების ფსიქოლოგიის განვითარების დღევანდელი დონე ბევრად გაპრობებულია დ. უზნაძის კლასიკური მემკვიდრეობით.

შრომში „ადამიანის ქცევის ფორმები“ დ. უზნაძემ პირველად ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში მოგვცა ერთ გარკვეულ პრინციპზე აგებული ადამიანის ქცევის ფორმების სისტემატური კლასიფიკაცია. ადამიანისათვის დამახასიათებელ ქცევის ფორმათა მთლიანი სისტემის, განსაკუთრებით კი შრომის, სწავლისა და თამაშის მისეული დახასიათება შემდეგში საფუძვლად დაედო ამ მიმართულებით შესრულებულ არაერთ თეორიულ გამოკვლევასა თუ პრაქტიკული ხასიათის ღონისძიებას.

ამჟამად შესაძლებლობა არა გვაქვს თუნდაც მოკლედ განვიხილოთ დ. უზნაძის ძირითადი შრომები, მაგრამ არ შეიძლება არ შევეხოთ განწყობის უზნაძისეულ თეორიას. პირველ რიგში სწორედ ამ თეორიამ მოუბოვა საქვეყნო აღიარება მის ავტორს და მთლიანად ქართულ ფსიქოლოგიურ სკოლას. განწყობის თეორია, სამართლიანად შესულია ფსიქოლოგიური მეცნიერების ოქროს ფონდში.

პრობლემათა მრავალნაირობისა და შესწავლილი საკითხების მრავალფეროვნების მიუხედავად, დ. უზნაძის ყველა ნაშრომს აერთიანებს ერთი მეცნიერული ტენდენცია. ეს არის ყველა ფსიქიკური პროცესის თუ მოქმედების მთლიანი პიროვნებისეული ძირების კვლევა. ამ ძიებამ უკვე 30-იან წლებში მოგვცა განწყობის თეორია, მასთან დაკავშირებული ექსპერიმენტული ფაქტები კი იმთავითვე აღიარებული იქნა როგორც „უზნაძის ფენომენი“. ასეთი ქვესათური მისცა, მაგალითად, თავის ერთ-ერთ ნაშრომს გამოჩენილმა ფრანგმა ფსიქოლოგმა ჟ. პიაჟემ.

განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორია ქცევის მიზანშეწონილობის პრობლემასთან დაკავშირებით აღმოცენდა და, პირველ რიგში, ამ პრობლემის გადაჭრას ემსახურება.

როგორ ახერხებს ცოცხალი ორგანიზმი მისი ახლანდელი მდგომარეობისათვის მიზანშეწონილი ქცევის აქტების შესრულებას, საიდან იღებს ცხოველის ქცევა მიზანშეწონილ ხასიათს? ეს პრობლემა ადამიანის მიმართ თითქმის არ უნდა დადგეს: ადამიანს აქვს ცნობიერება და მას შეუძლია წინასწარ მოფიქრებული გეგმის მიხედვით წარმართოს ამა თუ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საჭირო ქცევა. ეს, ერთი შეხედვით, მართლაც ასეა, მაგრამ ადამიანსაც არ შეუძლია მიზნის მიღწევისათვის აუცილებელი ყოველი კონკრეტული მოქმედების გაცნობიერება. მაგალითად, სიარულის დროს ადამიანი როდი აცნობიერებს თავის ყოველ ნაბიჯს ან ქუჩაში მოძრაობის წესებს, ფიქრებში წასულმა შეიძლება ერთხელაც არ გააცნობიეროს, თუ სად მიდის, რა მანძილი გამოიარა, ანდა სად უნდა შეუხვიოს ახლა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მიზანშეწონილად მოქმედებს: არასოდეს მოხდება, რომ ავთოქაში მიმავალი პიროვნება

სასადილოში აღმოჩნდეს, ანდა სამსახურის ნაცვლად სხვა დაწესებულებაში მივლინდეს. ასეთივე მიზანშეწონილი ხასიათი აქვს ადამიანის ცნობიერების შინაარსების მიმდინარეობას, ცნობიერების მუშაობასაც. მაგალითად, როდესაც ადამიანი, ვთქვათ, ჭკნის ჭკნის სახზე რუსს ესაუბრება, მას ენაზე თავისთავად რუსული სიტყვა ადგება, ხოლო როდესაც იგი ქართველთან საუბრობს, მაშინ მას შესაფერისი ქართული სიტყვა აგონდება.

დ. უზნაძის აზრით, ამ მოვლენებისა და, საერთოდ, ქცევის მიზანშეწონილობის საფუძველი უნდა ვეძებოთ განწყობაში. განწყობა არის მთლიანი სუბიექტის, მთლიანი პიროვნების არაცნობიერი მდგომარეობა, რომელიც აღმოცენდება გარკვეული მოთხოვნილებისა და მისი დამაკმაყოფილებელი სიტუაციის ურთიერთშემოქმედების ნიადაგზე და წარმოადგენს განსაზღვრული მიმართულებით მოქმედებისათვის მზადყოფნას. ეს მდგომარეობა თავისი ელფერით მოსავს ყველაფერს, რაც ამ პირობებში შემოდის სუბიექტში, მიიმსგავსებს და თავის შესატყვისად წარმართავს მოვლენებს.

განწყობაში ერთდროულად ასახულია როგორც სუბიექტის მოთხოვნილება, ისე ობიექტური სიტუაცია. იგი ისეთი მიდრეკილება, დინამიკური მდგომარეობა თუ მოქმედებისადმი მზაობაა, რომელშიც წინასწარ, ესკიზური სახით მოცემულია მომავალი ქცევა. რადგანაც ყოველ ქცევას წინ უსწრებს სუბიექტური და ობიექტური სინამდვილის ასახვის ისეთი სპეციფიკური ფორმა, რაც მოთხოვნილების მქონე სუბიექტის მოცემული სიტუაციის შესატყვისად მოდიფიცირებას, გადასტრუქტურებას, მისი შინაგანი ძალების სათანადო მიმართულებით მომართვას, მოკლედ რომ ვთქვათ, განწყობას წარმოადგენს, გასაგებია, რომ მის ნიადაგზე გაშლილი ქცევა მიზანშეწონილი უნდა იყოს მაშინაც კი, როდესაც ადამიანი სავანებოდ არ ფიქრობს მასზე, არ აცნობიერებს მას და უზრუნველყოფდეს მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, რასაც ადგილი აქვს კიდევ.

დ. უზნაძემ უჩვენა, რომ ცხოველებისაგან განსხვავებით ადამიანის განწყობისეული მდგომარეობა რიგი სპეციფიკურობით ხასიათდება, რაც ძირითადად განსაზღვრულია სპეციფიკურ-ადამიანური მოთხოვნილებებით, ცნობიერებით (ობიექტივაციის უნარით) და ნებელობით. საერთო კი ისაა, რომ ორივე შემთხვევაში ქცევა გაშუალებულია განწყობით. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, როცა მოთხოვნილების მქონე სუბიექტზე ობიექტური სიტუაცია მოქმედებს, ეს უკანასკნელი უშუალოდ კი არ იწვევს მასში შესატყვის ქცევას, არამედ გაშუალებით, განწყობის გზით: ჯერ ჩნდება განწყობა როგორც მთლიანი სუბიექტის მოდიფიკაცია, როგორც მისი ფსიქოფიზიკური ფუნქციების გარკვეული მოქმედებისათვის მზაობა და შემდეგ ამ განწყობის საფუძველზე რეალობა თავითონ ქცევა. ასეთია საერთოდ, დ. უზნაძის კონცეფციის მიხედვით, ფსიქიკის მუშაობის მექანიზმი.

განწყობის უზნაძისეული თეორიის დიდი უპირატესობა ისაა, რომ ეყრდნობა თვით განწყობის ხანგრძლივ ექსპერიმენტულ შესწავლას. დ. უზნაძის აზრით, ზმირი გამეორების ან დიდი პირობული წონის გამო განწყობა ინდივიდში ფიქსირდება და გადადის ლატენტურ მდგომარეობაში. ასე მაგალითად, განსხვავებული სიდიდის წრეების გამეორებითი ოპტიკური აღქმის შემდეგ, ან ორი არათანაბარი ზურთის მრავალჯერ ხელით (პაატურად) შეღარების საფუძველზე სუბიექტში იქმნება უტოლობის ფიქსირებული განწყობა, რაც შემდგომში მიწოდებული ტოლი ობიექტების ილუზორულ აღქმაში გვლინდება.

განწყობის თეორიის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ბურჟუაზიულ ფსიქოლოგიაში გაბატონებული ე. წ. „უშუალობის „პოსტულატის“ დაძლევა და ობიექტურ გარემოს, ადამიანის ქცევასა და მის ცნობიერებას შორის არსებული კავშირების, უშუალოდური რგოლების ფსიქოლოგიური ბუნების შესწავლა, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მარქსისტული ფსიქოლოგიის განვითარებისათვის.

დ. უზნაძის ხელმძღვანელობით ჩატარებულმა ცდებმა დაადასტურა, რომ ადამიანთა შორის არსებობს დიდი ინტერინდივიდუალური სხვაობა ფიქსირებული განწყობის შემუშავებისა და ჩაქრობის პროცესების მიმდინარეობის მხრივ. კერძოდ გამოიკვლია, რომ ზოგ ადამიანს ძალიან ადრე უმუშავდება ფიქსირებული განწყობა, ზოგს ძნელად. განსხვავებული აღმოჩნდა ფიქსირებული განწყობის ჩაქრობის — ადექტატურ განწყობაზე გადასვლის პროცესიც. სახელდობრ, ერთნი ადვილად თავისუფლებიან ფიქსირებული განწყობისაგან, მეორენი შედარებით დიდხანს იმყოფებიან მისი გავლენის ქვეშ და ა. შ. შემდგომმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ შეინიშნება დადებითი კორელაცია ფიქსირებული განწყობის ტიპსა და ხასიათისა და ტემპერამენტის ტიპებს შორის, რამაც ფართო პერსპექტივა გაუშალა პიროვნების თავისებურებების შესწავლას ფიქსირებული განწყობის უზნაძისეული მეთოდით.

განწყობის თეორია შესაძლებლობას იძლევა სათანადოდ იქნას გათვალისწინებული ადამიანისეული ფაქტორის როლი წარმოებასა თუ ურთიერთობაში. ამიტომ სრულიად კანონზომიერია, რომ ამ თეორიის ექსპერიმენტული დამუშავება დღესაც გრძელდება საქართველოში.

განწყობის თეორიული და ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ძირითადი შედეგები განზოგადებულია დ. უზნაძის მონოგრაფიაში „განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები“, რომელიც გამოქვეყნდა 1949 წელს. ეს წიგნი თარგმნილია რუსულ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე და საერთაშორისო აღიარებით სარგებლობს.

ინტერესი დ. უზნაძის ფსიქოლოგიური მემკვიდრეობის მიმართ სულ უფრო იზრდება. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ფსიქოლოგია საზოგადოების საკავშირო ყრილობებზე (მე-4 ყრილობა მოწვეულ იქნა თბილისში 1971 წელს) სპეციალური სხდომები ეძღვნება განწყობის უზნაძისეული თეორიის აქტუალურ საკითხებს, ხოლო ფსიქოლოგთა მე-18 და 22-ე საერთაშორისო კონგრესებზე (1968 წ. მოსკოვი; 1980 წ. ლაფციკი) ცალკე სიმპოზიუმები დაეთმო განწყობის პრობლემების განხილვას.

დ. უზნაძის მეცნიერული მემკვიდრეობისა და მთლიანად ქართული ფსიქოლოგიური სკოლის დიდ აღიარებას წარმოადგენს ისიც, რომ თბილისი გახდა არაერთიერთი ფსიქიკურის კვლევის საერთაშორისო ცენტრი. აქ 1979 წელს მოწვეული იქნა დიდი საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომლის მასალებისადმი მიძღვნილი 4 ტომი შეიცავს სტატიებს რუსულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე.

დ. უზნაძე გარდაიცვალა 1950 წელს, 64 წლის ასაკში, სამეცნიერო სხდომაზე. გარდაიცვალა ისე, როგორც მისი უფროსი თანამედროვე დიდი ივანე ჯავახიშვილი. ორივეს სიცოცხლე მეცნიერებისა და ერის კეთილდღეობისათვის თავგანწირულ სამსახურში დაიღალა. და რაოდენ სიმბოლურია, რომ მათი უკანასკნელი სიტყვებიც ამ სამსახურს გამოხატავდნენ. როგორც თვითმხილველნი ადასტურებენ, დ. უზნაძის უკანასკნელი სიტყვა იყო ქართული ფსიქოლოგია.

ნოდარ ბარამიძე,

ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.



პოეზიის რომანტიკული გაგება

წიგნი II

რომანტიკოსთა დაუოკებელი ნატვრა-სურვილების მაქსიმალიზმმა, ტიტანურმა ცდამ, ტოტალურად მოეცათ სამყარო-უნივერსუმში, ბუნება და ადამიანი, იმდენად გრანდიოზული ხასიათი მიიღო, რომ მათი ყურადღების გარეშე არ დარჩენილა ადამიანის სოციალური ცხოვრების, მისი სულიერი საქმიანობის თითქმის არცერთი მნიშვნელოვანი მხარე, რაც აღემატებოდა მათ ძალას და, საერთოდ, სოციალური ფაქტორებით შეზღუდული ადამიანის ინტელექტუალურ უნარს, ფილოსოფიური და მხატვრულ-ესთეტიკური აზროვნების იმდროინდელ დონეს. მათ თავიანთ თავზე აიღეს შეუძლებელი რამ: ერთბაშად გადაეწყვიტათ ყველა ის პრობლემა, რომლებიც კაცობრიობის წინაშე იდგა საუკუნეთა მანძილზე. ასეთმა მაქსიმალიზმმა და უსაფუძვლო პრეტენზიამ საკმაოდ რთულ და წინააღმდეგობრივ მოვლენად აქცია რომანტიზმი. მაგრამ რომანტიზმმა თავისი ძიებებით საგრძნობლად გაამდიდრა პოეზია და საკმაოდ წინ წასწია მხატვრულ-ესთეტიკური აზროვნება.

კანტის, ფიხტეს, შელინგისა და ჰეგელის იდეალისტური ფილოსოფიური სისტემები იყო გრანდიოზული, ფორმით ფანტასტიკური, მაგრამ შინაარსიანი ცდა, გაბედულად მოეცათ ერთი მეცნიერული სისტემის ფარგლებში სამყაროს და ადამიანის განვითარების პროცესის მთელი მრავალფეროვნება, წარმოედგინათ ეს როგორც ერთიანი, თუმცა შინაგანად დანაწევრებული, გონივრული მთლიანობა. მსგავსი უნივერსალური მხატვრულ-ესთეტიკური სისტემის შექმნას მიჰყევს ხელი გერმანელმა რომანტიკოსებმა, რომელნიც შეეცადნენ პოეზია აეყვანათ ყოვლისმომცველი სიბრძნის რანგამდე. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ იენის წრის რომანტიკოსები ასე გატაცებული იყვნენ ფილოსოფიით. კერძოდ, ნოვალის წერდა ფ. შლეგელს 1796 წლის 8 ივლისს: „საქმიანობის ჩემს ამოჩემებულ საგანს ჰქვია, არსებითად, ისევე, როგორც ჩემს საცოლეს: მისი სახელია სოფი. ფილოსოფია ჩემი სიცოცხლის სულია და გასაღები ჩემი საკუთარი „მე“-სადმი“¹, ნოვალისს მიაჩნდა, რომ ფილოსოფიას შეუძლია მოგვეცეს. პოეზიის ნამდვილი გაგება: „პოეზია არის ფილოსოფიის გმირი, — წერდა იგი. — ფილოსოფიას აჰყავს პოეზია პრინციპამდე. იგი გვასწავლის, ვიცოდეთ პოეზიის ღირსება. ფილოსოფია არის პოეზიის თეორია. იგი გვიჩვენებს, რა არის პოეზია, რომ იგი ერთიცაა და ყველაფერი“² საფულისხმოა, რომ იენის წრესთან ახლოს იდგა ხელოვნების ფილოსოფიის შემქმნელი და ფილოსოფიური რომანტიზმის წარმომადგენელი შელინგი. იენის წრის რომანტიკოსები შეეცადნენ ფილოსოფიის მომარჯვებით გაერკვიათ და დაემკვიდრებიათ რომანტიზმის გნოსეოლოგიური საფუძველი და მისი მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპები, რასაც განსაკუთრებით დიდი ენერგია მოახმარეს ძმებმა ფრიდრიხ და აუგუსტ ვილჰელმ შლეგელებმა.

ინგლისში ლეიკისტებმა დაიწყეს რომანტიკული პოეზიის უფლებამოსილების დაცვა-დამკვიდრება. ზოლო რომანტიზმის რევოლუციური მიმართულების წარმომადგენელმა პერსი ბიში შელიმ თავის ლიტერატურულ მანიფესტს პირდაპირ უწოდა „პოეზიის დაცვა“ (1821), რომელიც პოლემიკურად დაუპირისპირდა პიკოკის პამფლეტს (პოეზიის

ოთხი საუკუნე“ (1820). პიკოკი აქ ამტკიცებდა, რომ პოეზია განვითარებულია რომანტიკულ ხალხებთან, ხოლო ცივილიზაციის ზეგავლენით პოეზია ჰყარავს თავის ფუნქციას, ადგილს უთმობს უფრო პრაქტიკულ საქმიანობას. ამიტომაც თანამედროვე პოეტებს, პიკოკის აზრით, სინამდვილე მიაჩნიათ „არაპოეტურად“ და მიმართავენ წარსულს. პოეზიის ესთეტიკური ღირებულების ასეთმა უგულვებელყოფამ შელის ხელში ააღებინა კალამი, რომანტიკული პოეზიის უფლებამოსილება რომ დაესაბუთებია. რომანტიკული პოეზიის დაცვა საფრანგეთში მოუხდა ქ-ნ სტალს, ე. ჰიუგოს, ე. სანდს, სტენდალს და სხვ.

გერმანული რომანტიზმის თეორეტიკოსმა ფ. შლეგელმა ჯერ კიდევ „ლიცეუმის“ (1797) და „ათენუმის“ (1798)³ ფრაგმენტებში დაიწყო რომანტიკული პოეზიის პრინციპების დამუშავება. იგი იმთავითვე გამოვიდა კლასიციზტური ლიტერატურის ნორმატიული პოეტიკის წინააღმდეგ: „პოეზიის ყველა კლასიკური სახე, თუ ავიღებთ მათი მკაცრი სიწმინდით, ახლა სასაცილოა“ — აცხადებს ფ. შლეგელი მე-60 კრიტიკულ ფრაგმენტში. იქვე იგი შენიშნავს, რომ „მეცნიერული პოეზიის ცნება ისევე უაზროა, როგორც პოეტური მეცნიერების ცნება“ (61-ე ფრაგმენტი). ფ. შლეგელი საყვედურს გამოთქვამს, რომ ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ახალი პოეზიის თეორია. თავდაპირველად საფრანგეთის რევოლუციის ზეგავლენის ქვეშ ფ. შლეგელს პოეზიაც ესმოდა როგორც „რესპუბლიკური სიტყვა“, რომელიც არის „საკუთარი კანონი და საკუთარი მიზანი, სადაც ყველა ნაწილი არის თავისუფალი მოქალაქე და შეუძლია მიაწოდოს თავისი ხმა“ (65-ე ფრაგმენტი).⁴

წერილში „ბერძნული პოეზიის შესწავლის შესახებ“ (1797) ფ. შლეგელი წერდა თანამედროვე (რომანტიკული) პოეზიის თაობაზე: „თვალში გეცემა, რომ თანამედროვე პოეზიამ ან ჯერ კიდევ ვერ მიაღწია მიზანს, რომლისაკენაც მიისწრაფის, ან მის მისწრაფებას საერთოდ არ აქვს მტკიცე მიზანი, მისი განვითარება გარკვეული მიმართულებისა, მისი ისტორიის მასა კანონზომიერი კავშირისა, ხოლო მთლიანი ერთობისა“ (ტ. I, გვ. 91). იგი ამჩნევს აგრეთვე, რომ დაბალი ესთეტიკური რიგის ხელოვნების პარალელურად იქმნება ახალი უკეთესი ხელოვნებაც: „ახალი, ხელოვნების ისტორიაში დროდღარო ვხვდებით პოეტებს, რომლებიც დაცემულობის ამ ეპოქის ფონზე თითქოს მოსული არიან სხვა, უზენაესი სამყაროდან“. მათ მთელი არსებით სურთ მარადიული, ხოლო თავიანთი შემოქმედებით თუ ვერ აღწევენ პარმონიასა და დამკაყოფილებას, „მაინც მათვენ მძლავრი მისწრაფებით აღვიძებენ კანონიერ იმედებს იმაზე, რომ პოეზიის მიზანი არ დარჩება მუდამ მიუღწეველი“ (ტ. I, გვ. 92) ფ. შლეგელი წერს საერთო განწყობილების, ეპოქის სულისკვეთების შესახებ: „რა უგემოვნაო... ყველა დაღმწინდება და დაწესებულება, როგორ არაპოეტურია ყველა ზნე-ჩვეულება, თანამედროვე ადამიანების ცხოვრების მთელი წესი!.. პროზა შეადგენს თანამედროვეობის ნამდვილ ბუნებას“ (ტ. I, გვ. 118). იგი აღიარებს თავისი ეპოქის ესთეტიკური კულტურის სიმაღლეს, ესთეტიკური უნარის ძალას. „აკლია მხოლოდ, — დასძენს იგი, — სწორი მიმართულება და შესაბამისი განწყობილება“, ხოლო ამ ნაკლის დასაძლევად „აუცილებელია სრული გარდაქმნა, ტოტალური გადატრიალება: რევოლუცია“ (ტ. I, გვ. 128).

ფ. შლეგელი ამჩნევდა, რომ ანარქიამ მოიცვა გემოვნება და, საერთოდ, ხელოვნება. იგი ხედავდა აგრეთვე შემოქმედი უნარის თავდაუპერლობას და მერყეობას, მგრძნობიარე მკითხველთა უკმაყოფილებას. ბუნებრივია, მას ეკვი ეპარებოდა: შეიძლება კი ასეთ ვითარებაში პოეზიის სარწმუნო თეორიის შექმნა? „თვით თეორია, — წერს იგი, — ჩანს, საგსებით სასოწარკვეთილებაში ჩავარდა ეპოვა მტკიცე საყრდენი წერტილი ამ უსასრულო ცვალებადობაში“ (ტ. I, გვ. 93). გემოვნება შეიცვალა მისი კარიკატურით — მოდიო, რომელიც ხან ერთ სათაყვანებელს უკმევს გუნდარუსს, ხან

მეორეს. ფ. შლეგელი სკეპტიკურად უდგება პოეზიის მიანადე არსებულ თეორიას, რომელიც მისი აზრით, მცირე გამოჩაყლისით, იყო მხოლოდ დამახინჯებულ პრაქტიკულ გაზრებას, ყალბი გემოვნების განზოგადება. ეს თეორია, როგორც ფ. შლეგელი უარყოფს, რობს, ხელოვნებას მიზნად უსახავდა ხან მიმზიდველობას, ხან კი ჭეშმარიტებას, ცნობდა ავტორიტეტების მიბადვის პრინციპს, ან მხატვრულობის უმადლეს კრიტერიუმად მიაჩნდა აბსოლუტური ორიგინალობა. ფ. შლეგელს საბოლოო განაჩენი გამოაქვს კლასიციკლური ლიტერატურული თეორიისათვის: „სქოლასტიკურად აღჭურვილი, მკაცრად მოითხოვდა იგი უცილობელ დამორჩილებას თავისი თვითნებური, აშკარად უაზრო კანონებისადმი ან აღმერთება გენიას მისტიკური წინასწარმეტყველებით, გადააქცევდა ხელოვნურ უკანონობას პირველსაფუძვლად და ამაყი ცრუმორწმუნეობით თავყვანს სცემდა არაიშვიათად სავსებით ორაზროვან გამოცხადებებს“ (ტ. I, გვ. 94). ამოდ ცდილობდა ასეთი თეორია-წესების საშუალებით შეექმნა ცოცხალი ნაწარმოებები. განა შეეძლო ამ თეორიას მოეტანა რაიმე სარგებელი, თუ მას აქამდე ვერ მოუხერხებია მოეცა პოეზიის ბუნების სწორი ახსნა, ვერ გაურკვევია, საერთოდ, ხელოვნების დანიშნულება? ფ. შლეგელის აზრით, ესთეტიკურ სისტემებში შექმნილია ქაოსი, ყველაფერი დამოკიდებულია შემთხვევაზე. ფ. შლეგელი ამჩნევს, რომ ის ანარქია, რომელსაც იგი ხედავს ესთეტიკურ თეორიაში და მხატვრულ პრაქტიკაში, ვრცელდება აგრეთვე თანამედროვე პოეზიის ისტორიაზეც: „უნებისუფობა ჩანს თანამედროვე პოეზიის ხასიათად, ქაოსი — მთელი მისი მასის საერთო ნიშნად, კანონების არქონება — მისი ისტორიის სულსკვეთებად, სკეპტიციზმი — მისი თეორიის შედეგად. თვითმყოფად თავისებურებებსაც კი არ აქვთ გარკვეული მკაფიო საზღვრები“ (ტ. I, გვ. 95). ამ ლაბირინთიდან თავის დაღწევა ფ. შლეგელს მიაჩნდა შესაძლებლად. თუ ჭერ დადგენილი იქნებოდა თანამედროვე პოეზიის ფორმირების პრინციპი, რომელიც, შესაბამისად, გაადვილებდა მისი ამოცანის დადგენასაც.

ბაირონისათვის გავრანებული, დაცარიელებული იყო პარნასი, ხოლო კლასიციკლური პოეზია წარმოდგენილი ჰქონდა მუზის შემარცხვენელ პოეზიად. თავის ნოვატორულ ნაწარმოებს — პოემას „ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობას“ ბაირონი ასე იწყებს: „ო, შენ, ელადში ზეციური წარმოშობით ცნობილი მუზავ! შექმნილო თუ მოგონილო პოეტის ნება-სურვილით! მას შემდეგ სავსებით შერცხვენილო არაერთხელ ამქვეყნად გვიანდელი ღირებით, ჩემი ღირა ველარ გიბედავს მოგიზმოს პარნასის წმინდა ბორცვიდან“. მოგზაურობისას პოეტს უნახავს პარნასის „ქებული ნაკადული“ — კასტალის წყარო, რომელიც, ლეგენდის მიხედვით, პოეტურ აღმაფრენას შთააგონებდა იმას, ვინც დაეწაფებოდა მას. პოეტი შესულა აგრეთვე დელფოსის ტაძარში, „სადაც, უსუსური შადრვენის გარდა, ყველაფერი სდუმს“. ასეთ ვითარებაში, როგორც ამბობს პოეტი, „არც ჩემს ღირას შეუძლია გაადვიდოს ცხრა დაღლილი მუზა“. ბაირონს, როგორც რომანტიკოსს, ახალი ღირა უნდა აეცდრებინა, მუზის ღირსება რომ დაეცვა, გამოეცოცხლებია პარნასი, აღედგინა დელფოსის ტაძარი აპოლონისა, მუზათა წმინდა ადგილი.

საგულისხმოა, რომ ფ. შლეგელს ერთ მთლიანობად მიაჩნდა, საერთოდ, ევროპული კულტურის, კერძოდ, პოეზიის წარმოშობა-განვითარების პროცესი, რაც იმის უფლებას იძლევა, რომ ევროპული რომანტიზმი განვიხილოთ როგორც ერთი მთლიანი კულტურული მოძრაობა, რა თქმა უნდა, ეროვნული თავისებურებების გათვალისწინებით. ფ. შლეგელი წერდა: „სწორია, რომ ცალკეულ ერთა მთელი თავისებურებისა და განსხვავებულობისას ხალხთა ევროპული სისტემა ამჟღავნებს მანამდელ ეპოქათაგან შემორჩენილ ნაკვალევში თავისი კულტურის ერთნაირ და საერთო წარმოშობას ენების, კანონების, ზნე-ჩეთლებების და დებულებების აშკარად მსგავსი სულისკვეთების წყალო-

ბით. ამას ემატება კიდევ საერთო რელიგია, რომელიც საესეებით განსხვავდება სხვა დანარჩენებისაგან“. თანაც ეს ერები შინაგანად ისე მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და იმდენად საგრძნობია მათი ურთიერთზეგავლენა, რომ მათი მთავარი მოქმედება, ისინი შეადგენენ ერთ მთლიანობას. ფ. შლეგელიც აკეთებს შესაბამის დასკვნას: თუ თანამედროვე ევროპული კულტურა საერთოდ, ასევე საერთოდ, ერთ მთლიანობას წარმოადგენს თანამედროვე პოეზიაც. როგორც იგი აღნიშნავს, ევროპის ყველაზე დიდი და ყველაზე კულტურული ზღვრები გამუდმებით მიბაძვდნენ ერთმანეთს. იტალიური, ფრანგული და ინგლისური ლიტერატურები დესპოტურად განსაზღვრავდნენ დანარჩენი ევროპის გემოვნებას. გერმანია კი ვახიცილიდა უცხოურ ზეგავლენას, ხოლო თავისას ვეღარ იძლეოდა, სანამ „ტოტალურმა რევოლუციამ საესეებით არ შეცვალა ევროპული სამყაროს ფორმა“ (ტ. I, გვ. 98).

თანამედროვე პოეზიის ძირითად დანიშნულებად ფ. შლეგელს მიაჩნია ნებისმიერი პოეზიისათვის დამახასიათებელი უმაღლესი მიზანი. იგი განმარტავს: „მაგრამ უდავოდ უმაღლესი არასოდეს არ შეიძლება იყოს მიღწეული. ყველაზე უფრო დიდი, რაც მისაწვდომია შემოქმედებითი ძალისათვის,—ეს არის სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდას ამ მიუღწევად მიზანს“. ეს კი არის „უსასრულო მიახლოების“ პროცესი. ხელოვნების გამოცოცხლება, ნამდვილი გემოვნების აღდგენა კი „მხოლოდ უცაბედი ნახტომით“ თუ შეიძლება, ვიდრე „წინსვლითი მოძრაობით“. ობიექტური არის სასრული და მისი მიღწევა კი დასრულებას, შეჩერებას, გაყინვას ნიშნავს: „რადგანაც ობიექტური უცვლელია და მდგრადი, და თუ ხელოვნებამ და გემოვნებამ უნდა მიადგინოს ობიექტურობას, მაშინ ესთეტიკურ კულტურას მოუხდებოდა გაყინვა. მაგრამ წარმოუდგენელია, რომ ესთეტიკური კულტურა საესეებით შეჩერდეს. თანამედროვე პოეზია გამუდმებით შეიცვლება“. მაგრამ მისი ფორმირება, განვითარება და საბოლოო წარმატებები მხოლოდ შემთხვევის ხედრი იქნება. ფ. შლეგელი მაინც გამოთქვამს იმედს: „მხოლოდ მომავალში მომხდარი კეთილშეიშვითი გადატრიალების ლოდინს შეეძლება დააშოშმინოს ჩვენი შემოფთება ესთეტიკური კულტურის ახლანდელი მდგომარეობის გამო“ (ტ. I, გვ. 117).

ფ. შლეგელის ცნობილ 116-ე ათენეუმისეულ ფრაგმენტში ვრცელადაა განხილული რომანტიკული პოეზია ისე, როგორც ეს ესმოდათ აენის წრის რომანტიკოსებს. ძველის ნგრევა-მსხვრევის და ახლის დინამიკური განვითარების თანამედროვე რომანტიკოსები სინამდვილეს აღიქვამდნენ როგორც უსასრულო და მარადიული განვითარების გამოვლინებას, ყველაფერში ხედავდნენ უწყვეტი ცვალებადი განვითარების პროცესს. შესაბამისად, საესეებით გასაგებია, რომ თანამედროვე (რომანტიკული) პოეზია ფ. შლეგელს წარმოადგენილი ჰქონდა როგორც განვითარებადი „პროგრესული უნივერსალური პოეზია“, რომელიც უნდა დაუახლოვდეს ფილოსოფიას: „რომანტიკული პოეზია არის პროგრესული უნივერსალური პოეზია. მისი დანიშნულებაა არა მხოლოდ კვლავ გააერთიანოს პოეზიის ყველა გამოცალკევებული ჟანრი და პოეზია, კვლავ მოიყვანოს შეხებაში ფილოსოფიასთან და რიტორიკასთან. მას სურს და უნდა აგრეთვე ხან შეუერთოს, ხან კი გააერთიანოს პოეზია და პროზა, გენიალობა და კრიტიკა, მსატრეული პოეზია და ბუნებრივი პოეზია, გახადოს პოეზია ცოცხალი და თანაზიარი, სიცოცხლე და საზოგადოება პოეტური“. როგორც ფიქრობს ფ. შლეგელი, „მხოლოდ მას, ეპოსის მსგავსად, შეუძლია გახდეს მთელი გარემომცველი სამყაროს სარკე, ეპოქის სახე. და მაინც მას შეუძლია აგრეთვე უმეტესად დაფრინავდეს პოეტური რეფლექსიის ფრთებზე შუაში ასასახავლად და ამსახველს შორის, თავისუფალს ყოველგვარი რეალური და იდეალური ინტერესისგან, სულ უფრო და უფრო ამოტენციერდეს ამ რეფლექსიის და ამრავლებდეს სარკეთა უსასრულო რიგს. მას აქვს უმაღლესი და ყველაზე მრავალმხრივი შექმნის უნარი; რად მხოლოდ შიგნიდან გარეთ, არამედ აგრეთვე გარედან შიგნით“. რომანტიკულ პოე-

ზიას ფ. შლეგელი უპირისპირებს პოეზიის სხვა სახეებს, რომლებიც „არაიან დასრულებული და ახლა შეუძლიათ საცნებოთ იქნენ გაანალიზებული“. მაგრამ, როგორც ფიქრობს ფ. შლეგელი, ახალი პოეზია ჯერ კიდევ არ არის შექმნილი გამოხატული: „~~არაა შექმნილი~~“⁵ კული პოეზია ჯერ კიდევ გახდომის პროცესშია; დიახ, ეს არის მისი საკუთარი განცხადება, რომ მას შეუძლია ამოწურული იქნეს რაიმე თეორიით, და მხოლოდ წინასწარმეტყველური კრიტიკა თუ შეძლებდა გაგებდა დაეხასიათებინა მისი იდეალი. იგი ერთადერთია უსასრულო, აგრეთვე ერთადერთი თავისუფალი, ხოლო თავის პირველ კანონად აღიარებს იმას, რომ პოეტის თვითნებობა არ ცნობს კანონს თავისთავზე. რომანტიკული პოეზია ერთადერთი პოეზიაა, რომელიც არის უფრო მეტი, ვიდრე სახე და არის ასევე თვით პოეზიის ხელოვნება: რადგანაც გარკვეული აზრით ყველა პოეზია არის ან უნდა იყოს რომანტიკული“.⁵

ნოვალის შემოაქვს ცნება „ტრანსცენდენტური პოეზიისა“, რომელიც, მისი აზრით, არის ფილოსოფიაც და პოეზიაც. ეს იმით, რომ „არსებითად იგი მოიცავს ტრანსცენდენტურ ფუნქციას და სინამდვილეში შეიცავს საერთოდ ტრანსცენდენტურს“ (ფრაგმენტი 1834-ე).⁶ ასეთ პოეზიას, ბუნებრივია, სჭირდება „ტრანსცენდენტური პოეტი“, რამეთუ თვით ადამიანი ტრანსცენდენტურია: „ტრანსცენდენტური პოეტი არის საერთოდ ტრანსცენდენტური ადამიანი“. მაშინ სამყაროც ტრანსცენდენტურია, მიღებულია, შესაბამისად, უსასრულოა დროსა და სივრცეში. ადამიანის ცხოვრებაც, მისი ამქვეყნად ყოფნაც სასრული, „შექმნილია“: „სიცოცხლე მოცემული კი არა, არამედ ჩვენს მიერ შექმნილი რომანი უნდა იყოს“ (ფრაგმენტი 1837-ე, ტ. III, გვ. 13). ნოვალის აზრით, ხელოვნებასა და ბუნებას ერთი და იგივე კანონზომიერებები აქვთ და ერთმანეთს აესებენ. მხოლოდ სასრული „ბუნება უნდა გახდეს ხელოვნება, ხელოვნება კი მეორე ბუნება“ (ფრაგმენტი 2386-ე, ტ. III, გვ. 163). ნოვალის კარგად ესმის, რომ პოეზიის არსის განსაზღვრება მთელ რიგ სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ყოველი მხატვრული ნაწარმოები ცოცხალი ინდივიდუალია. ხოლო ჩვენს ირგვლივ ამოუწურავი მასალა ახალი ინდივიდუალური კომბინაციებისათვის. ვინც კი გაიგო ეს საიდუმლოება, იძულებული შეიქმნა უარი ეთქვა უსასრულო მრავალფეროვნებაზე და მის დატკობაზე: „მაგრამ ამ გადაწყვეტილებას უჯდება უსასრულო სამყაროს თავისუფალი შეგრძნობა და მოითხოვს შეზღუდვას მისივე ცალკეულ მოვლენაზე“ (ფრაგმენტი 1846-ე). „ჩვენი მიწიერი ყოფის“ ასახვით შეზღუდულია პოეზიის შესაძლებლობანი. მხოლოდ „პოეზია გახსნის უცხო ყოფიერებას საკუთარ ყოფიერებაში“ (ფრაგმენტი 1847-ე, ტ. III, გვ. 22). მაშასადამე, „უცხო ყოფიერება“, როგორც ჭეშმარიტი რეალობის ექვივალენტი, არის პოეზიის ობიექტი: „პოეზია არის ნამდვილად აბსოლუტურად რეალური. ეს არის ჩემი ფილოსოფიის არსი. რაც უფრო პოეტურია, მით უფრო ნამდვილია“. — განმარტავს ნოვალისი (ფრაგმენტი 1853-ე, ტ. III, გვ. 23). როგორც ფ. შლეგელი, ნოვალისიც ფიქრობს ახალი პოეზიის შექმნაზე; „მომავალი ტრანსცენდენტური პოეზიისათვის შეიძლება გვეწოდებინა ორგანული პოეზია“, — ამბობს იგი (ფრაგმენტი 1902-ე, ტ. III, გვ. 44).

როგორც ვხედავთ, რომანტიკოსებისათვის პოეზია ამოუცნობელ საიდუმლოებად რჩებოდა, რაც ნაყოფიერი ნიადაგი აღმოჩნდა მისტიკისათვის. ვაკენროდერსაც სჯეროდა ხელოვნების ტრანსცენდენტური ბუნებისა, მიაჩნდა, რომ „ხელოვნების ჯადოსნური სასაზღე“ ფართოდ აღებს კარს იდილიური ნეტარების სამყაროში შესასვლელად, სადაც ყველაფერი ამაღლებული, ღვთაებრივია. შესაბამისად, იგი აღიარებს „ხელოვნების ღვთაებრიობას“.⁷ ღმერთების ენად მიაჩნდა ა. ვ. შლეგელს პოეზია, რომელიც მას წარმოდგენილი ჰქონდა როგორც „ზეციური გამოცნადების გადმოცემელი, ღმერთების

ენა⁸, აღრეული პერიოდის რომანტიკოსებთან ასე უახლოვდებოდა ხელოვნება, პოეზია რელიგიის. ფ. შლეგელს კი მიზნადაც ჰქონდა დასახული შეექმნა ახალი მითოლოგია, ახალი რელიგიური რწმენა. 1798 წელს იგი წერდა ნოვალის იმის შესახებ, რომ მას სურს გაკვეცს მუჰამედისა და ლუთერის კვალს და დაწეროს ახალი ბიბლია.

ნოვალისი ასე ცდილობდა აეხსნა პოეზიის იდუმალება: „ჩვენში ჩასმულია პოეზიის გაგების განსაკუთრებული უნარი, რაღაც პოეტური განწყობილება. პოეზია უაღრესად ინდივიდუალური მოვლენაა, ამიტომაც შეუძლებელია აღწერო იგი, ან მისცე განსაზღვრება. იმას, ვინც უშუალოდ არ იცის და ვერ გრძნობს პოეზიას, მას შეუძლებელია აუხსნა. რა არის ეს. პოეზია არის პოეზია“.⁹ ხოლო ლ. ტიკი შემდეგნაირად განმარტავდა პოეზიას: „პოეზია სხვა არაფერია, თუ არა თვით ადამიანის სული მთელი მისი სიღრმით, ის უცნობი არსი, რომელიც მუდამ დარჩება საიდუმლოებად, რომლის გამოხატვის ხერხები უსასრულოა, ცნება, რომელიც სულ უფრო გაიხსნება და ისევ ამოიწურება, რომ გარკვეული დროის შემდეგ გამოვიდეს განსაზღვრული და გარდაქმნილი სახით“.¹⁰

ინგლისელ რომანტიკოსებსაც ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ პოეზიაზე. ნაწარმოებში „ყველა რელიგია ერთია“ ზღვიკი ამბობს, რომ პოეტის სიმღერა არის „უღბანოში მკვირალის ხმა“. უორდსუორთის და კოლრიჯის „ლირიკული ბალადების“ შესავალში ნათქვამია: „ყველა კარგი პოეზია არის მძლავრი შეგრძნებების სტიქიური ნიაღვარი“. თავის წერილებში ბაირონი ლაპარაკობდა პოეზიაზე როგორც „წარმოსახვის ლავაზე, რომლის ამოფრქვევა წინ უსწრებს მიწისძვრას“. ტრაქტატში „პოეზიის დაცვა“ შელი ადარებს პოეტს ბუღბუღს: „პოეტი არის ბუღბუღი, რომელიც ზის წყვილიაღში და მღერის, რომ მიესალმოს თავის განმარტობას ტკბილი ბგერებით“.

„ლირიკული ბალადების“ მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში (1800) უილიამ უორდსუორთი ეყრდნობა არისტოტელეს დებულებას იმის შესახებ, რომ პოეზია არის სიბრძნის ერთ-ერთი სახეობა. მისი აზრით, პოეტის მიზანია ბუნებისა და ადამიანის ურთიერთმიმართების გარკვევა. ბუნების ყველაზე წმინდა და ყველაზე მნიშვნელოვან თავისებურებათა პოეტური გადმოცემა. პოეტი არა მხოლოდ მღერის სიმღერას, არამედ იძლევა აგრეთვე ბუნების, ადამიანის ცოდნას: „პოეტი ძღერის სიმღერას, რომელშიც ყველა ადამიანური არსება ერთიანდება მასთან, ტკბება მოცემული სიმართლით. პოეზია არის ყველა ცოდნის სულთქმა და უფრო ნატიფი სული“.¹¹

უ. უორდსუორთისათვის პოეზია ადამიანური ბუნების მომწესრიგებელია, ჩაქსოვილია მასში ადამიანთა ურთიერთობა, სიყვარული, დედამიწა და ამინდი, ენა და მეტყველება, კანონები და ზნე-ჩვეულებანი. პოეტი პოეზიის მეშვეობით ქმნის „ადამიანური საზოგადოების უზარმაზარ სამეფოს“ ყველა დროსა და ყველა ადგილისათვის. პოეტი ყველგანაა, ყველგან პოულობს გრძნობათა სამყაროს, „რომელშიც უნდა ამოძრავებდეს თავის ფრთებს“. უორდსუორთი კვლავ უსვამს ხაზს იმას, რომ პოეზია ცოდნის ღირსეული დარგია: „პოეზია არის ყველა ცოდნისაგან პირველი და საბოლოო — იგი უკვდავი ადამიანის გულივითაა“. (გვ. 149).

ჯონ კიტისის აზრით, პოეტი ღვთაებრივ ნებას კი არ გამოხატავს, არამედ ხედავს და გრძნობს სხვა ადამიანებისაგან განსხვავებით უფრო ცოცხლად და ამის წყალობით შეუძლია უფრო ღრმად გაიგოს სამყარო. ლექსში „პოეტი“ იგი ამბობს: „მისი თვალისთვის ბუნების საგანთა ნაჭუჭი სავსებით იხსნება, გული რომ აჩვენოს, ყოველი იდუმალი არსი ავლენს სიკეთის, სიმშვენიერის ნაწილს, შეახედვინებს მას იქ, სადაც განსწავლულობას არა აქვს შუქი“.

პოეზიის გაგებაში მიდრეკილება მისტიკურისადმი ახასიათებდა ფრანგ რომანტიკოსებსაც. პოეტური კრებულის „ოდეები და ბალადები“ წინასიტყვაობაში (1822) ჰიუგო

წერდა: „პოეზიის სფერო არის უსაზღვრო. რეალური სამყაროს ქვეშ არსებობს იდეალური სამყარო, რომელიც ბრწყინვალედ ეჩვენება იმათ თვალს, დაჩვეული რომ არიან სერიოზულ ფიქრებს, დიანახონ ნივთებში მეტი, ვიდრე ნივთები“.12 თუმცა, ^{წინააღმდეგობა} ბობს, რომ „ხელოვნების მიზანი არის თითქმის ღვთაებრივი“,13 მაგრამ ეს არ ნიშნავს იდენტურობას ხელოვნებასა და რელიგიას შორის, როგორც ამის დამტკიცებას ცდილობდნენ გერმანელი და ინგლისელი რომანტიკოსები.

პოეზიის ღვთაებრიობის შესახებ ლაპარაკობს ლამარტინიც: „ეს არის განსახიერება იმისა, რომ ადამიანი უფრო ინტიმურია გულით და უფრო ღვთაებრივი გონებით, იმისა, რომ ხალხს ბუნებას აქვს უფრო დიდებული სახეებში და უფრო მელოდიური ხმებში“14 ლამარტინი გამოხატავს თავის „მტკიცე და ურყევ რწმენას, რომ ფილოსოფიური სისტემები, რელიგიები, პოეზიები სხვა არაფერი ყოფილა, თუ არა უსასრულო ყოფასთან ჩვენი დამოკიდებულების მეტნაკლებად სრული გამოვლინებანი“ (გვ. 420). იგი გამოთქვამს იმედს, რომ პოეზიას შეუძლია ადამიანი დაუკავშიროს ღვთაებას.

როგორც ვხედავთ, პოეზიის აპოლოგიის არისტოტელესეული კონცეფცია ამა თუ იმ სახით თავს იჩენდა პოეზიის განვითარების ყველა მნიშვნელოვან ეტაპზე. „პოეზიის დაცვის“ პრინციპით იქმნებოდა აგრეთვე ტრადიციებზე დაყრდნობილი ნოვატორული რომანტიკული პოეზია, რომელმაც ღრმა კვალი გაავლო მხატვრული ლიტერატურის განვითარებაში, მაღალმხატვრული პოეტური შედეგებით კიდევ ერთხელ დაადასტურა პოეზიის სარწმუნო შემეცნებითი და ესთეტიკური ღირებულება.

შ ე ნ ი შ ნ ი ბ ე

1 „რომანტიკოსთა წერილები“. გამოც. ფრ. გუნდელფინგერის მიერ. იენა, 1907, გვ. 179 (გერ. ენაზე).

2 ნოვალისი. თხზ., ტ. II, გვ. 89-90 (გერ. ენაზე).

3 „ხელოვნებათა ლიცეუმი“, ტ. I, ნაწ. 2. ბერლინი, 1797, გვ. 133-169; „ათენეუმი“, ტ. I, ნაწილი 2. ბერლინი, 1798, გვ. 3-146 (გერ. ენაზე).

4 Шлегель, Фридрих. Критические фрагменты. — Эстетика, философия. Критика, т. I. М., 1983, с. 284.

5 ათენეუმი. პირველი ტომის პირველი ნაწილი. ლაიპციგი, 1984, გვ. 75-76 (გერ. ენაზე).

6 ნოვალისი, თხზ., წერილები, დოკუმენტები, ტ. III. ჰაიდელბერგი, 1957, გვ. 18. (გერ. ენაზე).

7 ვაკენროდერი. ხელოვნების მოყვარული ბერის გულის გადაშლა. — გერმანული ლიტერატურა განვითარების სერიებში. რომანტიზმი, ტ. III. ლაიპციგი, 1931, გვ. 87.

8 შლეგელი ა. ვ. რჩეული თხზულებები, ტ. I. 1846, გვ. 263.

9 Новалис. Фрагменты — В сб. «Литературные манифесты западноевропейских романтиков». Изд-во Московского университета, 1980, с. 106.

10 Тик Л. «Любовные песни немецких миннезингеров» — Там же., с. 108.

11 პოეტები პოეზიის შესახებ. ნიუ-იორკი, 1962, გვ. 148 (ინგლ. ენაზე).

12 პიუგო. ოდები და ბალადები. — რჩეული თხზულებები. პოეზია, ტ. I, გვ. 6, (ფრანგ. ენაზე).

13 პიუგო. „კრომველი“. — რჩეული წერილები თეატრის შესახებ, ტ. I, გვ. 437 (ფრანგ. ენაზე).

14 ლამარტინი. პოეზიის ბელი — თხზ., გვ. 387.

მუდმივი პრეტენზია

სამოცდაათიან წლებში ქართველ მწერალთა ახალი თაობა მოვიდა. მათ შორის უნდა ვიგულოთ პოეტი ზაალ ებანოძეც. ნუ შეგვაშინებს ის ფაქტი, რომ იგი ქუთაისში მოღვაწეობს. ჩვენი საუკუნის გარიჟრაჟზე ეს ქალაქი ქართული პოეზიის მექა იყო და თუ შემდგომ დათმო პოზიციები, ეს დედაქალაქში დიდი „გადასახლების“ გამო მოხდა. მიუხედავად ამისა, ქუთაისში ჯერ კიდევ ფეთქავს ქართული პოეზიის ძარღვი. ვინც სისხლბორცეულად დაინტერესებულია ქართული კულტურის ხვალისდელი ბედ-იღბლით, ვალდებულია მის მაჩისცემას საქართველოს პერიფერიებშიც მიუგდოს ყური, რომლის უტყუარი არსებობა ზაალ ებანოძის ლექსებითაც დასტურდება, რომელიც, როგორც ზემოთ ვთქვით, სამოცდაათიან წლებში მოსული მწერლების ერთ-ერთი თვისებრივად კოლორიტული წარმომადგენელია და თავისებური ფუნქცია შეასრულა თავისი თაობის შემოქმედებითი სახის წარმოჩენაში.

მიუხედავად ამისა, მე მაინც ვფიქრობ, რომ ზაალ ებანოძე, როგორც პოეტი, ჯერ-ჯერობით ჩრდილში დგას.

საბედნიეროდ, ამ მოსაზრებას კონკრეტულად ეწინააღმდეგება მისი ახალი წიგნი, რომელიც „ნაკადულმა“ გამოცდა. იგი არ არის ბედნიერი გამონაკლისი, რადგან ამ გამოცემლობაში ბოლო დროს პერიფერიულ ანუ არაპრივილეგირებულ ავტორთა სხვა წიგნებიც გამოიცა. რაც, დარწმუნებული ვარ, თავის დროზე დაფასდება, ამჯერად კი ჩემი მიზანია ზოგადად ზაალ ებანოძის პოეზიის თავისებურებაზე და კონკრეტულად მის ახალ წიგნზე ვისაუბრო.

ამ საგანზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლი იმ სიახლეებს, სამოცდაათიანმა წლებმა რომ მოიტანა ქართულ პოეზიაში, რადგან მისი მონაწილე ზაალ ებანოძეცაა. საქმე ისაა, რომ სამოცდაათიან წლების საზოგადოებრივი ცხოვრების მშვიდმა ატმოსფერომ თავისი კვალი დააჩინა ქართულ პოეზიას.

მართალია, ორი ათწლეული მწერლობაში დროის არც თუ ისე დიდი მონაკვეთია და მათ შორის ჩინური კედლის აღმართვა არ შეიძლება. ჩემი აზრით, აქ მთავარი მაინც ისაა, რომ სამოცდაათიან წლებმა ახალი სამოსი შეუკერა ლირიკულ პოემას. იგი თავისთავად ქართულ პოეზიაში არც ძველია და არც ახალი, მაგრამ გარკვეული ზემოქმედება მოახდინა ქართულ პოეტურ აზროვნებაზე, რომლის მთავარ მიღწევად მიმაჩნია ო. ჭილაძის „თავო და ზაზა“, ტ. ჭანტურიას „სპილოების სასაფლაო“ და ბ. ხარანაულის „ხეივანი თოჯინა“. მათ გვერდით სხვა ავტორთა ნაწარმოებებიც ვამოქვეყნად, მაგრამ 70-იანმა წლებმა ახალი ესთეტიკური იდეალი მოითხოვა. სწორედ ეს არის იმ იდეალის ეროვნული არც თუ ისე გამოკვეთილი, მაგრამ მაინც ახალი პერიოდი. სულაც არა მაქვს მხედველობაში ვერლიბრი და მასთან დაკავშირებული ვერსიფიკაციული ამბიციები. ამით სულაც არ ვამდაბლებ მის როლს. მხოლოდ იმისი თქმა მინდა, რომ ბოლოს და ბოლოს თუ ღრმად ჩაუყვავრდებით, ისიც ტრადიციულია. ამიტომ მის მიღება არ მიღებაზე ლაპარაკი უადგილოდაც მესახება.

ზაალ ებანოიძე და მისი თაობა მოკლებულია ყალბ ვნებათა ღელვას. ლირიკულმა ამაღლებულობამ ადგილი დაუთმო სიმყუდროვისა და სიმშვიდის ატმოსფეროს. ნერვულა იდეურ-ესთეტიკური მასალა, დაიხვეწა პოეტური აზრის მოძრაობა. თვისებებს ადვილად შეამჩნევს დაკვირვებული თვალი ზაალ ებანოიძის ლექსებშიც, რომელიც როგორც უკვე ვთქვით, დღევანდლობის ერთერთი მყარი და საინტერესო შენაგდია. განსაკუთრებით ბევრი ფიქრი აღმიძრა პოემამ „ოცნე“, რომელიც ჩემთვის, გეტყვი, მოულოდნელი იყო, ჯერ ერთი, რომ ლირიკულმა პოემამ ოთხმოც-ან წლებში შესამჩნევად დათმო პოზიცია, თითქმის მიწილდა აუთოტაჟი, კინაღამ მოდად რომ აქცია იგი და მეორეც, ზაალ ებანოიძის ლექსებისათვის დამახასიათებელი მოზაიკურ-საბუნებრივი სისტემა პოემის შექმნის საფუძველს თითქოს არ იძლეოდა.

ახლა ზაალ ებანოიძის პოემა ლიტერატურული ფაქტია და, დარწმუნებული ვარ, გარკვეული წლების შემდეგ, როცა დრო შეაჯამებს ათწლეულებს და მასთან ერთად ლირიკული პოემის ფუნქციის ჩვენს პოეზიაში, იგი არ დარჩება უყურადღებოდ.

ყველაფერი ბუნებრივად და მარტივად დაიწყო, პოემის ლირიკული პერსონაჟი და „ავტორის მე“ ორგანულად უკავშირდება ერთმანეთს. პოეტის „ალტერ ეგო“ ტიპიური სახეა, რომელიც ისეთ სამყაროში ზღვდება, სადაც „დარდისთვისაა ყველაფერი გაჩენილი“, მაგრამ მაინც დიდია „მწუხარებისაგან თავის დახსნის სურვილი“. ამ ფონზე მიგნებულადაა გააზრებული ბიბლიური ევას სიმბოლიკურ-ალეგორიული სახე. პატარა დაბა ბიბლიურ ედემს გავს, რომელსაც ყოფითი დეტალებით ვეცნობით და რომლის სახელს ავტორი შეგნებულად და მართებულად არ გვიმხელს. ეს ის ქალაქია, რომელზეც თქვა მურმან ლებანიძემ „შენ ამ ქალაქში რა გინდა, პატარა თამუნია“. იგი ერთ-ერთ ნოველაში მიხეილ ჯავახიშვილმა აკუბოს შეადარა. ქალაქს ორი სასაფლაო აქვს (შესასვლელში და გასასვლელში) ერთი მოქმედი, ერთიც — გაუქმებული: „ფიქრების მიღმა მიწიერს და ზეციერს შორის, მწარე სიცხადის დგება კედელი და მხარზე გვადევს უხილავის ვეება ტორი, წუთისოფელთან იძულებით შემრიგებელი“.

ასეთ სამყაროში მოხვედრილი ადამიანის ოპტიმიზმი ბუნებრივია, რადგან „ადვას გვირგვინად ევას ქალობა, ამ სამყაროში დედამიწის ერთადერთობას“. დედამიწის ერთადერთობა სიცოცხლის მარადისობის სინონიმია და მისი საწყისია ევა, ამ შემთხვევაში დედა — სიკეთისა და სიცოცხლის სათავე.

ბილიკს მიჰყვება კაცი, ბილიკის თავთან დვას ლამაზი ქალი, სადაც არც სამოთხის ვაშლები და არც „ლევდი დნება თაფლის კურცლებად“. ამიტომ ადამისა და ევას შეცდომა შემთხვევით არ განმეორდება. პოემის მთელი ხერხემალია მესამე თავის ბოლო სტრიქონები:

ამ დროს ძირს, ხევში, პატარა ქალაქს
„წყნარი საათი“ — სუდარა თეთრი
ახურავს ძალად, ახურავს ძალად
და ოფლიანი აწუხებს მკერდი.
სძინავს ავადმყოფს... ივსება მთვარით
პალატა, ერთ დროს მე რომ ვსახლობდი,
და მხოლოდ მაშინ იცვალა მხარი,
ცეცხლად ანთებულ გოგოს როცა მიუახლოვდა.

ირკვევა, რომ ბილიკის თავზე მდგარ ქალს სიზმარში ხედავს ავადმყოფი, რომელიც იმ პალატაშია, სადაც ოცი წლის წინ ავტორი იწვა. სიზმარის სცენაც ავადმყოფ-

ფის აუტანელი, მაგრამ რეალური სურვილი, ხოლო დასკვნით სტრიქონებში წარმოსახული ადამისა და ევას შეცოდების იდენტური მომენტი სიცოცხლის გაგრძელების სინონიმია. ავადმყოფის გამოღვიძების სურათმა და მისმა მიწიერმა ფიქრებმა მწიფე მცირე ლირიკული გადახვევა, რომელიც უბრწყინვალესი სტრიქონებით დასრულდება: „შეზინდებისას დანთებულ ღვინის ღილაგზე ატანა და მერე, გზაში ღიღინი: „პატარავ, ჩემო პატარავ!“ ამის შემდეგ იწყება ვერლიბრი. ეს კი იმ ადამიანებზე ფიქრმა განაპირობა, რომლებიც ველარასოდეს დაბრუნდებიან, ბუნებრივია, არ გემლერება და თვით ათქმელმა იპოვა თავისი ფორმა.

მაგრამ იმედი?

„იმედი სიტყვაა, თავისთავად აბსტრაქტული მცნებაა, მაგრამ ზოგჯერ სხეულს შეისხამს, თეთრ ხალატს მოირგებს და ხალხში დადის“. მკურნალი ექიმები გივი წულეისკირი, ჯონდო და არჩილ მხეიძეები, გიორგი ცასკარიშვილი დროულად შემოიყვანა ავტორმა და ამით იმედის სხივი აანთო. აქვეა ყანობილის მთა და ობსერვატორია — დედამიწის სარკე. აქ არის ხალხი, ვისაც თვალი უჭირავს ცისკენ. „ვის ვესიზმრებთ, ვინ გვესიზმრება?“ — აი, კითხვა, რომელიც საგულდაგულო პასუხს თხოულობს. ეს ისეთი კითხვაა, რომელთა პასუხი რჩეულთა წილხვედრია და ამ დროს გაისმის: „მე ყვავილები მესიზმრებოდა და მე ყვავილებს ვესიზმრებოდა“. ეს გალაკტიონია. მაგრამ სად წაიდა, იქნება გაშალა ხელები და გაფრინდა? ამიერიდან იგი ყველგანაა, მიწაზე, ცაში, კოსმოსურ სამყაროში, ყვავილში, ფოთოლში, ყველა ბალახში...

პოემის მეექვსე თავი ზოგადად სინამდვილისა და კონკრეტულად საკუთარი სინამდვილის სულიერი განცდის დრამატული აღქმაა. ამით პოეტმა გვაგრძნობინა საოპერაციო მაგიდაზე მყოფი ადამიანის სულიერი მღელვარების მძაფრი კოლოზები, რისთვისაც მაღალმატერული გამომსახველობითი საშუალებებია გამოყენებული. ეს ისეთი განცდაა, რომლის გამოგონება ან მეორე პირის სულის დაფიდან გადმოწერა არ შეიძლება. იგი საკუთარი სულის შრეებში უნდა წარმოიქმნას. სხვა შემთხვევაში ასეთი სტრიქონები არ დაიწერებოდა.

მათ აქვთ სიბო, სინათლე, მძლავრი ექსპრესია. სამწუხაროდ, არ გვაქვს მისი მთლიანი ციტირების საშუალება, იგი საკმაოდ დიდია, თორემ ბევრ რამეს ეტყოდა მკითხველს:

თოვდა და — არვის ციოდა,
წვიმდა და — ბალახზე ნამი
არ იდგა... მზე ამოდოიდა
და მაინც კუნაპეტს თვალი
ვერ ჭრიდა, ხანძარი ღვოიდა
და ჭალებს იკლებდა ქარი;
და იქვე — ძლივს მიოდოიდა
ძეწნა და დაღალი ქალის.
ცა იდგა მომსწრე და მნახველი
მრავალი ასეთი უამის,
ხარობდა კვიდო და ძახველი —
წითელის მეზობლად — შავი;
ყვითელი კოცონი — იელის,
ჩამცხრალი გვიმრა და ნარი,
სუსტისგან დამფრთხალი — ძლიერი,
შეტევის მაგიერ ზავი.
ყველაფერს კერავდა იგავი,

ამ სოფლის თავი და თავი,
მე ამ დროს, გამოღმა ვიყავი
და როცა ჩამოწვა ზვავიც...
გაღმიდან უმაწვინი მორბოდა,
ორკაპით გადმოვლო ღელე,
სამარის პირდია ორმოდან
ლანდები უქნევდნენ ხელებს.

პოემა მთავრდება ლირიკული გმირის მაძიებელი ფიქრით სიცოცხლეზე, სამყარო-ზე, ბილიკებზე, რომლითაც დედამიწა დაკავშირებულია გარესსამყაროსთან:

კიდევ იქნება ამ დედამიწის გარდა
სადმე მწუხარი და მოღბინარი თვალი,
გადავწევთ როცა თეთრი წყვედიადის ფარდას,
თუ კოცონივით ამობრიალდა ქალი, —
მაშასადამე, სამოთხის ბაღიც ხარობს
და ახლოვდება იქაც ცთუნების წაში,
დაადგი შუქი, ღმერთო, სიცოცხლის წყაროს
და ჩემს გულისტქმას შენ დაადარე — ამინ!

მრავალფეროვანია ზაალ ებანოიძის პოეტური ტრანსფორმაცია, ჩემი აზრით, მაინც უმთავრესია სათქმელის მოკლე და მოზაიკურად გამოხატვა. აქ უნდა გავიხსენო მუხრან მაჭავარიანის სიტყვები: „ვრცელი პოეტური ნაწარმოებები მაინც და მაინც არ მხიბლავენ, თუ დიდი შინაარსით არ არიან დატვირთული. არა თუ პოემა, ბევრი ვრცელი ლექსიც ხშირად იმიტომ იწერება, რომ მათი ავტორები, მოკლებული არიან გადახაზვის ნიჭს. დაუკვირდით — სუსტი პოეტები იშვიათად წერენ პატარა ლექსებს“. ვფიქრობ ეს ციტატა ზაალ ებანოიძის სასარგებლოდაც ლაპარაკობს. აი, როგორი ლიკონიურობითა და მარტივით, მაგრამ ხატოვანი სტრიქონებით წარმოგვიდგინა პოეტმა საშობლოს დიდებული სახე. იგი სულ რვა სტრიქონია, მაგრამ უზარმაზარ სივრცეს მოიცავს:

შენ რა გამოგლევს,
სულ იმატებ და სულ დიდდები...
დაე, თავთავის არშინებით
გზომონ მგოსნებმა;
ხეზე რამდენიც დამხსილდება
მარტში კვირტები,
ჩემთვის იმდენი სამყარო ხარ
და საოცრება.

მე, როგორც მკითხველს, დიდი სიამოვნება მომანიჭა ლექსმა; რომელსაც „ტკბილ-მწარე უღელი“ ჰქვია და იმ წლებისა და სამყაროს ერთგვარი გამოხატულებაცაა, ზემოთ განხილული პოემა რომ უკარნახა. აქ არის მშობლიური იმერეთის ყოფითი სურათები, რამაც უნებურად დავით კაკაბაძე გამახსენა. ამ სტრიქონების კითხვისას თვალწინ ჩაივლის ლურჯი კონინდარი და ადგის თალარი, ქარში მოტორტმანე თხმელები, ბერნაობა-ლის ფერდობი, აქვეა ანდრიას ძეგლი ეზოც ხურმებითა და კოპიტებით.

გახსოვს? — სარეცელს მიჯაჭვული,
წერილს რომ გწერდი,

ეს იყო წინათ. გავიდა წლები:

ახლა აქა ვარ,
მაკავშირებს ყოველი ჩქამი
ამ წყალ-ქალებთან,
მის წარსულთან, დღესთან, ხვალესთან...
ღმერთო, სიზმარშიც ნუ მეღირსოს
ისეთი წამი,
რომ ამ ტკბილ-მწარე უღლისაგან
თავი დამეხსნას!

ზაალ ებანოიძის პოეზიის სახეთა სისტემა, ყოველი მისი მეტაფორა ბუნების წიაღში იმოსება, ბუნებაში გაბნეული საგნები და მათდამი დაქვემდებარებული მოვლენებია მისი ლექსიკის მასალა. ამიტომაც მისგან ყოველთვის შორსაა პუბლიცისტური, ანუ გამამხნევე-ბელი დაპირებები. ზოგიერთები ხმაურიანი ლექსებით ცდილობენ მკითხველის სულიერი ინტერესების გამოღვიძებას. ავიწყდებათ, რომ ზოგჯერ ხმაური უფრო აღუნებს ყურად-ღებას.

რამდენიმე წლის უკან შეკითხვაზე — „რატომ წერთ და რა სარგებლობა მოაქვს თქვენს შემოქმედებას?“ — ზაალ ებანოიძემ უპასუხა: „არასოდეს მიფიქრია დღემდე ამის შესახებ. რომ არ ვწერო, არ შემიძლია — ეს ვიცი მხოლოდ. ყოველი ახალი ლექსი წინამორბედზე უფრო უკეთესი მგონია, იმ დღეებში ცა და ქვეყანა ჩემად მიმა-ჩნია. ამაყად დაეაბოჯებ. მაგრამ... გაივლის ცოტა ხანი, გადაიწმინდება ემოციის ბურანი და დავდგებით მე და სინამდვილე პირისპირ.“

რა სარგებლობა მოაქვს ჩემს შემოქმედებას? რა ვიცი... მინდა ერთი ასეთი ეპი-ზოდი გავიხსენო. წლების წინ ჟურნალ „დროშაში“ ერთ ჩემს ახლობელზე, გულმარ-თალ მიწის მუშაზე და კაცურ კაცზე ბუქია ზიზანეიშვილზე ლექსი გამოვაქვეყნე. ერ-თი კვირის შემდეგ „ჯვარიან წიფლების“ საყანეებიდან ამბავი ამომიტანეს, ოთხად გაკეცილი ჟურნალი ბუქიას გულისჯიბეში უდევს და ისე კიდია გუთანსო“...

ამ სიტყვებში პოეტი უთუოდ გულწრფელია ზოგიერთ თანამოკალმესავით მაღალ მატერიკებზე როდი გვესაუბრება. არც გვირგვინოსან საბელებს აწუხებს. თავისი შე-მოქმედების სარგებლიანობაც მარტივად და მიმზიდველად დაგვისაბუთა. ანკეტაში გა-ცხადებული ფიქრები მისი ახალი ლექსებითაც დასტურდება:

გადაიციონა ცვარი-კალია,
მზემ — დეკეულმა, შინდისფერებამ,
მიღიხარ — მინდვრის ზღვა გიხარია,
მიღიხარ — მინდვრის ცა გემღერება,
მავანს ჰგონია ძნელი რამაა
ამ ქვეყნად კაცის ბედნიერება.

აქ თითქმის ახალი არაფერია. ესაა მშობლიურ გარემოსთან ადამიანის მიწიერ ყოფა, რაც, შეიძლება, სხვა პოეტებთანაც შეგვხვედრია, მაგრამ ამ შემთხვევაში ავ-ტორისათვის იგი ძალიან ღვიძლია, მასში დღევანდელი დღის წართაღი ემოციური გე-ნცდაა, რომლის საფუძველს ყოველდღიური ცხოვრება გვაძლევს, ჰას დანახვა და პოე-

ზიის სამზეოზე გამოტანა პირდება. „მინდვრის ზღვამ“ ჩემში მწვავედ მოლაღწე ყანის ასოციაცია აღძრა, ხოლო „მინდვრის ცა“ მღელვარე ყანის უტილიტარული შედეგია. პოეტის იდეალია მათი ემოციური დაწოლა მკითხველის სულზე, რაც საბოლოოა მისი მინის ბედნიერების ტოლფასია. სწორედ ამით აქვს ლექსს დღევანდელი დღის განცდისმიერი გემო, თორემ ამ ქვეყნად კაცის ბედნიერებას ცოტა რამ ყოფნის, ისედაც გვეჭრა.

ცხოვრებას მკაცრი კანონები აქვს და თავისი გზით მიდის. ლეთის გადმოღმა ახლობლები როცა ტირიან, ამ დროს შეიძლება გადაღმა მღეროდნენ კიდევ. ესაა „წუთისოფლის“ მოტივი და იშვიათია ქვეშაირი პოეტი, ამ თემას თავისებური ხარკი არ გადაუხადოს. ზაალ ებანოძის პოეზიაში „წუთისოფელი“ მოთქროვილი დღეების ცდუნება და მასთან ტრაგიკული განშორებით გამოწვეული ტრაგიკული განცდა კი არა, ჩველილი დღეების ანუ დაფერფლილი სიცოცხლის მომავალში ხილვის ბედნიერების განცდასთანაა გატოლებული:

რა დაერქმევა, თუ ასეა, გარდაცვალებას, —
დოქიდან დოქში გადასხმული ღვინის ფერება?
უნდა შეიძლოს, ამ ქვეყნიდან საგზაოდ თვალებმა
წაიღონ მაინც ერთი თავი ბედნიერება.

აქვე უხდა გავიხსენო ლექსი „როცა გონაშვილი მღერის“, რომელიც ზემოთ თქმულის საილუსტრაციოდაც გამოდგება. წუთისოფლიდან წასული კაცის სიცოცხლე უკვალოდ არ ჩამქრალა. მანაც წაიღო ამ ქვეყნიდან ერთი თავი ბედნიერება. ეს ისეთი საგანია, რომელსაც სახელს ვერ დაარქმევთ, ესაა, ფრთებს რომ გეასხამს, მუხლში ძალას რომ გვმატებს, ეს ისეთი რამაა, ხვათით გამოგვალულ გულზე თქორად რომ გადაგივლის. პოეტს ემარჯვება ლოგიკური მახვილის დასმა: „ვისაც თქვენ უმღერით და დარდობთ, მეც იმის ერთგული და მონა ვარ“.

ზაალ ებანოძე სერიოზულად და უადრესი პასუხისმგებლობით ეკიდება ჩვენი დღეების მწვავე პრობლემებს. მოქალაქეობრივი ვალის აღსრულებაში მამაშვილური ვალის აღსრულებასაც გულისხმობს. ამას მაღალზნეობრივი აღამიანი სჭირდება. ხოლო მაღალი ზნეობა სხვა თვისებებთან ერთად მოქალაქეობრივ სიფხიზლესაც მოიცავს: სწორედ, რომ აფხიზლებს და სულიერად აფაქიზებს მკითხველს ზაალ ებანოძის ლექსები. რა გასაკვირია, რომ ჩვენს სამყაროში, ჩვენს ქალაქში, ჩვენს ქუჩაზე, ჩვენს სახლში გვერდიგვერდ ცხოვრობს სატანა და ანგელოსი? პოეტმა ფხიზელი თვალით შეგვახედა და გვიჩვენა, რომ ზოგჯერ სატანა ანგელოსზე მშვენიერად ცხოვრობს.

დახურა ღამე,
ლედერიში ჩასმული წიგნი,
ჩამოაფარა თაროებს ფარდა,
და დარჩა მაინც
უამრავი წვრილმანი შიგნით,
ამოუხსნელი
ამ ძირმწარე იგავის გარდა.

ამ შემთხვევაში ლირიკული პერსონაჟია შრომით დაღლილი კაცი, რომელმაც ერთხელ თვალგახელილმა ჩათვლია, რადგან, ხომ გაგიგიათ, ერთი პირი წყალსაც ეძინება. ჩათვლია და ნახა სატანაც და ანგელოსიც.

ამოუხსნელი ძირმწარე იგავი ლოგიკური წერტილია. სხვათა შორის, წერტილის დროულად დასმა ნიჭიერების დასტურიცაა და ყველა პოეტს ერთნაირად როდი ეხერ-

ხება. ზაალ ებანოძესთან იგი მხოლოდ აზრის ლოგიკურ დასრულებას კი არა, მთლიანად ლექსის ლოგიკურ შეჯამებასაც უდრის. დაკვირვებული თვალი ბევრ ადგილას საინტერესოს იხილავს, თუ მისი ლექსების სტრუქტურისა და ენობრივ მასალების რმავედება. ჩემი აზრით, აქ მაინც უპირველესი და უმთავრესია პოეტის მხატვრული ძიებები და სტილისტურ-გამომსახველობითი ტენდენცია. ეს გზა პოეტური სახეებისა და მეტაფორების მონუმენტურობისაკენ მიემართება, რომლის პირველი სილუეტები ზემოთ განხილულ პოემაში და რიც ლექსებში ვხედავთ.

მინდა კიდევ ერთი ლექსი მოვიტანო, რომელიც მოქალაქეობრივისა და ინტიმურობის ორგანული შერწყმის დასტურია. ესაა „პატარა სიხარულის გამოგონება“. ეს ლექსიც ავტორის მეტად ფაქიზი და მგრძნობიარე სულის გამოხატულებაა და კარგ მაგნებად უნდა ჩაითვალოს. ის, ვისაც შეუძლია საკუთარი სიხარული გამოიგონოს, არ შეიძლება ცუდი კაცი იყოს, ვერასოდეს ვერ ჩაიდენს ბოროტებას და სხვის სიხარულს წარბეჭდული არ შეხედება:

ვის გაუგია პარიზად დარდის ატანა,
მარტივებს ხშირად აღმაცერად ხედავს დროება,
შენ ის კაცი ხარ, ვინც იგონებს თავად პატარა
სიხარულს, ცრემლის წვეთწვეთობით შესაგროვებლად.

ამ ლექსმა რატომღაც ვლადიმერ მაიაკოვსკის ცნობილი სტრიქონები („სიხარულს ცოტას გვაძლევს პლანეტა ვრცელი, უნდა მოსტაცო სიხარული დღეებს ელვიანს“) გამახსენა. მიუხედავად იმისა, რომ მათ სულ სხვა აზრობრივი დატვირთვა აქვთ. პოეტი ყოველ ლექსში ერთგულია საკუთარი მანერის, ყოფნის ძალა და ენერგია, განერიდოს მშრალ პათეტიკას, ცდილობს და ხშირად ახერხებს სათქმელს საკუთარი მხატვრული სამოსელი მოუძებნოს. თავისი მოქალაქეობრივი ვალი მშვენიერად გამოიხატა ერთ პატარა ლექსში, რომელიც ავტორის სტილისა და მანერის საილუსტრაციოდაც გამოდგება:

მოგინატრებ და გავადებ სარკმელს,
ან წარსულისა და აწმყოს შორის
გავხსნი დარაბებს...
და ვიტყვი ქვეყნის გასაგონად,
რაც შენი მმართველს,
როგორც მეგობარს,
როგორც პოეტს და მოქალაქეს:
ბალახს ვთიბავდი ნამგალა მთვარით —
ის სათიბები
სიზმრებიდან შერჩა გონებას;
ცრემლი კი არა, ასხურე ნაბი
მკათათვის ხვდით გამოგვადულ
ჩემს შთაგონებას.

ამ სტრიქონების ავტორისათვის, გარდა ლექსისა, არ არსებობს სხვა შთაგონება. უნდა ვირწმუნოთ პოეზიისათვის მისი თავგანწირვაც და მუდმივი ერთგულებაც.





კლემსი ნანობაშვილი

ბორის ფროლოვის ბახსენება

დიდი ფეხბურთის სარბიელზე თბილისის „დინამო“ 1936 წლის გაზაფხულზე გა-
მოჩნდა. ქართველი ფეხბურთელების დებიუტი საკავშირო პირველობაზე ბრწყინვა-
ლე წარმატებით აღინიშნა. მათ დაუმარცხებლად ჩაატარეს „ბ“ კლასის გუნდების
ტურნირი და პირველი ადგილი დაისაკუთრეს. გუნდმა „ა“ კლასში თამაშის უფლება
მოიპოვა.

ამ ასპარეზობის შემდეგ დინამოელები ახალ საპასუხისმგებლო შეჯიბრებაში ჩაე-
ბნენ, ეს იყო საბჭოთა კავშირის თასის პირველი გათამაშება. თავიანთი პირველი შეხ-
ვედრა საკავშირო თასზე თბილისელებმა ჩაატარეს ბათუმში ადგილობრივ „დინამოს-
თან“. სტუმრების შემადგენლობაში თამაშობდნენ ტყავის ბურთის ისეთი ოსტატები,
როგორიც იყვნენ ა. დოროხოვი, შ. შავგულიძე, მ. ბერძენიშვილი, ბ. პაიჭაძე. ბათუმე-
ლთა შორის, მართალია, არ იყვნენ ასეთი ავტორიტეტები, მაგრამ მთელი კოლექტივი
ისე კარგად თამაშობდა, რომ თბილისელებს თანაბარი სიძლიერის გუნდთან მოუხდა
ბრძოლა. ამას მოწმობს პირველი დღის შედეგი. დამატებითი დროის მიუხედავად,
შეხვედრა ფრედ — 1:1 დამთავრდა. სტუმრების თავდასხმის ხუთეულმა ვერაფერი
გააწყო მოწინააღმდეგის თავდაცვასთან, განსაკუთრებით მჭიდროდ იყო „ჩაკეტილი“
მათი თავდასხმის ცენტრი ბორის პაიჭაძე. სადაც უნდა გამოჩენილიყო ბორისი, მუდამ
წინ ედობებოდა მასპინძელთა შუა დამცველი — მაღალი, ქერათმიანი ჰაზუკი, რომე-
ლიც იშვიათად ტყუედებოდა ცრუ მოძრაობებზე, ხოლო „საპაერო ბრძოლაში“ თითქ-
მის ყოველთვის გამოდიოდა გამარჯვებული.

— ვინ არის ბათუმელთა სამი ნომერი, ჩრდილივით რომ დაგდეცდა? — შეე-
კითხნენ თამაშის შემდეგ ბორისს ამხანაგები.

— ჩემი სენიაა ბორის ფროლოვი, — უპასუხა პაიჭაძემ, რომელიც ბათუმელს
ადრე იცნობდა.

განმეორებითი თამაში თბილისელთა სასარგებლოდ წარიმართა. მათ შესძლეს
ანგარიშის გახსნა. მიღებულ ბურთს ბათუმელთა რიგებში არეულობა არ შეუტანია.
გუნდი თავგამოდებით იბრძოდა და ძნელი იყო იმის თქმა, ვის დარჩებოდა გამარჯვე-
ბა. შეხვედრის ბედი საბოლოოდ თერთმეტმეტრიანხმა საჯარიმო დარტყმამ გადაწყვი-
ტა, რომელიც ბათუმელთა კარში პენალტის ოსტატმა მ. ბერძენიშვილმა გაიტანა. მატჩი

ანგარიშით 2:0 რომ მოიგო, თბილისის „დინამომ“ თასის გათამაშების შემდგომ ეტაპში მონაწილეობის უფლება პოულობდა. მიუხედავად დამარცხებისა, ყველამ აღიარა უპირობო ღვაწლი კარგი თამაში, სტუმრებს განსაკუთრებით ბ. ფროლოვი მოეწონათ. მსაჯულთა რის დამთავრებისთანავე წინადადება მისცეს მათ გუნდში გადასულიყო. ბორისი დათანხმდა და უკვე როგორც თბილისის „დინამოს“ წევრი, მორიგი თამაშის ჩასატარებლად გაემგზავრა.

დანარჩენ შეხვედრებში დინამოელებმა მოუგეს ბაქოს „ტემპს“, სტალინგრადის „ტრაქტორს“, მოსკოვის „სპარტაკს“, ნოვინსკის „კრასნოე ზნამიას“ და მხოლოდ თასის ფინალში დამარცხდნენ მოსკოვის „ლოკომოტივთან“.

იმავლე წლის შემოდგომაზე გაიმართა საბჭოთა კავშირის პირველობა, რომელშიც „აქლასის“ დებიუტანტმა თბილისის „დინამომ“ თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია. მან მოსკოვის „დინამოსთან“ ერთად გათამაშებაში 16 ქულა მოაგროვა და ჩემპიონატში გამარჯვებულ მოსკოვის „სპარტაკს“ მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა. საქართველოს გუნდი ერთხმად აღიარეს ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კოლექტივად, ხოლო მისი წევრები ფეხბურთის მრავალრიცხოვანმა გულშემატკივრებმა „დიდი ურუგვაელებად“ მონათლეს. სხვებთან ერთად ეს საპატიო „ტიტული“ დამსახურა თბილისელმა ახალმა დამცველმა ბორის ფროლოვმა.

1936 წლიდან 1947 წლამდე ბ. ფროლოვი თითქმის უცვლელად თამაშობდა თბილისის „დინამოს“ შემადგენლობაში. მისი ოსტატობით აღტაცებაში მოდიოდნენ თბილისისა თუ მოსკოვის, კიევისა თუ ლენინგრადის, მინსკისა თუ სტალინგრადის მაცურებლები. „გაუფალი მცველი“, „შალაღი ბურთების მეფე“, „მუდამ შეუცდომელი“ — ასე წერდნენ ბორისის შესახებ სპორტული კომენტატორები. ბორის ფროლოვი ღირსეული წევრი გახდა იმ გუნდისა, რომელშიც გამოდიოდნენ ბორის პაიჭაძე, შოთა შავგულიძე, გაიოზ ჯეჯელავა, ავთანდილ ლოღობერიძე და სხვები. მათთან ერთად უვლია ბორისის საქართველოს ფეხბურთის დიდების გზებზე, მათთან ერთად გაუზიარებია წარმატებები თუ დამარცხების სიმწარე...

მახსენდება კარგა ხნის წინანდელი საუბარი, როდესაც ბორის ფროლოვს შევეცით, ჩატარებული შეხვედრებიდან რომელი მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად-მეთქი.

— მოსკოვის ცსკა-სთან, — არ დაფიქრებულა ისე მითხრა მან, — 1939 წლის საკავშირო პირველობაზე. ეს განუმეორებელი მატჩი იყო. მასზე ბევრი დაიწერა. არმელებს ფრეც აძლევდა ხელს მეორე ადგილზე გასასვლელად, ჩვენთვის კი მხოლოდ გამარჯვება იყო საჭირო. პირველი ტაიმი 1:4-ზე წავაგეთ. იოლ გამარჯვებაში დარწმუნებულმა არმიელებმა მოსკოვში დებემა გაგზავნეს, დიდი ანგარიშით ვიგებთო. ჩვენ ბიჭები უნდა გენახათ, რა დღეში იყენენ, განსაკუთრებით დამცველებს ვერ გვიღებდნენ დანა პირს... გაგვაზნევენ, გეგმა დავსახეთ და როცა მეორე ტაიმი დაიწყო, ჩვენ გუნდი მთლიანად გარდაიქმნა, საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში თბილისელებმა თამაშში პირველად გამოიყენეს თავდასხმაში ადგილების შეცვლა, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვის ჩვენს „მოხეტიალე ფორვარდს“ ბორის პაიჭაძეს. ძლიერად ითამაშეს ჩვენმა ბიჭებმა და მოვიგეთ ეს თითქმის უიმედო შეხვედრა 5:4-ზე.

გატაცებით ყვებოდა ბორისი თბილისის „დინამოს“ მიერ 1944 და 1945 წლებში ირანსა და რუმინეთში ჩატარებულ შეხვედრებზე.

— პასუხისმგებლობა დიდი იყო და სწორედ ამით აიხსნება ჩვენი მღელვარება სანამ პირველი თამაში დაიწყებოდა ირანის ნაკრების წინააღმდეგ. ნერვიულობა მამოვ გავქრა, როცა პირველსავე წუთზე ა. ლოღობერიძემ პირველი ბურთი გაიტანა, ხოლო როცა ცოტა ხნის შემდეგ მეორედ აიძულა ირანელები თამაში ცენტრიდან და...

ყოთ. 5:1 თბილისის „დინამოს“ სასარგებლოდ — ასე დამთავრდა ეს მატჩი. გეორგი
შეხვედრა კი მშრალი ანგარიშით — 4:0 მოვიგეთ.

რუმინელი ფეხბურთელები ირანელებს გაცილებით სჯობდნენ და მათთან შეხვედ-
რები დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა. აქვე უნდა ითქვას, რომ თამაში მოგვიხდა თოვ-
ლით დაფარულ მოედანზე, რაც მაღალტექნიკური გუნდისათვის არახელსაყრელია. სულ
3 შეხვედრა ჩავატარეთ და სამივე მოვიგეთ საერთო ანგარიშით 17:6. რუმინელებმა
სათანადოდ შეაფასეს ჩვენი ფეხბურთელების ოსტატობა. „ჩვენ ბევრი საზღვარგარე-
თული გუნდი გვინახავს, — განაცხადეს მათ, — თითოეულს თავისი კარგი და დამა-
ხასიათებელი მხარე აქვს. ყოველივე, რაც ჩვენ გვინახავს, თქვენშია გაერთიანებული:
ტექნიკა უნგრელებისა, ტემპი — იტალიელებისა, ფიზიკური გამძლეობა — ჩეხოსლო-
ვაკელებისა, ტაქტიკა — ინგლისელებისა“.

ამ თამაშებში ნახეს ევროპელებმა პირველად ბორის პაიჭაძე და მას „ფეხბურთის
ყარუზო“, „ევროპული კლასის ცენტრალური თავდამსხმელი“ უწოდეს.

...ბორის პაიჭაძისა და მისი ამხანაგების სპორტული კარიერა ეზოებისა და ქუჩების
ფეხბურთელთა გუნდებიდან დაიწყო. ამავე გზით მოვიდა დიდი ფეხბურთის სარბიელ-
ზე ბორის ფროლოვიც. — ისე ვიყავით გატაცებული, რომ დიდიდან დაღამებამდე
შეგვეძლო გვეთამაშაო, — იგონებდა ბორისი. აბა სად იყო მაშინ ნამდვილი ბურთი
ან მოედანი. ჭინჭის ბურთით ვატარებდით „ჩემპიონატებს“. მერე და, არ იკითხავთ
რამდენი კარგი მოთამაშე აღზარდა მაშინ ბათუმში? აი, თუნდაც, ჩემი თანატოლები
ა. პეხლევანიდი, ა. ანიკინი, დ. ბეჟანიძე, კ. კელენჯიანი და სხვები. ბათუმში ფეხბუ-
რთი მუდამ პოპულარული იყო და მას მდიდარი ისტორია აქვს. საქმარისია თუნდაც
ფინიშნოს, რომ ბათუმელმა ფეხბურთელებმა საბჭოთა კავშირში ერთ-ერთმა პირვე-
ლებმა ჩაატარეს საერთაშორისო შეხვედრა. საქართველოს პირველ გუნდში — თბილი-
სის „დინამოში“ თითქმის ყოველთვის თამაშობდნენ ბათუმში აღზრდილი ფეხბურთე-
ლები...

წლებმა თავისი გაიტანა. ბორის ფროლოვიც სპორტს ჩამოსცილდა, მაგრამ უფეხბუ-
რთოდ ერთი დღეც კი ვერ წარმოედგინა, მუდამ ახალგაზრდებში ტრიალებდა, გამო-
ცდილებას უზიარებდა. თანაკლუბელ ვეტერან ფეხბურთელ ალექსანდრე ელიაფასთან
ვრთად ბათუმის „დინამოს“ სტადიონის ხშირი სტუმარი იყო...

ორივეზე დღეს, სამწუხაროდ, წარსულ დროში გვიხდება ლაპარაკი.





როცა ბავშვობას ვიბორონებ

ლანჩხუთის „გურიას“ ჩემი ვაჟა და მქუხარე ტაში, მაგრამ ლანჩხუთელები ნუ გამინაწყენდებიან, თუ ვიტყვი, რომ მაგათზე ადრე ფეხბურთს ჩოხატაურში თამაშობდნენ. როცა ბავშვობას ვიხსენებ, სწორედ სუფსის ქალებში ჩატარებული ერთი დაუვიწყარი შეხვედრა დამიდგება თვალწინ.

როცა ცოლიანებმა და უცოლოებმა ჩოხატაურის მოედანზე ფეხბურთი ითამაშეს, იმ შეხვედრას, წარმოიდგინეთ, ქალებიც ესწრებოდნენ, მათ შორის ერთი სიდედრი და დედა. ჩვენი მოთხრობის გმირი სუფსის პირას გაზრდილი რეზიკო ორივე ქალისათვის საჩუკვარი შვილი იყო, — დედისთვის პირველი შვილი, ხოლო სიდედრისთვის — პირველი სიძე, რომელმაც ქალიშვილი „მოპარა“ (რეზიკოს რომ ჰკითხოთ, მისით წამყვალ). ბავშვები დაძაბული ინტერესით შევეყურებდით გახვითქულ ფეხბურთელებს. თამაში დინჯად და აუჩქარებლად მიდიოდა, პირველი ტაიმი ისე დამთავრდა, არც ანგარიში გახსნილა, არც ვინმეს ფეხი მოტეხია და არც ჩვენი მოთხრობის გმირს არ გამოუჩენია მაინცდამაინც თავი. მეორე ნახევარი უფრო საინტერესო გამოდგა: იყო გოლებიც, ფეხის მოტეხაც. ყვირილიც, სიცილიც, მაგრამ ყველაზე უფრო ბოლო წუთებში დაიძაბა მდგომარეობა, ცოლიანების გუნდი უტევედა — უცოლოები დაცვაში იყვნენ გადასული, ისმოდა მაყურებლის ყვირილი, მსაჯის გინება...

რეზიკო ნახევარდაცვაში თამაშობდა, მანდამაინც დაცვის დახმარებაზე თავს არ იკლავდა, იყო ალვის ხეების ჩრდილში დამდგარი და თუ ვინმე ბურთს გადმოაწოდებდა, იცოცხლე, გარბოდა წინ, — უმისამართოდ. ალბათ, მოწინააღმდეგის მეკარეს რომ არ შეეჩერებინა, ბურთიანად ბადეში შევარდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, უცოლოებს კარგი მეკარე ჰყავდათ, არც ბურთს უშვებდა კარებში და არც ნახევარმცველ რეზიკოს.

ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო და რეზიკომაც ხერხი იხმარა, ფეხმოტეხილივით დაეცა მოწინააღმდეგის საჯარიმოზე და ორმა დედამ იმხელა კივილი ატეხა, სუფსის ხმაური აღარ ისმოდა.

რეზიკომ პენალტი და, მისი წყალობით, გამარჯვება კი გამოსტყუა მსაჯს, მაგრამ მეორე შეხვედრამდე სიდედრი ხმას არ სცემდა, ჩემი მოტყუება როგორ გაბედა, მსაჯი ხომ არ ვეგონეო...

ზურაბ ჩხიკვაძე.

შეხვედრა 45 წლის შემდეგ

მრისხანე 1945 წლის შემოდგომის მიწურულს, 26 ნოემბერს, ბათუმიდან საშობლოს დასაცავად 132 ქაბუკი გაემგზავრა, რომელთაგან ომის შემდეგ მშობლიურ ქალაქში 26 დაბრუნდა, დღეს კი მხოლოდ 19 კაცია დარჩენილი...

და აი, 45 წლის შემდეგ მაშინდელი პირტიტელა ქაბუკები, ღღეს კი ღვაწლმოსილი ვეტერანები ისევ შეხვდნენ ერთმანეთს ბათუმის ვეტერანთა კლუბში, მოიგონეს განვლილი წლები, დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეები, პატივი მიაგეს შინმოუსვლელთა ხსოვნას.

ეს იყო დაუვიწყარი, ამაღელვებელი შეხვედრა, რომელზედაც სიტყვით გამოვიდნენ დიდი სამამულო ომის ვეტერანები კ. ჩხარტიშვილი, ე. ლომაძე, ა. მახარაძე, ვ. დაცევიჩი და სხვები.

ვეტერანებს მიესალმნენ პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი ჩ. ომერაძე, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ა. ტაყიძე, ომის ვეტერანთა აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე რ. ართმელაძე, პარტიის ვეტერანთა აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ვ. გელავა, ჟურნალისტი თ. ხომერგიი, ბათუმის № 7 საშუალო სკოლის პიონერები.

შეხვედრის ორ მონაწილეს — ა. ფილიპოვსა და მ. ჩხაიძეს გადაეცათ დიდი სამამულო ომის II ხარისხის ორდენები.

საანგარიშო კონცერტი

ტრადიციულად აჭარის მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოება ყოველი წლის ბოლოს მართავს საანგარიშო კონცერტს, რომელშიც მონაწილეობენ საზოგადოების პრეზიდენტთან არსებული მხატვრული კოლექტივები.

წლებანდელი საანგარიშო კონცერტი ხალხური შემოქმედების მეორე სრული-

ად საკავშირო ფესტივალს გვიღმწავს

სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ საზოგადოებასთან და სახელმწიფო ანსამბლთან არსებული ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი, ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „ჩინანი“, ბავშვთა ფოლკლორული გუნდი, ქალთა ვოკალური გუნდი, ქალთა ვოკალური ანსამბლი, სამეჯლისო ცეკვების შემსწავლელი წრე, ქორეოგრაფიული ანსამბლი, ბავშვთა გაერთიანებული და ვეტერან მოცეკვავეთა ანსამბლი, ხულოს, შუახევის, ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონულ გამგეობებთან არსებული ანსამბლები, რომელთა ხელოვნებამ დამწრეთა მოწონება დაიმსახურა.

სამეცნიერო სესიები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის შ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში გაიმართა საიუბილეო სამეცნიერო სესია, რომელიც ცნობილი ქართველი ისტორიკოსის სარგის კაკაბაძის 100 წლისთავს მიეძღვნა.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფესორმა დ. ხახუტაიშვილმა.

სარგის კაკაბაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ისაუბრეს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ა. კახიძემ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა დოცენტმა ნ. კახიძემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა თ. შიოშვილმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა დოცენტმა ა. სურგულაძემ.

მოგონებებით გამოვიდნენ აჭარის ასსრ სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ხ. ახვლედიანი, ბათუმის შ. რუსთა-

ველის სახელობის სახელმწიფო პედინსტიტუტის ისტორიის კათედრის გამგე პროფესორი პ. ცქვიტარია.

* * *

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სოციალურ-კულტურულ ტრადიციათა პრობლემების სამეცნიერო-საკოორდინაციო საბჭომ და ათეისტური მუშაობის კომისიამ ქედაში მოაწყო გამსვლელი სამეცნიერო სესია თემაზე „ტრადიცია და თანამედროვეობა“.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა ზ. თანდილავამ. მოხსენებით „ძველი პროგრესული ტრადიციები ახალი ყოფის სამსახურში“, „რელიგია და თანამედროვეობა“, „ტრადიციის ფსიქოლოგიური ბუნება“, გამოვიდნენ ეთნოგრაფიის განყოფილების გამგე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. კახიძე, ამავე განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ჯ. ვარშალომიძე, ინსტიტუტის სწავლული მდივანი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ჩაგანავა.

ილია ჭავჭავაძის საიუზილმოდ

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების კლუბში საზოგადოება „ცოდნის“ საქართველოს და აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციების გამგეობებმა მოაწვევეს ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში მომუშავე ლექტორთა თათბირ-სემინარი ი. ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

სემინარი გახსნა „ცოდნის“ აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის გამგეობის ლიტერატურისა და ხელოვნების სამეცნიერო-მეთოდოლოგიური სექციის თავმჯდომარემ დრამატურგმა ა. ჩხაიძემ.

მოხსენებები წაიკითხეს „ცოდნის“ აჭარის რესპუბლიკური გამგეობის რეფერენტმა მ. მშვიდლობაძემ, ხელოვნ-

ებათმცოდნეობის კანდიდატმა ნ. არველიძემ, ბათუმის პედინსტიტუტის დოცენტმა ი. ბიბილეიშვილმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა მ. ხინიკაძემ.

სალამოები პედაგოგიურ ინსტიტუტში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიმართა ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრასთან არსებული სტუდენტთა სამეცნიერო წრის გაფართოებული სხდომა, რომელიც დიდი ქართველი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის დაბადების 200 წლისთავს მიძღვნა. იგი შესავალი სიტყვით გახსნა წრის ხელმძღვანელმა დოცენტმა შ. ფუტყარაძემ.

მოხსენებები — „სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში“ და „ალ. ჭავჭავაძის პოეზიის ენობრივი თავისებურებანი“ გააკეთეს სტუდენტებმა ლ. მახარაძემ და ნ. კვაჭაძემ.

სიტყვით გამოვიდნენ ისტორიის კათედრის დოცენტი ა. სურგულაძე, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის პროფესორი ნ. დუმბაძე, დოცენტი ე. ჯიჭიშვილი, პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის კათედრის დოცენტი ი. ბიბილეიშვილი, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი დოცენტი რ. ზოსიძე, მეცნიერული კომუნიზმისა და მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის კათედრის უფროსი მასწავლებელი გ. შერვაშიძე.

ლექსები წაიკითხა პოეტმა უ. ხაჩიშვილმა.

დასასრულ ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებმა წარმოადგინეს ალ. ჭავჭავაძის ცხოვრებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული კომპოზიცია.

* * *

პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტმა მოაწყო

რუსი ხალხის სახელოვანი შვილის, მიხეილ ლომონოსოვის დაბადების 275 წლისთავსადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

შესავალი სიტყვით გამოვიდა რუსული ლიტერატურის კათედრის გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ვარშანიძე.

მ. ლომონოსოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ისაუბრეს პროფესორმა პ. ცეკტიარიამ, დოცენტმა მ. ფარტენაძემ, ასისტენტმა გ. შანიძემ.

რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის IV კურსის სტუდენტებმა მ. ვაშალოშიძემ, ა. ლომაძემ, ი. კოლომეცევამ, ლ. ლომთათიძემ და მ. სიემივილმა წაიკითხეს ნაწყვეტები მ. ლომონოსოვის მხატვრული ნაწარმოებებიდან.

მეწარმეები ტექნიკუმის მოცულობებიდან

მახარაძის რაიონის ლაითურის კულტურის სახლში მოეწყო აქარის მწერალთა შეხვედრა ლაითურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეებთან.

შეხვედრა გახსნა ტექნიკუმის დირექტორმა უ. თაღაკაძემ.

სტუმარი პოეტების ლექსები წაიკითხა ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა მ. შერვაშიძემ.

მ. ვარშანიძემ, ქ. მუჯივამ, ც. ანთაძემ, ჯ. ქათამაძემ, ნ. მოდებაძემ, რ. სურმაშიძემ ისაუბრეს შემოქმედებით გეგმებზე და წაიკითხეს თავიანთი ნაწარმოებები.

„დოკუმენტალისტი“ მასპინძლობს

კინოტეატრ „თბილისში“ ახლადშექმნილ კინოკლუბ „დოკუმენტალისტის“ ინიციატივით მოეწყო ბათუმის საზოგადოების შეხვედრა ქართველ დოკუმენტალისტთან, საქართველოს სსრ ხელოვ-

ნების დამსახურებულ მოღვაწესთან, ოთარ გურგენიძესთან. შედგა პრემიერა ფილმებისა „დილოგი“ და „მთავარი ნავსაყუდელი“, რომლებიც მაყურებელმა გულთბილად მიიღო.

„დილოგის“ მთავარი გმირები არიან თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ მეკარეები ოთარ გაბელია და რენატ დასავეი.

რაც შეეხება ფერად დოკუმენტურ სურათს „მთავარი ნავსაყუდელი“, იგი ეძღვნება სახელგანთქმული ქართველი კაპიტნის ანატოლი კაპარავას ხსოვნას.

პრემიერის შემდეგ საპატიო სტუმარს მიესალმნენ აქარის კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე რ. ბაქრაძე და საქართველოს საზღვაო სახანოოს ბარათიული კომიტეტის მდივნის მოადგილე ვ. ბაჟინოვი.

ო. გურგენიძემ მადლობა გადაუხადა შეკრებილთ გულითადი მიღებისათვის.

წიგნის განხილვა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სსდმთა დარბაზში მოეწყო მწერალ ემენ დავითაძის წიგნის „სოფლის აღმაშენებელი“ განხილვა.

შესავალი სიტყვით გამოვიდა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ზ. თანდილაძე. განხილვაში მონაწილეობდნენ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. კახიძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ე. ქაშადაძე, მეცნიერი თანამშრომლები ე. ზოსიძე, ე. ნოღაიდელი, თ. კუკულაძე, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. ჩაგანავა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ს. გოგიტიძე, მეცნიერი თანამშრომელი ნ. ჩუბინიძე, პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის

პროფესორი შ. ნიჟარაძე, პარტიის ვეტერანთა აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ვ. გელვა და სხვები.

შეხვედრა კომიტანს

აჭარის პროფკავშირების კავშირთაშორისო კულტურის სახლთან არსებულმა ლიტერატურულმა გაერთიანებამ დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით შეხვედრა მოუწყო ცნობილ ქართველ პოეტს მამია ვარშანიძეს.

შეხვედრა გახსნა ლიტერატურული გაერთიანების ხელმძღვანელმა, საქართველოს დამსახურებულმა მასწავლებელმა ვ. რუსეიშვილმა. მამია ვარშანიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა კულტურის სახლის სამხატვრო საბჭოს წევრი მ. კობლაძე. პოეტს მიესალმნენ ლიტერატურული გაერთიანების წევრები ქ. გიორგაძე, კ. კვასტაიანი, გ. ბოლქვაძე, ბიბლიოთეკარი ი. ფალავანდიშვილი, მსახიობმა ა. ქარჩავამ წაიკითხა მ. ვარშანიძის ლექსები.

პოეტს დაბადების 70 წლისთავი მიულოცეს პოეტებმა ც. ანთაძემ, დ. გიგო-

ნიშვილმა, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა ფ. ხალვაშმა.

მამია ვარშანიძემ მადლობა გადაუხადა გულითადი შეხვედრისათვის და მოხატული ლექსები.

დრამატული კოლექტივების დათვალიერება

სამ დღეს გრძელდებოდა სალსონის შემოქმედების მეორე საკავშირო ფესტივალის დებულებით გათვალისწინებული დრამატული კოლექტივების ლაშქარი დათვალიერება დევიზით „თავისმედროვეობა სცენაზე“. დათვალიერებულმა ჯგუფებმა მოწაწილობა ქობულეთის, ვაჩაურის, ქედის, შუახევის, სურამის რაიონებისა და ქალაქ ბათუმის 7 თეატრალური კოლექტივი, აგრეთვე ქობულეთის რაიონის ზედა კვირიკეს ბერძნული დრამატული წრე და ბათუმის ნაგებობების თობგადასამუშავებელი, ქარხნის კულტურის სახლთან არსებული ახალგაზრდული კოლექტივი.

სცენისმოყვარეთ გადაეცათ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს სიგელები.



გარეკანის 1-ლ გვერდზე — შოთა რუსთაველის ძეგლი ბათუმის პლატოგოგირი ინსტიტუტის ეზოში.

ნომერი გააფორმა ა. ლომაძემ.

ტექნიკური ხელმძღვანელი — შ. დარჩია.

653/19



3360 40 333.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„ЧОРОХИ“

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ
ИНДЕКС 78118